975/2
2001

№1–2
2001

# ბურჯი ეროვნებისა

დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო შკოლებისათვის

შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

სურათებით.

თბილისი

1876

ახალი ათასწლეული

ახალი საუკუნე

ახალი ათასწლეული

ახალი საუკუნე

ახალი ათასწლეული

ახალი საუკუნე

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ჭაბუკა ქირია

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქტორები:
ციცინო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და დიზაინი
ირაკლი ავალიანისა

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ქეთევან დათუკიშვილი,
ნანა ურთაშვილი,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ღვინჯილია,
ინგა ლუტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე.

მორიგე რედაქტორები
მარინე კიკონიშვილი

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

ინდექსი 76016

# მესამე ათასწლეულის შემობრძანებას გილოცავთ!

ისტორიას ჩაბარდა მეორე ათასწლეული; დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის - „ყველა დროის ყველაზე დიდ ქართველთა“ - ათასწლეული.

როცა წინა ათასწლეულებზე ვფიქრობთ, მნიშვნელოვან ფაქტად გვესახება:

**პირველი ათასწლეული** ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებითა და დამკვიდრებით დაიწყო;

**მეორე ათასწლეული** - ქვეყნის გაერთიანებითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული თუ ეკონომიკური აღმასვლით...

**მესამე ათასწლეულს** - ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე - იმედის თვალით შევყურებთ... დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის საქართველოს გაბრწყინებას ველით მესამე ათასწლეულში!...

# შინაარსი


**საუკუნის წინათ**

ი. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოში
უნივერსიტეტის დაარსებისათვის ........ 2

**ვარლამ თოფურია- 100**

იცით, როგორი იყო ვარლამ თოფურია? ........ 5
დ. მელიქიშვილი - რამდენიმე ფრაგმენტი სტუდენტის
დღიურიდან ........ 8

**დედაენა**

ნ. ჯორბენაძე, სწორია... ........ 9
გ. წიბახაშვილი, ენა ეძებს სიტყვას ........ 9

**უკვდავება ღვაწლისა**

ლ. დვალიშვილი - ილია ჭყონია და ქართული ენა ........ 10

**აბიტურიენტის ფურცელი**

ა. ნიკოლეიშვილი, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები" ........ 15

**მწერლის არქივიდან**

ი. კუჭუხიძე, რუდოლფ კარმანის გახსენება ........ 20

**ჩვენი სკოლა**

რ. ლიპარტელიანი, გონს მოვეგოთ, სანამ ჯერ კიდევ დროა! ........ 21
„იაკობისეულმა „დედაენამ" ვერ გაამართლა" (?!) ........ 28
სულხან-საბაც „თარგმნეს"... ქართულად! ........ 35

**იუბილე**

თ. ღვინაძე, ქართული სიტყვის მოტრფიალე (გ. შატბერაშვილი).... 24
თ. შარაბიძე, მინდა მოვეფერო (პროფ. ჯ. ჭუმბურიძე) ........ 25
ი. ჩანტლაძე, თ. ვაშაკიძე, ღირსეული
ქალბატონი (მ. მდინარაძე) ........ 27

**სიტყვა ქართული**

ნ. შარაშენიძე, ერთი მივიწყებული ქართული
სიტყვის შესახებ: ახმი ........ 30

**რეცენზია**

გ. ბედოშვილი, ქართული ლექსიკოგრაფიის ჩინებული შენაძენი ... 33

**მილოცვა** ........ 36

**გამოთხოვება**

იულიუს ახვლედიანი ........ 36

**მოვუსმინოთ პატარებს** ........ 36



22100



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№1-2 (38)

2001



33






გამოდის
თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი



საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა



1938 წლის 25 მაისს თბილისის უნივერსიტეტის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა. მოხსენების სტენოგრაფიული ჩანაწერი, რომელიც უნივერსიტეტის არქივშია დაცული, სრულად პირველად გამოაქვეყნა პროფ. ს. ჯორბენაძემ 1971 წელს თბილისის უნივერსიტეტის შრომებში [B1(128)]. სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული ეს უაღრესად საინტერესო პუბლიკაცია, ცხადია, არ იყო ხელმისაწვდომი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ამჯერად ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ერთ ფრაგმენტს ამ მოხსენებიდან.

ვფიქრობ ეს ფრაგმენტი ბევრ რამეზე დააფიქრებს გულისხმიერ მკითხველს...

# ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის

საქართველოში მოსპობილი იყო ქართული ენა, როგორც სავალდებულო ენა. მე-19 საუკუნის განმავლობაში, არაერთხელ აღძრულა საკითხი უნივერსიტეტის, ან, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ მაშინ ქართულ უმაღლეს სასწავლებელზე კი არ ოცნებობდნენ, რომლის განხორციელება იმ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ სწავლება ქართულად არ შეიძლებოდა, არამედ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სავალდებულო რუსული ენით, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხისათვის გაუგებარი იქნებოდა. მეტის თქმა შემიძლია: ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ არ იცოდა ხეირიანად ქართული ლაპარაკი. თქვენ, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენთ ასეთ მდგომარეობას ამჟამად, მაგრამ ჩვენს თაობას უნახავს, თავისი ყურით მოუსმენია ისეთი კრება, მთავრობის მიერ მოწვეული კი არა, სადაც არც ერთი სიტყვა ქართული არ ყოფილა წარმოთქმული. მეტიც: ქართველ ინტელიგენციას, საყველპურო ლაპარაკის გარდა, სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა. ეს ჩვეულებრივი იყო და, თუ გნებავთ, ამის გამო ქართული ენა არასავალდებულოდ ცხადდებოდა, ის იკითხებოდა მესამე კლასამდე ან მეექვსე გაკვეთილიდან ან იმ დროს, როდესაც გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდნენ, და ამ არასავალდებულო საგანს თითქმის არავინ სწავლობდა.

ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია სრულიად დაშორებული იყო ხალხს, ხალხისა და ინტელიგენციისათვის გაუგებარი იყო ხშირად ზრახვები, რომლებიც მათ ჰქონდათ. მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ საკითხებს,- პოლიტიკური საკითხები გაშუქებული იყო და პრესაშიაც მოიპოვებოდა,- მე ვგულისხმობ სამეცნიერო მწერლობას და სამეცნიერო აზროვნებას.

ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი, რომელიც იმდენად ბედნიერი იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლო, მოკლებული იყო უმეტეს ნაწილად უფლებას - თავის სამშობლოში ემსახურა. მაშინ ისეთი წესი არსებობდა, რომ ქართველებს გზავნიდნენ სხვაგან, არაქართული მოსახლეობის ადგილას, ამგვარად, განათლებული ინტელიგენცია ნამოშორებული იყო თავის ქვეყანას, მას რომ სურვებოდა კიდეც ემოღვაწევა იმ სფეროში, რომელიც მას დასახული ჰქონდა მიზნად, ამის შესაძლებლობა არ იყო.

მე მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც ფრიად დამახასიათებელი არის მაშინდელი მდგომარეობისათვის, რომ გაითვალისწინოთ, რამდენად დაკნინებული იყო მაშინ ქართული ენა. ამიერკავკასიაში განათლების საქმეს განაგებდა ცნობილი რუსიფიკატორი იანოვსკი, რომელსაც, უნდა ითქვას, თავისებურად უყვარდა კულტურაც და, თუ გნებავთ, კავკასიის წარსულიც. მან დააარსა ორგანო, ე.წ. „Материалы для описания местностей и племен Кавказа", რომელშიაც საინტერესო და საყურადღებო მასალები იბეჭდებოდა, მაგრამ იმაზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას. მე მაგონდება ერთი ამბავი და, თუ გადაფურცლავთ გაზეთებს, იპოვით ასეთი ამბავის აღწერილობას: ის შევიდა სასწავლებელში, ერთ კლასში, რომელსაც ასწავლიდა ქართველი მასწავლებელი და რომლის მოწაფეებიც ქართველები იყვნენ. ჰკითხა (მოთხრობის მიხედვით, რომელსაც არჩევდნენ, იმ მოთხრობაში იყო აღნიშნული „ვოდაპადი") - როგორ არის ქართულად „ვოდაპადი", მასწავლებელი დაიბნა, პასუხი ვერ გასცა. ჰკითხა მოწაფეს, მოწაფემაც ვერ უპასუხა. მაშინ

თქვა: უცნაურია: ქვეყანაში, სადაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ასეთი მოვლენაა, შეუძლებელია, არ იყოს სიტყვა, მისი გამომხატველი, რამდენად ღარიბი უნდა იყოს ენა, რომ ასეთი სიტყვა არ იყოს! ამის შესახებ მთელი გოდება იყო დაწერილი მაშინდელ ქართულ პრესაში, რომ ასეთ დაკნინებაში ვართ, რომ მასწავლებელს არ სცოდნია ასეთი რამ და ჩამოთვლილი იყო, რომ „ვოდოპადი"-სათვის მაშინ ქართულში არა ერთი სიტყვა არსებობდა, არამედ მრავალი: ჩანჩქერი, დანჩქერი, გოჩგოჩანა, რასაც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონშიც შეხვდებით და სხვ.

აი, ეს დამახასიათებელია! თქვენ გგონიათ, რომ იმ მასწავლებელმა მართლაც არ იცოდა არც ერთი სიტყვა? არა. მან იცოდა, მაგრამ, როდესაც მოულოდნელად ჰკითხეს, მოგონება ვერ შეძლო და ცნობილია, რომ, როდესაც ადამიანი არ ვარჯიშობს, შესაძლებელია, არათუ სიტყვა დაავიწყდეს, ენა დაავიწყდეს, - რომელიც მან კარგად იცოდა, - არამედ ლაპარაკის უნარიც კი დაკარგოს. სამკურნალო მეცნიერებაში ცნობილია ერთი შემთხვევა: ქალმა განაცხადა ქონიანობის გამო, - იმიტომ რომ მშობლებმა არ აუსრულეს სურვილი, - ოცი წლის განმავლობაში არ ვილაპარაკებო! ეს ამბავი მოხდა ამერიკაში. ოცი წლის შემდეგ, როდესაც მოიწვია თავისი მახლობლები და საზეიმოდ უნდა დაემტკიცებინა, რომ მან აღასრულა ეს აღთქმა და ოცი წლის თავზე დაიწყებდა ლაპარაკს, მას მხოლოდ პირის და ტუჩების ამოძრავებაღა შეეძლო, მაგრამ არც ერთი ბგერა აღარ აღმოხდა. მოდუნებული ჰქონდა ის აპარატი, რომელიც მეტყველებას განაგებს.

ამგვარად, ქართულ ენას არათუ განვითარების შესაძლებლობა მოსპობილი ჰქონდა, არამედ პირდაპირ ისეთი პირობები იყო, რომ უნდა დაეკარგა ინტელიგენციას ქართული ენა. რასაკვირველია, ხალხი, მასა, რომელიც ეროვნული გრძნობის პირველი მატარებელია, განაგრძობდა ამ ენაზე ლაპარაკს, მაგრამ ინტელიგენციისათვის ეს ენა უკვე დედაენა აღარ იყო და უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ თქვენ დააკვირდებით ქართულ მწერლობას - ბარათაშვილიდან დაწყებული - შეატყობთ, რომ ბევრი რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა. აზროვნებას მიჩვეული იყვნენ რუსულად, ქართულად თავიანთი აზრის გამოთქმა უძნელდებოდათ. ხშირად



მათთვის ქართული გაუგებარი იყო. ისინი ფიქრობდნენ სხვანაირად. ასეთ მდგომარეობაში, ბუნებრივია, არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ქართული უნივერსიტეტიც შესაძლებელია დაარსდეს, და როდესაც თხოულობდნენ, ქართული უნივერსიტეტი დაარსდესო, ამ ნიადაგზე ბრძოლა წარმოებდა. ქართველების გარდა, ამ ბრძოლაში ჩაებნენ სომხები. ქართველები თხოულობდნენ უნივერსიტეტს, სომხები - პოლიტექნიკუმს. ეს, რასაკვირველია, მაშინდელი მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, მას არც ერთი არ უნდოდა! როდესაც ორი მოქიშპე - კარგია, ორივეს უარყოფს. ყოველ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული იყო - რაც შეიძლება უფრო დიდი ხნით გადადებულიყო უნივერსიტეტის დაარსება. თუ რატომ იყო უნივერსიტეტის მომხრე ქართველი ინტელიგენცია და რატომ მიზანშეწონილად მიაჩნდათ სომხებს პოლიტექნიკუმი, ამის გარკვევას არ შევუდგები. არათუ ამის გამო წარმოებდა ბრძოლა, არამედ ადგილის გამოც: ნავთლუღში, ვაკეში თუ საბურთალოში! აქაც ქიშპობის მეტი არაფერი იყო. ასეთ მდგომარეობაში იყო საკითხი, და რა უმაღლესი სასწავლებელი უნდა შექმნილიყო ასეთ პირობებში, ადვილი წარმოსადგენია.

საყურადღებო გარემოებაა, რომ განსვენებული ვასილ პეტრიაშვილი ეცადა ორჯერ, თავისი მოღვაწეობა გადმოეტანა საქართველოში. მან, პირველმა, სცადა ქიმიის მეცნიერების გამოყენება და ორი საუცხოო ფუძემდებელი გამოკვლევა დაბეჭდა ქართულად. ამისდა მიუხედავად, ეს თავგამოდებული ადამიანი, რომელიც თავს ანებებს უნივერსიტეტს, სადაც პატივისცემით სარგებლობს - ეს იყო ოდესაში - ვერ ეღირსა ქუთაისში მაინც ლაბორატორია შექმნა და ამ ლაბორატორიაში ემუშავა ქართველ ქიმიკოსებთან ერთად. როდესაც ეს საქმე ჩაიშალა, მან სცადა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დირექტორობა, ოძისში უნდა დაარსებულიყო სასოფლო-სამეურნეო

სასწავლებელი, რასაკვირველია, რუსული, სხვა სასწავლებელი არ არსებობდა. ვასილ პეტრიაშვილი, რომელიც, თუ გნებავთ, ამ იერარქიული თვალსაზრისით და ქრონოლოგიურადაც უნდა დაქვეითებულიყო, ანებებდა თავს უნივერსიტეტს - იქ იყო დამსახურებული პროფესორი - გადმოდიოდა, ოძისში თანხმდებოდა სამსახურს, ოღონდ მშობლიურ ხალხთან ჰქონოდა საქმე. ქართველ თავადაზნაურობას თითქოს არ აღმოაჩნდა ფული, რომ ეს სასწავლებელი გაეხსნათ. თქვენ აქედან წარმოიდგინეთ, რა სავალალო პირობები იყო; თანამედროვე თაობას ვერც კი შეუძლია გაიგოს იმ სულიერი ტანჯვის მთელი საშინელება, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს მაშინ გამოვლილი ჰქონდა. ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფი, ვისაც კი სურდა ქართულად მოეხერხებინა მეცნიერული ლაპარაკი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მართლაც არ შეეძლო ეს. განათლებულ ადამიანს სჭირდება როგორც მათემატიკიდან, ისე ფიზიკიდან და სხვა მეცნიერებიდან სხვადასხვა ტერმინები, შესადარებლად თუ სხვა დებულების დასამტკიცებლად. არც ერთი ამ ტერმინთაგანი ან არ იყო, ან არ აგონდებოდათ. არსებობდა მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, ისიც კერძოდ შექმნილი: შ. ყიფიანის მიერ გეომეტრია იყო დაწერილი და შემდეგ ვ. ყიფიანის მიერ - ალგებრა. მე მახსოვს, გიმნაზიაში ვსწავლობდი და ვგრძნობდი, რომ ვერ ვახერხებდი სწავლას ისე, როგორც საჭიროა; როცა ვსწავლობდი სასწავლებელში რუსულად გეომეტრიას, შინ ვბრუნდებოდი, ავიღებდი მამაჩემის მშვენიერი ბიბლიოთეკიდან წიგნს (ყველა წიგნი მოიპოვებოდა იქ, რაც კი ევროპაში და საქართველოში კი გამოცემული) და ვიმეორებდი გეომეტრიას, რომ როგორმე მესწავლა რუსულად შესათვისებელი, მახსოვდა, რომ ქართულადაც იმავე აზრის გამოთქმა შესაძლებელი ყოფილიყო.

აი, ასეთი მდგომარეობა იყო. ქართული ენა არათუ სასწავლებელში და დაწესებულებებში იყო აკრძალული, არამედ თვით ქართველმა ინტელიგენციამ ისეთი პირობები შექმნა თავისდაუნებურ, რომ ბევრს აღარ შეეძლო შინაურობაში ქართულად ლაპარაკი. უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ სასწავლებლებში და დაწესებულებებში ქართული ენის აღაგმვა თვითმპყრობელური მთავრობის ბრალია, ის დანაშაული, რომელიც მერე ხშირად ეხება, თვითონ ქართველი ინტელიგენციისავე დანაშაულია. და გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენს მოწინავე წოდებას, რომელიც გამარუსებელ გავლენას არათუ თავის წრეში ამტკიცებდა, არამედ ხალხშიც უნებლიეთ თუ შეგნებულად ავრცელებდა, დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ჩვენი კულტურის განვითარება შეფერხებული იყო. ბოლოს და ბოლოს, ისეთი სულისკვეთება არსებობდა ჩვენში, რომ, თუ მთავრობა არ დაარსებდა სახელმწიფო უნივერსიტეტს, არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. გულხელდაკრეფილი შესცქეროდნენ ასეთ მდგომარეობას და უცდიდნენ, როდის გაიხსნებოდა თბილისში უმაღლესი სასწავლებელი.


გზა ტაძრისაკენ. პლაკატი ი. ავალიანისა

აი, ასეთი მდგომარეობა გახლდათ, როდესაც ჩვენ ვსწავლობდით საშუალო სასწავლებელში და როდესაც გვიხდებოდა ყოფნა უმაღლეს სასწავლებელში. უნდა აღვნიშნო, რომ საინტერესო მოვლენა იყო: სადაც კი ქართველი მეცნიერი გაჩნდებოდა რუსეთის რომელსამე საუნივერსიტეტო ქალაქში, იქ პატარა ბუდე გაჩნდებოდა ქართველი ინტელიგენციისა. ასე: ოდესაში ვასილ პეტრიაშვილმა ძლივძლივობით გაიკვლია გზა, მისი დატოვება უნდოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოჩენილი მეცნიერი იყო. ვასილ პეტრიაშვილის დარჩენამ გამოიწვია, თავის მხრივ, პეტრე მელიქიშვილის დარჩენა. მას შემდეგ ოდესის უნივერსიტეტი გახდა კერა ქართველი ინტელიგენციისა. რასაკვირველია, ეს კერა რუსული სასწავლო მეცნიერებისა იყო, მაგრამ, ვისაც გული შესტკიოდა, შეეძლო იგი თავისი ხალხისათვის გამოეყენებინა, და ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლი დაუვიწყარი უნდა დარჩეს იმიტომ, რომ მან გაბედა, პირველმა, ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა.

რამდენჯერ გამიგონია, რომ ქართული მეცნიერული მწერლობა ვერ შეიქმნებაო. 1917 წელს ამას გვიმტკიცებდნენ, რომ ქართული მეცნიერების დაფუძნება შეუძლებელიაო და ვასილ პეტრიაშვილმა არათუ უარყო, არამედ დაამტკიცა, რომ საუცხოო სამეცნიერო თხზულების დაწერა შეიძლება. დაწერა და გამოსცა კიდეც ისეთი თხზულება, რომელიც არ ჩამორჩება არც ერთ ევროპულ ენაზე დაწერილს! მაგრამ ეს შეძლო ვასილ პეტრიაშვილმა, ვინაიდან გრძნობდა პასუხისმგებლობას, რომ, თუ შენ ბედნიერი ხარ იმდენად, რომ დაწინაურდი და მეცნიერებას დაეუფლე, ვალდებული ხარ - შენი დაბეჩავებული ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენო შენი ცოდნა. სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმოდა.

აკადემიკოს ვარლამ თოფურიაზე საუბრობენ მისი მოწაფეები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორი გიორგი როგავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბესარიონ ჯორბენაძე, უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტები: ნია აბესაძე, ელენე კოშორიძე და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლია ჩეიშვილი.

# იცით, როგორი იყო ვარლამ თოფურია?

**ბესარიონ ჯორბენაძე.** დიდი ადამიანი იყო ბატონი ვარლამი. ღრმა მკვლევარი ქართული ენისა, დიალექტოლოგი, ლექსიკოლოგი, სვანური ენის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკისა და გრამატიკის უბადლო სპეციალისტი, ქართული ენის საუნივერსიტეტო კურსის ერთ-ერთი შემქმნელი.

ჯერ მარტო ბატონი ვარლამის სამეცნიერო სტილზე რამდენი რამ ითქმის. ლაკონიური, ზუსტი, ტევადი, აზრი რაციონირებულად და ყოვლისმომცველად ხორცშესხმული. არაფერი - ზედმეტი ან ნაკლული. მცირე მოცულობის ნარკვევი ხშირად მონოგრაფიული კვლევის შედეგებს იტევს.

***გიორგი როგავა.*** მან გამოაქვეყნა ბრწყინვალე მონოგრაფია - „სვანური ზმნა". სხვა მისი ნაშრომები კი მოცულობით დიდი არ არის, ოღონდ თითოეული მათგანი არსებითი ხასიათის დებულებებითაა დატვირთული.

***ბესარიონ ჯორბენაძე.*** და რა უბრალო იყო იგი ცხოვრებაში. მასთან ყველა მოსაუბრე თანაბარი უფლებით სარგებლობდა. მიუხედავად თავისი განათლებისა თუ სამეცნიერო ცენზისა, იგი არავის აგრძნობინებდა თავის უპირატესობას. და ყოველი ახალი შეხვედრის შემდეგ უთუოდ იგრძნობდი, რომ შენ ხარ რაღაცით უფრო უკეთესი და მასთან ერთად უფრო პასუხისმგებელი შენი მოქმედებისთვის, ვიდრე აქამდე იყავი.

---

გადმობეჭდილია ჟურნალ „დროშიდან" (№2, 1989 წ.)

***ელენე კოშორიძე.*** ბატონ ვარლამს ცოცხალს ვერ გავუბედავდი, რაიმე მეთქვა ან დამეწერა მასზე. ის თავის მოწაფეებს დისერტაციის



დაცვის დროს მადლობის თქმის ნებასაც არ აძლევდა. ეს ჩემი მოვალეობააო! - იტყოდა ხოლმე.

სამოცი წელი რომ შეუსრულდა, ბუნებრივია, საზოგადოებრიობას სურდა, მისთვის იუბილე გადაეხადა. ბატონმა ვარლამმა ეს არ დაუშვა.

როგორ დამავიწყდება: კათედრა მაინც შეეცადა, რითიმე აღენიშნა ეს თარიღი. ხალდუმლოდ მომზადდა ვახშამი ქალბატონ მარიამ თალაკვაძის ოჯახში... და აი, ცნობილი ხელოვანის - მიხეილ მაჭავარიანის ნახელავი ყვავილების კალათით ხელდამშვენებულები მივრძანდებით შევაღეთ ბატონი ვარლამის ეზოს ჭიშკარი. შინ მხოლოდ ნანა და გურამი დაგვხვდნენ - შვილები.

მეორე დღეს ბატონმა ვარლამმა გულწრფელად გვისაყვედურა კალათისათვის, მაგრამ სტუმრობაზე უარი არ უთქვამს და მეუღლესთან - ქალბატონ თამართან ერთად მობრძანდა ქალბატონი მარიამის ოჯახში. ეს იყო 1961 წლის 8 იანვარი. მას შემდეგ ამ დღეს ყოველთვის ბატონი ვარლამის ოჯახში ვიკრიბებოდით. დაუვიწყარი იყო ის დღეები: უბრალო, გარეგნულ ბრწყინვალებას მოკლებული, მაგრამ ადამიანური სითბოთი და სიყვარულით სავსე.

ბატონი ვარლამი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ბანკეტისა და რეკლამისა, განსაკუთრებით დისერტაციის შემდგომ გამართული წვეულებებისა. ერთხელ შევბედე: ნუთუ ცოდვაა, მოსწავლეს ჰქონდეს სურვილი, ერთხელ მაინც ეწვიოს მას შინ თავისი მასწავლებელი? ამისთვის კი დაცვის დღე ყველაზე შესაფერისია, რადგან დიდ სიხარულს სიხარული დაემატება-მეთქი.

- სტუმრობა? რა თქმა უნდა, შეიძლება. სიამოვნებით წამოვიდოდი თქვენთან რთველში. მოგეხმარებოდით კიდეც, - მითხრა და თავისებურად თბილად გამიღიმა.

ერთხელ ბატონ ვარლამს წყნეთში ვეწვიეთ მე და თინა ღვინაძე. ხეხილი ახლა ჩაყრილი ჰქონდა. ბაღი - შესანიშნავად მოვლილი, ნაპატრონები. ფერად-ფერადი მიხაკების სურნელმა გაგვაბრუა და, როცა აღტაცება ვერ დავფარეთ, გულწრფელად შეწუხდა: ახლა ძალიან ცხელა. ვერ მოვთხრი ძირებს, თორემ გაგატანდითო.

...მეორე დღეს, დილის ათ საათზე მე და თინას უკვე გვქონდა იმ მიხაკების ძირები, ალბათ ამდგარიყო ბატონი ვარლამი, მოეთხარა და გურამისათვის გამოეტანებინა. მხოლოდ ერთხელ შევბედე ბატონ ვარლამს, ყვავილები მიმერთმია მისთვის - ეს ის მიხაკები იყო, დეიდაჩემმა ბატონი ვარლამის ნაჩუქარი ძირებიდან რომ ახარა.

ბატონმა ვარლამმა ჯერ კუშტად შემომხედა. მერე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ნელ-ნელა გაეხსნა

შუბლი.

**ლია ჭეიშვილი.** ერთხელ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ავად გახდა. მდგომარეობა მძიმე იყო, საავადმყოფოში მოათავსეს. ბატონ ვარლამს გაეგო ეს ამბავი. დამირეკა და მთხოვა, რომ მის სანახავად წავსულიყავით. მან მთავარი ექიმი ნახა, ესაუბრა, სთხოვა: თუ საჭირო გახდეს რაიმე წამალი, ნუ მოერიდებით, უმალ შემატყობინეთო. მერე თავად სტუდენტი მოინახულა, ანუგეშა, გაამხნევა, დაიმედა. ბოლოს კონვერტით ფული მისცა: რაც უნდა, ყველაფერი უყიდეთ და მოუტანეთო.

არასოდეს ავიწყდებოდა ხელმოკლე სტუდენტების დახმარება. ვინ იცის, რამდენჯერ საკუთარი ფული დაუტოვებია, ამა და ამ სტუდენტს გადაეცით, უნივერსიტეტმა დახმარება გამოყო მისთვისო.

**გიორგი როგავა.** მისი ხელგაშლილობა ხომ ცნობილი ფაქტია. ეკონომიურად ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს, სხვა რესპუბლიკებიდან ენის შესასწავლად ჩამოსულ ახალგაზრდებს, ასპირანტებს. თუ სადმე შევიდოდით საუზმის ან სადილისთვის, დაკანონებული ჰქონდა: მასპინძელი აუცილებლად თავად უნდა ყოფილიყო. ერთხელ, ქუთაისში მუშაობის დროს, შევძელი და ფარულად გადავიხადე დანახარჯი. იმ საღამოს ბატონი ვარლამი თბილისში ბრუნდებოდა. ამ დროს ყოველთვის მე ვაცილებდი. ფეხით მივდიოდით სადგურამდე. ეს ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო. იმ დღეს ეს სიამოვნება ჩამეშალა. ბატონმა ვარლამმა ხმა აღარ გამცა. როცა მოემზადა წასასვლელად და მეც დავაპირე გაყოლა, რაზე წუხდებითო,- ცივად მითხრა, სასწრაფოდ გაიჭრა ეტლი და შიგ ჩაჯდა. ძალიან შევწუხდი... რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე წერილი. ცხადად ჩანდა, ძალიან წუხდა ჩვენი „ინციდენტის" გამო.

**ბესარიონ ჟორჟენაძე.** ბატონი ვარლამი ფლობდა სათუთ ხელოვნებას - ყოფილიყო ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა პირველაღმომჩენი.

შეუცდომლად მიაგნებდა ხოლმე ახალგაზრდის ნიჭსა და მისწრაფებას. მერე ყველაფერს გააკეთებდა ამ ნიჭის გამოსავლენად და სწორი გეზის მისაცემად. ჯერ მარტო სტუდენტების სამეცნიერო მივლინებებზე რა ძალასა და ენერგიას ხარჯავდა.

**ელენე კოშორიძე.** ვიდრე სტუდენტებს სამეცნიერო მივლინებაში გააგზავნიდა, ჯერ თავად ჩავიდოდა ადგილზე, შეამოწმებდა ცხოვრების პირობებს. ადგილობრივ ხელმძღვანელობასაც გაესაუბრებოდა, გაარკვევდა საქმის არსში და სთხოვდა, ხელი შეეწყოთ ახალგაზრდებისათვის...

**ნია აბესაძე.** მუდმივი კავშირი ჰქონდა მივლინებაში მყოფ სტუდენტებთან. ახლაც თითქმის ზეპირად მახსოვს მისი წერილი, რომელიც სვანეთში მივიღე: „პატივცემულო კოლეგა ნინო! - მწერდა იგი, - თანახმად პირობისა, თქვენგან წერილი უნდა მიმეღო. ჯერჯერობით არა ჩანს. იმედი მაქვს, რომ შემატყობინებთ, როგორა ხართ და როგორ მიდის თქვენი მუშაობა!

ზოგი რამ ვიცი, მაგრამ დაწვრილებით გავიგებ ცოტა მოგვიანებით. გამოირკვა, რომ ამხანაგები წერილს იშვიათად უგზავნიან მშობლებს და დეპეშით კმაყოფილდებიან. გადაეცით ამხანაგებს, რომ დეპეშა არაა წერილის მაგიერი. ეს, სხვათა შორის, მთავარი მუშაობაა. ამის შესახებ კი ცოტა ვიცი...

გახსოვდეთ, რომ თითოეულმა თქვენგანმა უნდა ჩამოიტანოს ჩანაწერები (ლექსიკური მასალა, ტექსტები, გრამატიკული ვარჯიშობანი) არა ნაკლებ რვეულის 250 გვერდისა. ამდენი მასალის შეკრება დროსა და დაძაბულ ენერგიას მოითხოვს. ყოველდღე თუ არ იმუშავებთ და არ ჩაიწერეთ მასალები 6-7 გვერდის რაოდენობით, შედეგი სამწუხარო იქნება...

სვანეთი უთუოდ მოგეწონებოდათ. შესანიშნავი ადგილებია, კარგი იქნება, თუ ადგილებს ნახავთ, ხალხს გაიცნობთ...

გთხოვთ, გადასცეთ ამხანაგებს ჩემი მოკითხვა და ეს დიდი სურვილები.

იყავით კარგად.

პატივისცემით ვ. თოფურია.

მერე იგი სვანეთშიც ჩამოვიდა. ყველაფერი დაწვრილებით იყო იმ დღეებში. ის აღტაცებაც, რომლითაც „თეთნულდისფერთმიან მოძღვარს" შეხვდნენ თავისი მოწაფეები. ბატონი ვარლამის სითბო და სიყვარულიც და მავე წყლებთან ფარული, შეუმჩნეველი, იმპროვიზებული გამოცდაც სვანურ ენაში...

**ლია ჭეიშვილი.** ექსპედიციიდან დაბრუნებულით და, საგანგებოდ მოიწვევდა კათედრის სხდომას, თან ანგარიშს გვაბარებინებდა, თან გვაგრძნობინებდა, რა მნიშვნელოვანი საქმე გავაკეთეთ.

**ელენე კოშორიძე.** ყველას გვახსოვს, რა ძალას ხარჯავდა „ახალგაზრდობის მასწავლებლად კურთხევის" საქმეზე. გვახსოვს ბატონი ვარლამი პედაგოგიური პრაქტიკის დღეებში, ან რა ყურადღებით ეპყრობოდა იგი უცხოეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს. არდადეგების დროს ჩვენთან ერთად აგზავნიდა მათ საქართველოს რომელიმე კუთხეში სამუშაოდ. ამით ჩვენს დაახლოებასაც უწყობდა ხელს და იმასაც, რომ ისინი სრულად გასცნობოდნენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, ისტორიულ ძეგლებს...

**ნია აბესაძე.** სტუდენტთა გაცვლა ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის თავდაპირველად ვარლამ თოფურიას ინიციატივით წამოიწყეს 60-იანი წლების დასაწყისში.

ბატონი ვარლამის მიერ აღზრდილი მოწვეული სტუდენტები ამჟამად თავიანთ რესპუბლიკებში ცნობილი მეცნიერები და მთარგმნელები არიან და დიდ პოპულარიზაციას უწევენ ქართულ კულტურას.

**ბესარიონ ჟორჟენაძე.** ბატონი ვარლამი უაღრესად მომთხოვნიც იყო. ასპირანტი, რომელიც მასთან მუშაობდა, იოლად ვერ მიიღებდა ლექციაზე შესვლის უფლებას.

**ელენე კოშორიძე.** ჯერ მის პედაგოგიურ გამოცდილებაზე ზრუნავდა, ასწორებინებდა საკონტროლო თუ საკურსო შრომებს, ასწრებდა გამოცდილი ლექტორების ლექციებს, გამოცდებს, აგზავნიდა სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკაზე...

დიდი, რთული გზის გავლა იყო საჭირო მანამ, სანამ აუდიტორიაში შესვლის ნებართვას მიიღებდი.

**ლია ჭეიშვილი.** მერე როგორ შეეძლო ბატონ ვარლამს სხვისი

შრომის დაფასება.

**ელენე კოშორიძე.** თავის გამოცდილ სტუდენტს ან ასპირანტს აუცილებლად კიდევ სხვას გაასაუბრებდა. ასეთი იყო მისი მუშაობის მეთოდი. მაგრამ ეს შეუმჩნევლად ხდებოდა!... გადამდები სიმშვიდე ჰქონდა ბატონ ვარლამს. შემპარავად, თითქოს სხვა საგანზე საუბრით იწყებდა და ურთულეს საკითხებზე იოლად, მარტივად აკეთებინებდა ახსნებს.

**გიორგი როგავა.** მახსოვს, ერთხელ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუწერა ერთ სტუდენტს (ქუთაისში მოხდა ეს). იგი ლადო ასათიანი გახლდათ. სწორედ იმ დღეებში გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთში ლადო ასათიანის ორი ლექსი. ბატონი ვარლამი აღფრთოვანდა ამ ლექსებით, ძალიან შეაწუხა თავისმა „დანაშაულმა", სასწრაფოდ დაიბარა ლადო და ნიშანი გადაუსწორა.

**ელენე კოშორიძე.** ახლა, ალბათ, ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ აკადემიკოსი, რომელსაც თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა, რაიონში წასული კურსდამთავრებულებისთვისაც იცლიდა.



**ბესარიონ ჯორბენაძე.** ეს მაშინ კათედრას ოფიციალურად არ ევალებოდა. ახლა ამაზე საგანგებო მითითება არსებობს.

**ელენე კოშორიძე.** ბატონმა ვარლამმა ზედმიწევნით იცოდა, ქართველური განყოფილების რომელი კურსდამთავრებული სად მოღვაწეობდა, რას აკეთებდა, როგორ ცხოვრობდა. დიალექტურ გარემოში მოხვედრილთ ავალებდა დაკვირვებას მოსწავლეთა წერით ნამუშევრებზე. მათგანვე მოითხოვდა. მოუძებნათ ყველა გზა და საშუალება, რომ მოსწავლეებს დაეძლიათ ეს შეცდომები. რაიონში მომუშავე მასწავლებლები მოხსენებებითაც ბევრჯერ წარდგენია კათედრის წინაშე.

ბატონი ვარლამი საგონებელში ჩავარდნილი ახალბედა მასწავლებლების ნუგეშიც იყო.

ეს თანადგომა საკუთარ თავზე გამოვცადე: უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სოფელ ნინოწმინდაში წავედი სამუშაოდ. იქ რაღაც გაუგებრობის გამო მუშაობის უმძიმესი პირობები შემექმნა. ძალიან მიჭირდა ბავშვებთან განშორება, მაგრამ გადავწყვიტე, მიმეტოვებინა სკოლა.

და აი, სასტიკად გაორებული, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს ვკრავ ბარგს და თბილისისაკენ უნდა გამოვემგზავრო, რომ ფოსტალიონს წერილი მოაქვს. კონვერტზე ბატონი ვარლამის ხელი ვიცანი...

ძნელია მაშინდელი განცდის გადმოცემა. თითქოს ბატონმა ვარლამმა დანაშაულზე წამასწრო.

კონვერტში იდო ასლი ჩემი დახასიათებისა, რომელსაც თურმე აკადემიკოსი ვარლამ თოფურია იქაურ ხელმძღვანელობას უგზავნიდა. მე კი მამხნევებდნენ ჩემი მასწავლებლები.

ეს ჩემთვის დიდი თანადგომა იყო. სკოლა, რა თქმა უნდა, აღარ მიმიტოვებია.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** ძალიან ძნელია, გადმოსცე ბატონი ვარლამის გარეგნული მშვენიერება და პიროვნული ღირსებები. ადამიანური სითბო და პედაგოგიური ხელოვნება. მისი დიდი მეცნიერული ღვაწლი. იგი ყოველმხრივ შემკული პიროვნება იყო: სპეტაკი, სახენათელი, სათნოებისა და კეთილშობილების განსახიერება. ის რომ ფეხს შემოდგამდა, თითქოს, ნათელი ეფინებოდა მეცნიერების დიდ ტაძარს; არავის და არაფერს დატოვებდა შეუმჩნეველს...

**ელენე კოშორიძე.** ვიდრე ქართული ენის კაბინეტში შემოაღწევდა, სტუდენტებით, ასპირანტებით, თანამშრომლებით გარემოცული ტრიალებდა დერეფანში.

ბატონი ვარლამის კოლეგებსა და თანამშრომლებს, სტუდენტებსა და ასპირანტებს ახსოვთ იგი ქართული ენის კაბინეტში საწერ მაგიდასთან თავჩარგული ქაღალდებსა და ბარათებში. ახსოვთ ენათმეცნიერების ინსტიტუტში, პიონერთა სასახლეშიც ნორჩი ტოპონიმისტებისა და ფილოლოგების კონფერენციებზე. ახსოვთ შინ, თავის სამუშაო კაბინეტში, სადაც ძნელად იპოვიდით დასაჯდომს. მაგიდა კი არა, სკამებიც სავსე იყო წიგნებით, ბარათებით, ხელნაწერებითა თუ საკორექტორო მასალით...

**ლია ჭეიშვილი.** ბედნიერნი იყვნენ ის თაობები, რომელთაც მასთან ჰქონდათ ურთიერთობა, პირადად იცნობდნენ ან თუნდაც შორიდან ხედავდნენ მას.

ელენე კოშორიძე. ბატონი ვარლამის დაკარგვა გაუნელებელ ტკივილად დარჩათ მის მოწაფეებსა და კოლეგებს.

ეს ტკივილი მიმძაფრდება, როდესაც მახსენდება ბატონი ვარლამის უბრალო ნათქვამი: სიამოვნებით წამოვიდოდი თქვენთან რთველში, მოგეხმარებოდით კიდეც.

მე კი ვერც ერთხელ ვერ შევბედე მას მიპატიჟება... და, როცა 1966 წელს მისი მიწვევა გადავწყვიტე, თითქოს განგებამ ინება, რომ რთველისთვის დათქმულ დღეს (9 ოქტომბერს) აღარ გვყოლოდა ძვირფასი მასწავლებელი.

ათრთოლებული ხელებით ვამკობდით მის სამუდამო სამყოფელს დიდების პანთეონის წმინდა მიწაზე.

**ბესარიონ ჯორბენაძე.** ვარლამ თოფურიას მიერ ქართული ენის უძველეს და უწმინდეს ტაძარში დანთებული სანთელი კვლავაც სპეტაკია და უქრობელი.

დამანა მელიქიშვილი

# რამდენიმე ფრაგმენტი სტუდენტის დღიურიდან

**ფრაგმენტი I.** გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურული. უფრო ზუსტად კი ივლისის დამლევი... დილამ, ჩვეულებისამებრ, ორი ნაწნავი დამიწნა, შუშაბანდის კარამდე გამომყვა და გამისტუმრა უნივერსიტეტში (მაშინ ის ერთადერთი იყო), ოქროს მედალოსანთა გასაუბრებაზე. ტროლეიბუსით მივედი სადგურის ქუჩისა და პლეხანოვის გზაჯვარედინამდე, გადავჯექი ტრამვაიში, რომელმაც გადაიარა ჩელუსკინელების ხიდი, აუყვა ლენინის ქუჩის აღმართს, გაუხვია მარჯვნივ, რაკუნით გაიარა მელიქიშვილის ქუჩა და გაჩერდა საოცნებო თეთრ ტაძართან. გულისცემით ჩამოვხტი, სწრაფად ავირბინე მრუდე აღმართი, შევედი ფართოდ გაღებულ კარიბჭეში და გავყევი აბიტურიენტების ნაკადს. მესამე სართულზე მიმითითეს ერთ პატარა, კუთხის აუდიტორიისაკენ.

შვიდნი თუ რვანი ვიყავით. ერთმანეთს ვათვალიერებდით, ვღელავდით... ის იყო, ლაპარაკი გავაბით, რომ კარი გაიღო და გამოჩნდა ოდნავ მოხრილი, მაგრამ ბუმბერაზი შესახედაობის თოვლივით თეთრთმიანი მოხუცი. სათვალეს ისწორებდა და თან მორიდებული ღიმილით გზას უთმობდა თითქოს მასზე უფრო ახალგაზრდა ასევე მომღიმარ სათვალიან კაცს. სუნთქვა შეგვეკრა...

შემდეგ გავიგეთ, რომ პირველი მათგანი პროფესორი ვარლამ თოფურია იყო, მაშინ სულ 57 წლისა, მეორე კი პროფესორი მიხეილ ზანდუკელი...

ამ ორი დიდი მეცნიერისა და მოძღვრის ხელდასხმით გავხდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები...

**ფრაგმენტი II.** 1 სექტემბერი... 107-ე აუდიტორია გადავსებულია პირველკურსელებით. ოლიმპოს მკვიდრთა გარეგნობის ბატონ ვარლამს ოლიმპოური სიმშვიდით, ჩუმი და წყნარი ხმით, ლამის ჩურჩულით, შეჰყავართ ქართული ენის იდუმალ სამყაროში...

**ფრაგმენტი III.** პირველი გამოცდა ქართული ენის გრამატიკაში ბატონ ვარლამთან. საკითხი - ბრუნების სისტემა ქართულში ისტორიული თვალსაზრისით, შედარება რუსულ და ფრანგულ ენების ბრუნების სისტემასთან. ბრუნვის ნიშანთა გენეზისი... ეს უჩვეულო გამოცდა, გამოცდა კი არა, უაღრესად საინტერესო წარმართული საუბარი მასწავლებელსა და მის პირველკურსელ მოწაფეს შორის თითქმის ერთ საათს გრძელდება. ბატონ ვარლამს კმაყოფილების ღიმილი ეხატება სახეზე...

უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს...

**ფრაგმენტი IV.** პირველი საკურსო და საკონფერენციო შრომები ბატონი ვარლამის ხელმძღვანელობით. მისი ხელით ნასწორებული თაბახის ფურცლები, ვინ იცის, მერამდენედ გადაწერილი... პირველი დიალექტოლოგიური ექსპედიცია რაჭაში ბატონი ვარლამის მიერ გაკვალულ გზაზე. როგორი სითბოთი გვხვდებოდნენ ყოველ სოფელში, როცა გაიგებდნენ, რომ მისი სტუდენტები ვიყავით (წინა წელს მას ფეხით ჰქონდა მოვლილი მთელი რაჭა). როგორ გაგვახარა და წაგვახალისა, ჩვენი ჩამოტანილი მასალიდან შერჩეული ტექსტები რომ დაბეჭდა დიალექტოლოგიურ კრებულში! როგორი რწმენა ჩაგვინერგა იმისი, რომ ჩვენც, მეოთხეკურსელებს, ჩვენი შრომით შეგვეძლო რაღაც წვლილი შეგვეტანა იმ დიდ საქმეში, რომელსაც იგი ედგა სათავეში...

ფრაგმენტი V. ექსკურსია საინგილოში... კახის სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკისთვის წიგნები ჩავიტანეთ. სოფელ ალიაბათშიც ავედით. ბატონი ვარლამი ინგილოური ტექსტების ანაბეჭდებს ამოწმებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან... ქართული ენის პროპაგანდისა და ეროვნული იდეების ქადაგებაში [illegible], [illegible] შავმა მილიციელმა იგი სოფლის შინაგან საქმეთა განყოფილებაში წაიყვანა..

**ფრაგმენტი VI.** ასპირანტურის წლები... ბატონი ვარლამის დაუვიწყარი სემინარები უნივერსიტეტის I კორპუსის საპროფესოროში. ცოცხალი კამათი, როდესაც მასწავლებელი ხანდახან აძლევს მოწაფეს გაიხსნას თავისუფალ კამათში, კრიტიკულად შეაფასოს ნებისმიერი ავტორის თვალსაზრისი, მოიძიოს და წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტები, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. გაწვრთნას გონება და ისწავლოს აზროვნება...

ამიტომ გვაყვარებდა ასპირანტურის პირველი კურსიდანვე ლექცია-სემინარების ჩატარებას, ენათმეცნიერული ნაშრომების (საკურსო და სადიპლომო შრომებიდან დაწყებული, აღიარებულ მეცნიერთა შრომებით გათავებული), რეცენზირებას, საჯარო სხდომებზე მოხსენებების კითხვას, უცხოელ ქართველოლოგთა ნაშრომების თარგმნას...

**ფრაგმენტი VII.** კმაყოფილმა იმით, რომ მთელი ზაფხული ვიმუშავე, რენე ლაფონისა და ჰანს ფოგტის ნაშრომების თარგმნა დავასრულე და როდესაც შინ მივუტანე ორი დიდი საქაღალდით (მაშინ ბატონი ვარლამი ავად იყო), მან სათვალე გაისწორა და მისთვის დამახასიათებელი მორიდებული ღიმილით მითხრა: „ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თქვენი სად არის".

ამ საყვედურივით სიტყვებმა გული ჩამწყვიტა და დღისა და ღამეს ვასწორებდი, რომ მისი იმედი არ გამეცრუებინა... და რა ფრთით დავეშვი კიბეზე, როდესაც „მნათობში" გამოქვეყნებული ჩემი პირველი სტატიის წაკითხვის შემდეგ, უნივერსიტეტში რომ შემხვდა, ერთი სიტყვით შემიფასა იგი: „გვარიანია".

ეს იყო 1966 წლის ივნისში... ძალიან მაჩქარებდა, სექტემბრისათვის დასრულებული მინდოდა...

1967 წლის დეკემბერი... რა მძიმე განცდაა, ბატონი ვარლამი, ჩემი სათაყვანებელი მოძღვარი და მასწავლებელი, რომლის ერთი უბრალო სიტყვა - „გვარიანია" - ჩემთვის ყველა ხარისხზე უაღრესია, ვეღარ დაესწრო ჩემს მთავარ გამოცდას...

განვაგრძობთ ბეჭდვას საქართველოს ტელევიზიის I არხით გადაცემული სიუჟეტების ტექსტისა, რომლის ავტორი არის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჯორბენაძე; კონსულტანტი - ამავე განყოფილების ხელმძღვანელი, დოც. შუქია აფრიდონიძე.

# სწორია




### ვდგავარ, ვწევარ

ქართულში ზმნები, ანუ მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები, პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: I ჯგუფში შევლენ ის ფორმები, რომლებიც არ საჭიროებენ მეშველი ზმნის დართვას არცერთ პირში: ვაკეთებ, ვწერ, ვსწავლობ და სხვები.

II ჯგუფში კი ის ფორმები აღმოჩნდებიან, რომლებიც ახლანდელ დროში I-სა და II პირში მეშველ ზმნას - **ვარ, ხარ** დაირთავენ. ამ ჯგუფში შევლენ სტატიკური შინაარსის მქონე ზმნები: **ვწევარ, წევხარ; ვზივარ, ზიხარ, ვდგავარ, დგახარ; ვგავარ, ჰგავხარ** და სხვები. მეშველ ზმნებს ეს ფორმები მრავლობით რიცხვშიც გამოიყენებენ: **ვწევართ, წევხართ; ვდგავართ, დგახართ** და ა.შ.

III პირის ფორმები მარტივია ორივე რიცხვში: წევს, წვანან; ზის, სხედან; დგას, დგანან; ჰგავს, ჰგვანან და ა.შ.

ამ ტიპის ზმნებთან შეცდომები I და II პირის ფორმებში მოგვდის, კონკრეტულად კი ა ხმოვნის შემცველ სიტყვებში. მათზე **ვარ, ხარ** მეშველი ზმნების დართვისას თავს იყრის ორი ა ბგერა და ჩნდება ტენდენცია პირველი მათგანის ე-ში გადასვლისა. ასე გაჩნდა არასწორი ფორმები: ვდგევარ, დგეხარ; ვგევარ, ჰგევხარ; ვკევარ, ჰკევხარ; იმის გასარკვევად, თუ რომელი ხმოვანი - ა თუ ე უნდა გამოვიყენოთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, III პირის ფორმა დაგვეხმარება. თუ III პირში ა ბგერა გვაქვს, I და II პირშიც ა ხმოვანი გვექნება; იგივე შეიძლება ითქვას ე ბგერაზეც. ასე რომ, სწორია ფორმები: **ვდგავარ, დგახარ; ვგავარ, ჰგავხარ; ვკავარ, ჰკავხარ**, რადგანაც III პირში გვაქვს: დგას, **ჰგავს, ჰკავს**; და ასევე: **ვწევარ, წევხარ**, რადგანაც III პირის ფორმაა: **წევს**.

გიორგი ნიბახაშვილი

# ენა ეძებს ტერმინს

### ფარეხი თუ გარაჟი

სიტყვა - **გარაჟი** ქართულში რუსულიდან შემოვიდა. რუსულში (როგორც სხვა ევროპულ ენებში) - ფრანგულიდან და ყველგან ერთი მკაფიოდ დაფიქსირებული მნიშვნელობა აქვს - ავტომობილის დასაყენებელი, შესანახი შენობა, სათავსო. გასაგებია, რომ სხვა ცნებისათვის სიტყვა საკმაოდ ახალგაზრდაა, თუმცა მთელ მსოფლიოში მოასწრო გავრცელება ამ ერთადერთი მნიშვნელობით (ავტომანქანის შესანახი შენობა). შეიცვალა მხოლოდ ფონეტიკური სახე და ისიც ოდნავ, თუმცა დაწერილობა ბევრ ენაში ფრანგული გადავიდა.

ქართულისათვის ძალიან ადრე გამოჩნდა ამ ბგერათა კომპლექსის ათვისება და თქმაშიც და წერაშიც დამკვიდრდა „გარაჟი". ასე დაფიქსირდა ფაქტი: ენაში მოვიდა სხვა ენიდან ახალი ცნების გამომხატველი სიტყვა, რომელმაც დაიკავა ლექსიკის თავისუფალი უჯრედი. რომელიმე ქართული სიტყვა კი არ განდევნა, არამედ თავისუფალი სივრცე შეავსო და მას მეტოქე შემდეგომშიც არ გამოსჩენია.

მერე საუკუნის ოციან წლებში, როდესაც ქართულ ენაში დაიწყო ტერმინთშემოქმედების მძლავრი პროცესი და მოკლე დროში ბევრი რამ სასიკეთოც გაკეთდა, დროდადრო თავს იჩენდა ხოლმე უკიდურესი პურისტული მიდგომის ტენდენციებიც - ლტოლვა ყველაფრის გაქართულებისაკენ: ვთქვათ, ტელეფონის, ატომის, ვაგონის ნაცვლად ულსმენი, წია, რინოდა და სხვა მრავალი ასეთი.

იმ წლებშივე გაჩნდა იდეა **„გარაჟის"** ნაცვლად ენას ეხმარა ძველი ქართული სიტყვა **„ფარეხი"**. გარდასულ მოღვაწეთა ნაამაგარს პატივისცემა სჭირდება, მაგრამ დასაზუსტებელი უნდა დაზუსტდეს. ეს სჭირდება ენას, რაც საკითხის გადაწყვეტისას უპირველეს ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება არქაულს (გარაჟის აღმნიშვნელ „ფარეხი"), იგი თავიდანვე მკვეთრი იყო და ენამაც მას მკაცრი განაჩენი გამოუტანა - არ მიიღო შემოთავაზებული სანაცვლო და გარაჟი მტკიცედ დარჩა მანქანის სადგომის ერთადერთ სახელწოდებად საზოგადოების ყველა ფენის მეტყველებაში. „ფარეხი" კი იხმარება იმავე მნიშვნელობით, რაც მას საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა და დღესაც აქვს: „ფარეხი"- „საცხოვრე", როგორც ბრძანებს დიდი საბა. ეს იდეა შენარჩუნებულია ყველა ლექსიკონში. რაც შეეხება „ფარეხის" ახალი, ტექნიკური ტერმინის ფუნქციით დატვირთვას, ამისი სრული უპერსპექტივობა კარგად დაინახა ცნობილი „ტექნიკური ტერმინოლოგიის" შემდგენელმა კომისიამ და დაადგინა, რომ რუსული гараж ქართულად **გარაჟია** და სხვა არაფერი, ხოლო სიტყვა „ფარეხი" ამ ლექსიკონში საერთოდ არ არის.

ისმის კანონიერი კითხვა: ვის და რისთვის სჭირდება, რომ ხან აქ - ხან იქ გვიწერენ და გვეუბნებიან (რადიო, ტელევიზია, რეკლამა, პრესა), რომ „ტროლეიბუსი (ან ავტობუსი) მიდის ფარეხში". არადა, ყველა ამბობს „...მიდის გარაჟში". ეს დადგენილი და დაკანონებულია ყველა დღეს მოქმედი ნორმით. მაშ ვის სჭირდება დიდი ხნის წინათ დაშვებული შეცდომის გამეორება? რა არის ეს? - ტელმაიწყობა, დაუდევრობა, უნიადაგო სიჯიუტე თუ რამე უცხო „ფარეხი"? **ფარეხი** ცხვრის სადგომია, **თავლა** - ცხენების, **ბოსელი** ან **გომი** - ხარ-ძროხის და მათი ნაშიერის. ავტომანქანების სადგომს კი **გარაჟი** ჰქვია, მხოლოდ **გარაჟი**.

ყველა სიტყვას პატივი - საკუთარსაც და ნასესხებსაც, თუკი უცხოურიც ნებით ენის სამსახურში ღირსეულად ჩადგა. გარაჟი დღეს იმდენად ქართულია, როგორც ტელეფონი, რადიო, სპორტი, არია, სცენა, თეატრი და სხვა მრავალი.

## უკვდავება ღვაწლისა

ლუკა დვალიშვილი

# ილია ჭყონია და ქართული ენა

ილია ჭყონიას ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოკრძალებული ადგილი უჭირავს. მიუხედავად მწერლის საინტერესო საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობისა, მისი სახელი დღეს ნაკლებადაა ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. მწერლის შემოქმედება ხასიათდება თემატური მრავალფეროვნებით. მის ნაწერებში მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემა აისახა. ი. ჭყონია მრავალმხრივი შემოქმედი იყო. იგი აგროვებდა ხალხური სიბრძნის ნიმუშებს, წერდა საინტერესო რეცენზიებს თეატრალურ წარმოდგენებზე. ნაყოფიერად იღვწოდა მწერლობაში, თარგმნიდა ევროპული ლიტერატურიდან, ქვეყნის ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე აქვეყნებდა უაღრესად საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს. იყო გაზეთ „სამართლის გზისა" და ჟურნალ „მეურნის" რედაქტორ-გამომცემელი. იმავდროულად მწერალი ქართული ლექსიკონისთვის აგროვებდა მასალებს, რომლის საფუძველზე 1910 წელს პეტერბურგში ნიკო მარის წინასიტყვაობით გამოსცა წიგნი - „სიტყვის - კონა" - (სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინიშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები). თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა განვითარებული ერისთვის ლექსიკონსა და სალექსიკონო მუშაობას, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ: ცნობილი ამბავია, რომ სრულყოფილი ერები ამ საქმეს ადრეულ საუკუნეებში შეხვდომიან; ერის მაღალ წოდებული სულხან-საბა ორბელიანი ამ ფაქტთან დაკავშირებით გულისტკივილით შენიშნავდა, რომ ქართველებს ადრიდან ჰქონიათ ლექსიკონი, მაგრამ დაუკარგავთ, „ჟამთა კითარებითა უჩინოთ ქმნილიყო". მის დაკარგვას კი, როგორც თვითონ ლექსიკოგრაფი აღიარებდა, მოჰყოლია ის, რომ „ენა ქართული თვისთა ნებაზე გაურყვნიათ". აქედან ნათლად ჩანს ლექსიკონის ერთ-ერთი უპირველესი დანიშნულება - ენის დაცვა და „წაუხდენობა". მამულის ულალატო რაინდმა მთელ ფრაზაში ჩამოძერწა ყოველი დროის ქართველისათვის მარად დაუვიწყარი ლეგენი: „რათა ისწავლონ ენა ქართული შესრულებული და გავრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფის მიერ" (ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. I, თბ., მერანი, 1991).

ნიკო მარი დიდი სიხარულით შეხვდა ი. ჭყონიას ზემოდასახელებულ ნაშრომს: „ჩვენ განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით გამოვცემთ ადგილობრივი თანამშრომლის პირველ წიგნს, რომელიც პასუხობს მეტ-ნაკლებად მთელ რიგ ცხოველმყოფელ კითხვებზე იავეტური ენებისა. მრავალწლიანმა, თითქმის სისტემატურმა უგულებელყოფამ ქართული ენისა ლინგვისტური მეცნიერებიდან გამოიწვია ის, რომ ერთი მხრივ თითქმის უცნობია ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრე, მეორე მხრივ არაა სრულყოფილი ქართული ლექსიკონები..." (ჭყონია ი. „სიტყვის კონა"- სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინიშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. პეტერბურგი, იმპერიის აკადემიის გამოცემა, 1910).

ქართული ენა, რომ პოლივალენტოვანი ენაა, იყო და იქნება, ამაში ორი აზრი არ არსებობს. მის სიძლიერესა და ტექნოლოგიურობას არაერთი უცხო ტომის წარმომადგენელი მოუხიბლავს. ამის ნათელი მაგალითია ალბიონის ქვეყნიდან და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების წერილები, არტურ ლაისტის სიყვარული ქართული ენისა და ქართველების მიმართ. ილია ჭყონია, როგორც ბუნებისმეტყველი აზროვნების მამულიშვილი, შთამბეჭდავად გრძნობდა, რომ ქართული ენა, ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, პერმანენტულად განიცდიდა სპარსული, არაბული, თურქული, რუსული და სხვა ენების მხრიდან ლინგვისტურ აგრესიას. იგი საჭიროებდა, კარგი გაგებით, აუცილებელ პროტექციონიზმს. სწორედ ამ გრძნობამ, ერისა და ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის აუცილებლობამ, შეაძლებინა ღირსეულ მამულიშვილს შეუძლებელი. თვით ლუკმაპურის საშოვნელად ალექსანდროპოლში გადახვეწილს არ შეუწყვეტია სალექსიკონო მუშაობა და კიდევაც მოახერხა ეს საქმე ღირსეულად მიეყვანა ბოლომდე. ი. ჭყონიას „სიტყვის კონას" თავის დროზე გამოეხმაურა „სახალხო გაზეთი" (1912 წ. №631), რომელშიც დაიბეჭდა მოსე ჯანაშვილის წერილი „ქართული ლექსიკონი" - ილია ჭყონიას „სიტყვის კონა". ავტორი მიმოიხილავს წიგნს, გამოთქვამს ზოგიერთ შენიშვნას და ბოლოს დასძენს: - „დიდ მადლობას ვწირავთ ი. ჭყონიას მოძღვნისთვის ამისთანა მასალისა". მწერლის შემოქმედებითი საქმიანობა და ინტერესთა სფერო მრავალმხრივი იყო, მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი პათოსი: მშობლიური ქვეყნისა და საზოგადოების უკეთესობა-წინსვლისათვის ხელშეწყობა. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები ენის გარეშე. არადა ეს ენა მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა თავის ძლიერების ზენიტში არიან დიდი ილია და აკაკი თანამოკალმეებით, გამხდარიყო ენად „საშინაო სმარებისათვის". ამასთან დაკავშირებით იხილეთ აკად. ა. ნიკოლეიშვილის საინტერესო წიგნი (ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები. ნაწ. I, თბ., მერანი, 1991).

ი. ჭყონიას სალექსიკონო მუშაობის შესახებ დღევანდელი ფართო საზოგადოება სათანადოდ არ არის ინფორმირებული, თუმცა, საბედნიეროდ, იშვიათად მაგრამ მაინც ვლინდება გამოკვლევა ნათელი ამ გზაზე. ცნობილი მეცნიერი შოთა ძიძიგური თავის წიგნში წერს: „ქართულ ხალხურ მეტყველებაში შემონახული ძვირფასი

სიტყვებისა და გამოთქმების შეგროვების მიზნით, ნ. მარმა მიიზიდა გარეშე პირებიც, რომელთაც მოსმენილი არ ჰქონდათ მისი საუნივერსიტეტო კურსი და დაშორებულნი იყვნენ აკადემიურ მუშაობას ამ სფეროში. ქართული ლექსიკოგრაფიის ასპარეზზე გამოდის ილია ჭყონია, ცნობილი მკვლევარი, რომელმაც ნიკო მარის ყურადღება მიიპყრო" (ძიძიგური შ. ნიკო მარი ქართული კულტურის მკვლევარი, თბ., მეცნიერება, 1985).

ი. ჭყონიას მიერ შედგენილი ლექსიკონის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გამოცემისთანავე წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. იგი გაიყიდა პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, ვილნიუსის, კიევის, რიგის, ლაიპციგის და ლონდონის წიგნის მაღაზიებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად მრავალმხრივი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ღვაწლისა ი. ჭყონიას დამსახურება ჯერ კიდევ არ არის სათანადო ადგილმიჩენილი ქართული კულტურის ისტორიაში. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული კულტურის ბევრი ცნობილი მკვლევრის დარწმუნებაა საჭირო იმ უცილობელ ჭეშმარიტებაში, იმ საბედისწერო რეალობაში, რომ გასული საუკუნეების ქართული მწერლობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გვპირდება. აკაკი წერეთლმა პოეტურად ჩამოსხმული მარგალიტები უწოდა ი. ჭყონიას მოთხრობებს. „იქარგა ქართული ქართველის სულსა და გულში ქარ-ცეცხლად გატარებული".

იოსებ გრიშაშვილი გულისტკივილით წერდა ი. ჭყონიას მივიწყებული ღვაწლის შესახებ: „ერთად ბევრი „დავიწყებული და გამორჩენილი" მწერლები გვყავს ... ერთი ჩუმი და უჩინარი მოამაგე იყო ილია ჭყონია... იგი პოეტიც იყო, ბელეტრისტიც, დრამატურგიც, მთარგმნელიც (პუშკინის „პოლტავა" გადმოთარგმნა). მისი რედაქტორობით გამოდიოდა „ფილიდა და დამანა". შეადგინა „სიტყვის კონა"... სამი წლის განმავლობაში ქუთაისში ბეჭდავდა საბავშვო ჟურნალს „მეურნეს". ჰქონდა საკუთარი სტამბაც. ერთი სიტყვით, არ დარჩენილა მწერლობის არც ერთი დარგი, სადაც თავისი წვლილი არ შეეტანოს განსვენებულს" (თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ფ. 10121-127). როგორც ირკვევა ი. ჭყონიას ღვაწლის შესახებ საგანგებო შრომის დაწერა ჰქონდა ჩაფიქრებული ლევან ასათიანს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მან ეს გადაწყვეტილება ვერ განახორციელა.

ჩვენი სურვილია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ნაკლებად ცნობილ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებით გარკვეული წვლილი შევიტანოთ ი. ჭყონიას მემკვიდრეობის შესწავლაში.



მწერალი განსაკუთრებული რუდუნებით, სიფაქიზითა და მოუღალავი ენერგიით იღვწოდა ქართული ენის დაცვისა და კანონიერ უფლებებში აღდგენისათვის. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

ი. ჭყონიას პუბლიცისტიკაში ქართული ენის საკითხს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას პარალელურად თან მოჰყვა ქართული ენის კანონიერი უფლებების უგულებელყოფა. დამპყრობელი შეეცადა და მნიშვნელოვან წილად მოახერხა კიდეც სასულიერო თუ სასამართლო საქმის წარმოება ყოველივე რუსულ ენაზე. ქართულ ენას შეეკვეცა პრაქტიკულ-გამოყენებითი არეალი. იგი დაემსგავსა კარგად ნაწრთობ და ნაცად ფოლადის სახნისს, რომელიც მიივიწყეს, კუთხეში მიაგდეს და თანდათან ჟანგი მოეკიდა. მე-20 საუკუნის დასაწყისშიც, მაშინ, როცა ქართველი ერის სულიერი და იდეური მამები - ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ, ქართულმა ენამ იწყო პოლივალენტოვანი ენის თვისებების დაკარგვა. „პრაქტიკულ საქმიანობაში რუსულ ენაზე გადასვლის გამო, ქართული ენა დარჩა ენად მხოლოდ „საშინაო ხმარებისათვის" და ამ არასახარბიელო როლშიც კი თანდათან მარტივდებოდა, კნინდებოდა და უკვე რუსულდებოდა, რადგანაც მისი გამოყენების ასპარეზი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა" (2.3, 152 „განთიადი", 1988 წ. №1) წერდა საუკუნის დასაწყისში ვლადიმერ ჯაფარიძე.

ვფიქრობთ, ნიშანდობლივი იპოსტასია ილიას მიერ მკაცრი თანმიმდევრობით ჩამოთვლილი სამება - „ენა, მამული, სარწმუნოება".

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის 'უაღრესად სათუთი და მტკივნეული' პრობლემა - ქართული ენის დაცვისა, მოვლა-პატრონობისა და კანონიერ უფლებებში აღდგენისა, ილია ჭყონიას პუბლიცისტიკის მთავარი სატკივარია. ენის შესახებ გამოქვეყნებულ თუ მწერლის არქივში დაცულ წერილებში შემოქმედი უპირატეს ყურადღებას ამახვილებს არა ენის შინაგანი კანონებისა და მოვლენების შესწავლაზე, არამედ ქართული ენის კანონიერი უფლებების აღდგენაზე. იგი მოითხოვს არა მხოლოდ უცილობლად ისწავლებოდეს ქართული ენა, არამედ ეთმობოდეს მას განსაკუთრებით დიდი ადგილი სასამართლო თუ სხვა საზოგადოებრივი საქმეების წარმოების დროს. ამ მხრივ საინტერესოა 1878

წლის „ივერიის" №40-ში გამოქვეყნებული წერილი „ორიოდე სიტყვა ქართულს სახელმძღვანელოებზე". ავტორი დიდი სიხარულით მიესალმება იმ ფაქტს, რომ, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, „ტფილისის ოლქის სასოფლო სასწავლებელთა დირექციამ გადაწყვიტა დღეის შემდეგ სასოფლო სასწავლებლებში ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე იქნეს და სახელმწიფო, რუსული ენა ისწავლებოდეს როგორც ენა. იყო დრო, როცა საქართველოს ჰქონდა საკუთარი პირველდაწყებითი, შუათანა და უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ისწავლებოდა ამგვარ საგანთა გარდა ბერძნული, არაბული და სპარსული ენები". ავტორი შეახარის ოლქის სასწავლებელთა დირექციის გადაწყვეტილებას, რადგანაც იმედი აქვს, რომ ამ დადგენილების განხორციელებით „გაიღვიძებს ჩვენში მწიგნობრობის საპედაგოგიო განყოფილების ერთი ნაწილი - სახელდობრ, პირველდაწყებითი სწავლების კურსი". წერილში ავტორი მადლიერებით ვალს შეასრულებს დიმიტრი ჯანაშვილს, ა. ჭიჭინაძეს, ს. მესხს, რომლებსაც უკვე შედგენილი აქვთ ქართულ ენაზე დაწყებითი სასწავლებლისთვის საჭირო სახელმძღვანელოები. მაგრამ არ ჩქარობენ მათ დაბეჭდვას. პუბლიცისტი აქეზებს მათ და მოუწოდებს საქმის დაჩქარებისაკენ, რადგანაც: „თავი და თავი ღირსება ყველა სახელმძღვანელოსა და ნამეტურ პირველდაწყებითისა არის ენა". ი. ჭყონია მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას რომ დიდ და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს სხვა წერილებიდანაც ნათლად ჩანს. სტატია მკითხველის ყურადღებას იპყრობს არა მარტო იმით, რომ აქ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემაა წარმოჩენილი, არამედ მოცემულია ერისთვის სასიცოცხლო საკითხის ღრმად გადაჭრის გზაც. წერილის დაწერის დროს მისი ავტორი მხოლოდ 17 წლისა იყო. მიუხედავად ასეთი ასაკისა, ი. ჭყონია და მისი მეგობრები, ილიასა და აკაკის იდეებზე აღზრდილნი, უდრეკი ნებისყოფის მქონე ახალგაზრდები თავგამოდებით ცდილობდნენ ერის უკეთესობის ბრძოლის ავანგარდში ყოფილიყვნენ. ი. ჭყონია უდიდესი სიხარულით მიესალმა 1878 წელს საქართველოსთვის მისი უძველესი ნაწილის აჭარის დაბრუნებას და ვრცელ წერილში ხაზგასმით აღნიშნა: საბედნიეროდ „აქ ე.ი. ბათომში და მის ოლქში, დღესაც იგივე ენაა მასის მდიდარის ძალით დაცული... სასურველია გამოკვლეული იქნებოდეს აქედან აჭარის მომრიგებელი მსაჯული, რომელსაც ინი არ ესმის ქართულში და როგორი მსაჯული უნდა იყოს იგი, ვისაც მომჩივანის ენა არ ესმის" („ივერია", 1879 წ. №4).

მწერალი თავის წერილებში ყოველგვარი ქარაგმისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ამხელს სასამართლოს მოხელეებს, რომლებიც სარგებლობდნენ იმით, რომ ამ დაწესებულებაში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, და, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობამ რუსული ენა არ იცოდა უმნიშვნელო საქმეს აზვიადებდნენ. ყოველგვარ ხვანჯებს ხლართავდნენ ქრთამის ასაღებად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა 1879 წლის „დროების" №213-ში გამოქვეყნებული სტატია „საქართველო", რომელშიც მხილებულია მიწა-წყლის გამომცვლელი კომისიის წევრი, სომეხი ეროვნების ბალიასნის თავგასულობა. ამ წერილთან დაკავშირებით 1881 წელს გაიმართა სასამართლო პროცესი, რომელიც დეტალურად იქნა გაშუქებული ამავე წლის გაზეთ „დროების" №265-266-ში. ბრალდებულებმა „დროების" რედაქტორმა ს. მესხმა და ი. ჭყონიამ (გაზეთის თანამშრომელმა) სასამართლოზე წარმოთქვეს მჭევრმეტყველური ბრწყინვალე თავდაცვითი სიტყვა. სადაც მძაფრად გაიჟღერა ქართული ენის უფლებების შელახვის პრობლემა.

სასამართლო საქმეების წარმოების დროს ქართული ენის უუფლებლობის უმძიმეს შედეგებზე საუბრობს მწერალი საინტერესო წერილში: „კიდევ ქართულ ენაზე სასამართლოებში და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში". „მარტო ერთგვარ არ გვითქვამს და ორჯერ ღვთის მადლით, რომ ჩვენ სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში საჭიროზედ უსაჭიროესია ჩვენი მშობლიური ენა, რომ ვიდრე ეს ენა არ იქნება სასამართლოებში საწარმოებელ ენად აღიარებული, მანამ როგიან სამართალს ვერ ეღირსება ჩვენებური კაცი და მაშასადამე ის სარგებლობის მაგიერ ჯნების მეტს ვერაფერს მოიტანს" („დროება", 1880 წ. №175). მწერლის ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ ჩათვალონ, ასახელებს ფაქტებს, უბედურ შემთხვევებს, რომელიც ხალხის ენის უცოდინარობამ გამოიწვია. მას მიაჩნია, რომ მასობრივი გამოსვლები სიღნაღსა და ზუგდიდში გამოწვეული იყო ამ მიზეზით. მეფის მოხელეებთან ერთად ზოგიერთი ავანტიურისტი „სარგებლობს იმით, რომ სასამართლოში საქმის ქართულად დაცვა შეუძლებელია, ხალხს ჯერ ფულის გადახდით და მერე საქმის წაგებით აწვალებს" („დროება", 1880 წ. №173).

ი. ჭყონიას, სრულიად სამართლიანად, ქვეყნის აღორძინებისა და პროგრესის გზაზე მთავარ დაბრკოლებად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქართველი ახალგაზრდები მოკლებულნი იყვნენ მშობლიურ ენაზე მიეღოთ საშუალო და უმაღლესი განათლება. სხვა ენაზე განათლების მიღება თითქმის შეუძლებელს ხდიდა პიროვნების თავისი შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოევლინა და მასში პატრიოტული სულისკვეთება გაღვივებულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა მისი წერილი, რომელიც გაზეთ „დროების" №241-ში გამოქვეყნდა. წერილის შინაარსში დასმული პრობლემა გამოტანილია მის სათაურში - „როგორ ავაცდინოთ ჩვენს ახალგაზრდობას ნიჰილისტობა". მწერლის აზრით, „საზოგადოება რომ ვალდებულია ყოველი ღონისძიებით ეცადოს, რათა თავიდან აიცილოს ახალგაზრდობის ნიჰილისტად გახდომა და გაუადვილოს მამულის სასარგებლო შვილად შექმნა ეს ცხადზე უცხადესია, თუ ითონ სასწავლებელნი დასრულებულნი, რომ მოვალენი არიან ნიჰილისტურ მავნე აცდენენ და თავისუფალი მოქალაქის ღვაწლით მამულის სარგებლობა მოუტანონ - ამაზე ყველა დაგვეთანხმება". სტატიაში მწერალი წარმოაჩენს

იმ მიზეზებს, რომლის გამოც უმაღლეს დამთავრებულნი ესწრაფვიან „ჩინოვნიკობას“. მართალია, ახალგაზრდებს სძულთ ეს საქმე, მაგრამ, რადგან მათ სხვანაირი მომზადება არ გააჩნიათ, მშობლების მიერ მიცემული სახარჯო ფულის შემოლევის შემდეგ ცდილობენ „შემოსავლიანი ადგილის“ შოვნას გინდ ეს ადგილი „პოლტავაშიც იყოს“.

სტატიის მეორე ნაწილში ახალგაზრდა პუბლიცისტი გვისახელებს იმ საშუალებას, რომლის მეოხებითაც უნდა მოხდეს ჩინოვნიკობისაგან ქართველი ახალგაზრდობის ხსნა, და რომელიც იქნება უმნიშვნელოვანესი ბერკეტი ქვეყნისთვის ეგრერიგ საჭირო ჭეშმარიტ მამულიშვილთა აღსაზრდელად.

„...ის საშუალება, რომლითაც ბოლო უნდა მოეღოს ამ მიზეზს ერთადერთია; ჩვენ უნდა გავიჩინოთ საკუთარი სასწავლებლები, რომლებშიც სწავლება უსათუოდ დედა-ენაზე უნდა იყოს. ამისთანა სასწავლებლები სწორედ, რომ უკვდავების წყარო იქნება სწავლა-ცოდნისთვის დამშეულ ქართველებისთვის. მაშინ ჩვენ არ გვეყოლება მესამედი იმ გამოგდებულ-გამოსულებისა, რომლებითაც ყოველ წლობით „გვამდიდრებენ“ ეხლანდელი სასწავლებლები. მაშინ ყოველი კურსდამთავრებული იქნება ნამდვილათ და არა თუთიყუშივით მცოდნე იმისა, რაც სასწავლებელში უსწავლია, ის იქნება სრული მეუფე თავისი ჭკვა-ცოდნებისა, მტკიცე ხასიათისა და ჩვეულებრივი სიმხნის პატრონი, ერთი სიტყვით ნამდვილი და სასარგებლო მოქალაქე სულითა და გულით მამულის შვილი. დღეს ჩვენ ამისთანა მოქალაქეები და მამულიშვილნი არ გვყავს, რამდენიმეს გარდა, იმიტომ, რომ მათ შექმნისთვის საჭიროა ზემოხსენებული სასწავლებელნი, რაც არ გვაქვს და, ვიმეორებ, უნდა შევიძინოთ რა ფასადაც უნდა დაგვიჯდეს“.

სტატიის დასკვნით ნაწილში მწერალი ქართული საზოგადოების ყველა ფენას მოუწოდებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქართულ ენაზე მოქმედი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საქმეში. „აი, ამ საქმეში გვმართებს შეერთებული შრომით მეცადინეობა, რომ რაც შეიძლება მალე აღვასრულოთ ეს უწმინდესი საწადელი და ამ შემთხვევაში ისეთივე სიმხნით, თავგამოდებითა და განწირულობით უნდა მივესწრაფოდეთ მიზნის აღსასრულებლად, როგორც უწინ მრავალ მტერთაგან მამულის დაცვას“.

საქართველოს მძიმე აწმყო მდგომარეობით გულშეძრული პოეტი სახავს გზას შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. მისი თქმით: „თავადაზნაურთა საზოგადო კრებები და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“... რომელთაც აქვთ მესამე და მეორე ხარისხის სასწავლებელთა დაფუძნების უფლება, კარგს იზამენ თუ შეიძენენ უმაღლესი სასწავლებლის დაარსების უფლებასაც“... მწერლის თქმით, ეს არის დიდი საქმე საშვილიშვილო და საისტორიო, არასდროს ამნაირი საქმე არ გარიგებულა მცირე შრომით: „ნუ შევუდრკებით ამ სიძნელეს, ნუ დავრჩებით შთამომავლობისაგან დასაწყევლნი და საზიზღარნი, თუ გვინდა ჩვენი შვილებისა და შთამომავლობისთვის სიცოცხლე. მოვთხაროთ ძირით ის მავნე ბალახი - უმეცრება, რომელიც მძვინვარე მტერზე უფრო გვჩაგრავს! მოვიკრიბოთ ყოველი ძალღონე და შევუდგეთ კაცურ გზას... მაშინ გვექნება ნამდვილი უფლება ჩვენ თავს ნამდვილი ქართველი ვუწოდოთ და ვამპარტავნებდეთ ეროვნებით“.

თუ წერილის პათოსს მივყვებით, ავტორის მსჯელობა და ტონი გვაფიქრე`ნებს, რომ მისი დამწერი საკმაოდ დიდი გამოცდილებისა და სოლიდური ასაკის კაცია, მაგრამ სინამდვილეში იგი ამ დროს მხოლოდ ოცი წლისაა.

არა მარტო სასამართლოებში, ქართული ენის კანონიერი უფლება პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებში, საერთოდ, ყველა სასწავლებელში, თითქმის უგულებელყოფილი იყო. ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში არსებული მდგომარეობა. „თითქოს ბედს ერგუნებინოს ჩვენის ერთადერთის სავაჟო გიმნაზიისათვის, რომ მისი საქმე მუდამ წარა-მარა უნდა მიდიოდეს... ტყუილ-უბრალოდ შაგირდების გამოგდება, მასწავლებლის ხშირად გამოცვლა, და თვით სწავლისაც ურიგოთ მსვლელობა ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ გიმნაზიაში“ („დროება“, 1880 წ. №38) წერდა გულნატკენი მამულიშვილი.

ი. ჭყონია ფიქრობს, რომ ქართული ენის კანონიერი უფლების უარყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ უმრავლეს შემთხვევაში ქართული სასწავლებლების მმართველი ელიტა და გიმნაზიის დირექტორები ქართული ენის არმცოდნე უცხოტომელები არიან. არ ცოდნა ენისა ხშირად მისადმი ზიზღსა და მტრობაში გადადიოდა. მწერალი ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ირონიით მოიხსენიებს ასეთ დირექტორს - ვინმე არლოვს. „აქაური ოლქის სახალხო სკოლების ახალ დირექტორს, ერთი იმისთანა რამ აკლია, სხვა მხრით, რომ უნაკლო იყოს, მაშინაც კი გაუჭირდებოდა თავისი მოვალეობის რიგიანად შესრულება. მან სრულიად არ იცის ქართული და, როგორც ამბობენ, დრო და მოცალეობაც აღარ აქვს იმის შესასწავლადო“ („დროება“, 1881 წ. №40).

მწერლისთვის ყველაზე უფრო გულსატკენი და გაუგებარი, მაინც ის ფაქტია, რომ არა მარტო გარეშე ძალის დაწოლის შედეგად, არამედ ხშირად ეგრეთ წოდებული ვითომ ძალიან განათლებული ქართული „ელიტარული“ საზოგადოების წარმომადგენლები მშობლიურ ენაზე საუბარს არ კადრულობენ და „მაიატვაიათი პარუსკობს“. „თავისი კარგი თამაშით მობენეფიციანტემ (ლიზა უცხოფერაძის როლში) თვალწინ წარმოგვიდგინა ის გადაგვარებული ქალბატონები, რომლებიც თავის-თავისვე შესარცხვენად ქართულს აღარ ჰკადრულობენ და „მაია-ტვაიათი“ „პარუსკობენ“ („დროება“, 1880 წ. №236) (საუბარია ცნობილი მსახიობის ქ-ნ კორინთელის ბენეფისზე, რომელიც გაიმართა 1880 წელს).

მწერლის ღრმა რწმენით ქვეყანას უკეთესობა მხოლოდ მაშინ დაეტყობა, როცა მმართველებად ჭეშმარიტი მამულიშვილები ეყოლება. მაგრამ ასეთი მმართველებისა და გამგებლების

აღზრდა არ მოხერხდება, თუ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მშობლიური - „დედული" ენით არ დაიწყება. ჩვენს სკოლებში მოსწავლეთა მიერ სწავლაზე გულის აცრუება და ცუდი აკადემიური მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ „ყველაფერს უცხო ენითა ასწავლიან და არა დედულით. ძვალსა და რბილში გამჯდარი სახსარის საშუალებით" („დროება" 1883 წ. №213). საქვეყნოდ ღაღადებდა ანბანურ ჭეშმარიტებას მწერალი. ლირსკული მამულიშვილის აზრით, ცხოვრების ასეთ დაძაბულ წინააღმდეგობა-კონკურენციას გაუძლებს მხოლოდ ის ერი „რომელსაც აქვს ჭეშმარიტი განათლება და სახალხო განათლება უპირატესად, სადაც განათლება გავრცელებულია დაბალი წოდების ხალხშიც... ამ დროს ერი ძალუმად გრძნობს თავის ეროვნულ თვისებას, ინდივიდუალობას... საკუთარი ეროვნულ სასწავლებელთა საშუალებით" („დროება, 1881 წ. №216). წერილში მოყვანილია ჩეხი ერის მაგალითი, რომელსაც, როგორც ავტორი აღნიშნავს, თანამედროვენი მომაკვდავ ერად თვლიდნენ, მაგრამ ამ ხალხმა ღლეს „თავისი სიმხნით" და განათლებით მტრებიც კი თავის სასარგებლოდ აალაპარაკა. პუბლიცისტს მთელი არსებით აქვს შეგნებული განათლებისა და ქართული ენის ბუნებრივ უფლებებში აღდგენის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

მწერალი დაბეჯითებით ეძებს გზას, რათა როგორმე გამონახოს საშუალება, რომელიც ერს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ ხალხში მასობრივად შეიჭრას განათლება და უსწავლელი არ დარჩეს არცერთი ბავშვი. საზოგადოების განათლებისათვის ამ გზების ძიებაში პუბლიცისტი უკვე ნაცად და საქმიოდ მოსახერხებელ საშუალებას გვთავაზობს. „ჩვენზედ შეუდარებლად წინ წასულმა ევროპამ დიდი ხანია, რაც საჭირო დაწესებულებად იცნო საკვირაო და... სახალხო სკოლები. სკოლებში სწავლება უსასყიდლოდ არის იმისთვის, ვინც ვერ იხდის, რაც უნდა ღარიბი კი მსურველი იყოს" („დროება", 1884 წ. №139). მწერალი მოუწოდებს ქართული საზოგადოების განათლებულ ნაწილს: „მასწავლებლებს, მაღალი კურსის სტუდენტებსა და, საერთოდ, ყველას, ვისაც კი ეს საქმე ხელეწიფება, მონაწილეობა მიიღოს ამ მნიშვნელოვან კამპანიაში."

ქართული ენის სწავლების საგანგაშო მდგომარეობის შესახებ საინტერესოა ჟურნალ „ივერიაში", 1882 წლის №2-ში, გამოქვეყნებული სტატია „შინაური მიმოხილვა". იგი დაბეჭდილია ი. ჭყონიას ლექსის შემდეგ და ხელმოუწერელია. ამ დროის ჟურნალის რედაქტორები იყვნენ ივ. მაჩაბელი და ი. ჭავჭავაძე. „მიმოხილვა" სავარაუდოა მათი დაწერილია, თუმცა ჩვენ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ის ილია ჭყონიას ეკუთვნოდეს.

წერილში წარმოდგენილი ამბავი შემაძრწუნებელია. „ძნელად წარმოიდგენს კაცი იმ სამაგელ მდგომარეობას, რომელშიაც არის ჩავარდნილი ჩვენი ენისა და ლიტერატურის სწავლება გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში - სავაჟოში თუ საქალოში. ქართული ენისთვის დანიშნავთ თითქმის ყველგან მე-6 გაკვეთილი... საქალებო გიმნაზიაში ქართული ენისთვის მთელი წლის განმავლობაში დაუნიშნავთ 23 გაკვეთილი, მაშინ, როცა სომხურ ენას ამ სასწავლებლებში 101 გაკვეთილი აქვს... საქალებო გიმნაზიაში ტანცაობისთვის და გიმნასტიკისთვის 194 გაკვეთილია, ქართული ენისთვის კი მხოლოდ 26. ...სავაჟო გიმნაზიის გარდა ქართული ენის სწავლა აბარიათ მოუმზადებელ მასწავლებლებს - გაუხსნელთ და უმეცართ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ყველა სასწავლებელში შეიძლება უფრო მეტი ჯამაგირი აქვს ვინემ ქართული ენის მასწავლებლებს. სამსახურიც არ ეთვლებათ, რადგან ქართული ენა მოკლებულია შტატს, ვალდებულებითი საგნის უფლებას. ერთი სიტყვით ქართული ენა საქართველოს სასწავლებლებში ემსგავსება უბედურს, ყოვლად უფლებას მოკლებულ ბავშს... სომხობა ძლივს შეადგენს მეოთხედ ნაწილს თბილისის მოსახლეობისა და თბილისის სასწავლებლები თავისი შვილებით აქვს გამოვსებული. როცა მასწავლებლებს ინახავს ერთი ხალხი თავისი ფულით, მეორე კი სარგებლობს მით. ეს დიდი უსამართლობაა... ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება კიდევ უფრო მოუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სასულიერო ახალგაზრდობისთვის".

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ქართული ენის სწავლების მდგომარეობა და მისი უფლებები შეზღუდული იყო, არა მარტო რუსულ, არამედ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებთან შედარებითაც კი. საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიების გატარება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ილია ჭყონიას ამ და სხვა პრობლემური საკითხის გადაჭრაში სწამს პრესის უდიდესი შესაძლებლობანი (თავის დროზე ნაპოლეონი 100000 არმიას ისურვებდა მეტოქედ, ვინემ ორ დიდ ტირაჟიან გაზეთს). მწერალმა იცის პუბლიცისტის კალმის წვერის სიმახვილის ძალა და ამიტომაც ასე აქტიურად ცდილობს ქართული საზოგადოების ყურადღება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მიაპყროს ერისთვის მართლაც რომ გლობალურ პრობლემას. მწერალი დარწმუნებულია პრესის ზეშესაძლებლობაში - ყოველ სულიერს როგორც სარკეში ისე აჩვენოს თავი. ერთგან იგი წერს: „ეყოფიან წელიწა ეშინია და მაში ჩახედვა ხშირად მის სიკვდილს მოასწავებს, აგრეთვე სინდის შებღალულ კაცს. მეტადრე თუ იგი კერძო კაცი არ არის თავის სასიკვდილოთ მიაჩნია საზოგადოთ - ბეჭდვითი სიტყვა და განსაკუთრებით მის ამქარზე თქმული. უკანასკნელ შემთხვევაში მის „გამოფშუტურებულ" გოგრას მეხი და ზარი ეცემა და ბზიკ-ამომყვარ ჯოჯოხეთით იწყებს წიხლებს იმაზე, ან იმათზე, ვისზეც ეჭვს აიღებს, მასთვის მიმაკვდინებელ სამართლიანი წერილების ავტორზე" („დროება", 1885 წ. №60).

### ბ). ჯაყო

„ჯაყოს ხიზნების" ლიტერატურულ ღირებულებას დიდად ზრდის ის გარემოება, რომ მწერალი მარტო ხევისთავთა და ყაფლანიშვილთა წარჩინებული წოდების ერთეული და სოციალური ფუნქციადაკარგულობის ნგრევით არ შემოიფარგლება და რომანში ასევე დიდ ადგილს უთმობს ამ ტრაგიკულ მოვლენასთან განუყოფლად დაკავშირებულ მეორე მოვლენასაც - ასპარეზიდან გაძევებული კლასის სანაცვლოდ ცხოვრების ავანსცენაზე აღზევებული ახალი ძალის დახასიათებას. რევოლუციის შედეგად გაბატონებულ ამ ძალას ნაწარმოებში ჯაყო განასახიერებს. რომანში არაორაზროვნად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ჯაყოს მხატვრული სახე მხოლოდ კონკრეტული პიროვნული მასშტაბებით არ შემოიფარგლება და იგი განზოგადების ფართო მასშტაბებს მოიცავს. სწორედ ამის შედეგად დამკვიდრდა ჩვენში ჯაყოობა, როგორც, საერთოდ, ძალადობის, ადამიანური ბოროტებისა და ძალმომრეობის დასახასიათებლად ფართოდ გამოყენებული გამოთქმა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიტერატურული „ნათესავები" ჩვენს მწერლობაში ჯაყოსაც საკმაოდ მოეპოვება. ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ალბათ, პ. კაკაბაძის კვარკვარე თუთაბერი უნდა დავასახელოთ. მართალია, ეს პიროვნებანი არსებითადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათ ადამიანურ ბუნებასა და ცხოვრებისეულ მრწამსში საერთო ნიშან-თვისებებიც საკმაოდ მოიძებნება.

როგორც ითქვა, თუთაბერისაგან განსხვავებით, ჯაყო ჯიქაშვილი ძალადობისა და აქტიური ბოროტების ხორცშესხმული განსახიერებაა. მისთვის ვითარებასთან საოცარი შეგუების ნიჭი მოქმედებისა გან[illegible]ბას და მოვლენებს ადვილად უღებს ალღოს. სუსტთან ძლიერი და ძლიერთან თავმოკატუნებული - ასეთია იგი - რევოლუციის შედეგად აღზევებული ბოროტი ძალის ეს განზოგადებული წარმომადგენელი.

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

# მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები"

მ. ჯავახიშვილისთვის არაერთხელ უსაყვედურებიათ ჯაყო ჯიქაშვილის ლიტერატურული ტიპის შექმნისათვის. ერთნი აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმ ზღვარდაუდებელი თავხედობისა და ბოროტების გამო, ჯაყოსთვის ესოდენ ფართოდ



რომაა დამახასიათებელი; მეორენი ჯაყო ჯიქაშვილის მხატვრულ სახეს რევოლუციური პრინციპების შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ; მესამენი თუთაბერისა და მარგოსადმი ჯაყოს დამოკიდებულებაში ეროვნული გრძნობების დამცირებისა და ხელყოფას ხედავდნენ. მაგრამ ყველა ეს შენიშვნა პრინციპულად მოკლებული იყო მწერლისათვის, ვინაიდან, მისი თქმით, ჯაყო ჯიქაშვილის ლიტერატურული ტიპი მისი ფანტაზიის შედეგად კი არ შექმნილა, არამედ იგი რევოლუციური სინამდვილის ღვიძლ შვილს წარმოადგენდა.

ჯაყოს მხატვრული სახე ესაა მკითხველის მკაცრი გაფრთხილება ლაგამაწყვეტილი ბოროტების დამღუპველი შედეგების გამო. ჯაყოობა სოციალურადაც, ეროვნულადაც და ზნეობრივადაც მომაკვდინებელი საზოგადოებრივი დაავადებაა, რომელიც შლის, ანგრევს, აწყლულებს და კლავს ერის ჯანსაღ ორგანიზმს. ჯაყოს ოსობა (განზოგადებულად - უცხო ტომის შვილობა) იმის გამოც აფრთხილებს მკითხველს, რა შეუძლია დამართოს მკვიდრ ერს სამადლოდ და სამოწყალოდ შემოხიზნულმა გადამთიელმა, თუ მის ქვეგამხედვარობას ხელსაყრელი პირობები შექმნა.

ჯაყოს მხატვრული სახე რევოლუციას მიტმასნილი იმ მედროვე კაცის განზოგადებული ხორცშესხმაა, ვინც მოხერხებულად სპეკულირებს მისი იდეებით და, ცხოვრების ასპარეზზე უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის პრეტენზიით გამოსული, თავად ჩადის ყველაზე მეტ უსამართლობასა და ბოროტებას.

ჯაყო ჯიქაშვილის პიროვნება რომანში ისეა დახატული, რომ მის არსებაში მკითხველი ერთ ნათელ წერტილსაც კი ვერ ხედავს. ხაზგასმულად ბნელი, კონტრასტული ფერებით ძერწავს მწერალი ჯაყოს ადამიანურ სახეს და შეუბრალებელი ფერებით წარმოაჩენს მის მხეცურ, ზნეობრივად გადაგვარებულ, ველურ ბუნებას. ჯაყოს ხეობიდან ქართლში, ხევისთავების მამულში, სამალავად შეხიზნული მენახირე მოხერხებულად უღებს ალღოს ვითარებას, სარგებლობს შექმნილი მდგომარეობით და სულ მალე თავად ხდება ხევისთავთა კარ-მიდამოს ბატონ-პატრონი. მის

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ბ.ე." №12. 2000 წ/

არსებაში ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობენ ძაღლური ერთგულება და მგლური სიხარბე. გააჩნია, როდის, სად და ვისთან რაა საჭირო.

რომანში არაერთგზისაა ხაზგასმული ჯაყოს მეძრომეობა. მას მხოლოდ ერთი პრინციპი ამოძრავებს - მლიქვნელურად მიელაქუცოს მისთვის ხელსაყრელ ხელისუფლებას. ასე დგება იგი ჯერ ჟორდანიას მთავრობის მეხოტბეთა რიგებში და ხმამაღლა გაჰყვირის: „გაგიმარჯოს ჟორდანიას მთავრობასა! გაგიმარჯოს! საწყალი ხალხი მიწა მოგვეცი ჟორდანიამა!“ შემდგომ კი, ჟორდანიას მთავრობის დამხობისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის მერე, ღრიალითა და ქადილით ასე გაჰკივის: „ღმერთმა გაკურთხოს ბალშევიკების მთავრობაი, რომელმაცა საწყალ ჯაყოს სახლიც მოგვცა, ბაღიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა. ძირს ჟორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჟუაძის მთავრობაი, აღარა!“ ერთ შემთხვევაშიაც და მეორეშიც ჯაყო მართალი იყო, ვინაიდან მას არც ჟორდანიას დროს აკლდა ძალაუფლება და პირველობა და არც ბოლშევიკების ხანაში. იგი „ნაჩინდარის თავიც გახდა, მსაჯულიც, ვექილიც და მზრუნველიც“.

ასე ყალიბდება ჯაყო ჯიბაშვილი, როგორც ახალი ვითარების შედეგად სოფელს მოვლენილი მჩაგვრელ-მჩვლეპელი და „ახალი აზნაური“. განსხვავებით წინამორბედი მებატონეებისაგან, მას ვითარებაში გარკვევის მეტი უნარი აქვს და სადაც ძალა არ ვალის, იქ მოხერხებით ცდილობს მოპირისპირე მხარის გულის მონადირებასა და მოხელთებას.

ნიღაბახდილი ჯაყოს ადამიანური ბუნების დასახასიათებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის სიტყვები, რომელთაც თეიმურაზ ხევისთავთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს წარმოთქვამს იგი მისთვის ჩვეული თავხედური ცინიზმით: „რომელი პრავა დაპარაკობდი შენა?! რის ზაკონი?! აი შენი პრავა და ზაკონი: ფუჰ!

და იატაკზე დანაფურთხი ფეხით გაგლისა.

- აი ჯაყოს ზაკონი. - და ოდნავ ხანჯალი ამოსწია. - შენა, გაიღვიძებდე და გაიგებდე, რომ ზაკონის დრო აღარა ხარ მეთქი! წინათ თქვენა სწერდებოდით ზაკონებსა, ახლა კი მორჩებოდით და ნაძალადებოდით! ეხლა მე ვწერ კანონებსა. მენა! ჯაყო წერს კანონსა, ჯაყოი! მაშ, მაშა! გაიგებდეს ამასაც, გაიგებდეს მეთქი!“



საბოლოოდ, სოფლის თავკაცობასა და ახალ აზნაურობაზე მეოცნებე ჯაყოს მაინც წამოეწია ბედი მდევარი და ლაგამი ამოსდო მის მგლურ ბუნებას. ნინიკამ და სხვა ახალთაობელებმა მას ერთიანად ნამთარევეს თეიმურაზისაგან მიტაცებული კარ-მიდამო და თავისი „ჯალაბ-ჯულაბით ახალი სახლის აშენებამდე კოშკსა, ბეღელსა და მარანში ნაასახლეს“. მაგრამ ჯაყო ავრე იოლად გასატეხი კაკალი არ არის. თუმცა გარეგნულად თავი კი მოუკატუნებია და ძაღლებურად კვლავ ფეხია ძაღლად ქცეულა, მაგრამ გულში ბოღმა-აღვსებული ქადილით ამბობს: „დეიცას გიტირებ, დეიცასა! დაგიცადე ჯაყოსა! ჩემი დროც მოხვალ - და ცერის ფრჩხილით ქვიშა აილაწუნა- დედას გიტირებ მაშინა, დედასა!... ყველას სულს გავყვანებდე ჯაყოი, ყველასა!“ თუ გავითვალისწინებთ ჯაყოს მგლურ ბუნებასა და მის ბუდეში გამოჩეკილი მომავალი ჯაყოების სიმრავლეს, შეიძლება გადაუჭარბებლად ვიფიქროთ, რომ ეს ქადილი უსაფუძვლო მუქარა არ არის, ჯაყოობა იოლად ამოსაძირკვ სოციალურ სენს არ წარმოადგენს და მისთვის ხელსაყრელი დრო მომავალშიც არაერთხელ შეიძლება დადგეს.

### ბ). მარგო

გარდა თეიმურაზისა და ჯაყოსი, ნაწარმოებში მ. ჯავახიშვილმა ერთი მთავარი პერსონაჟიც გამოიყვანა - მარგო ყაფლანიშვილი. ყაფლანიშვილთა წარჩინებული გვარის ეს უკანასკნელი წარმომადგენელი მსხვერპლად შეწირული ადამიანია. იგი ჯერ თეიმურაზ ხევისთავის ბედოვლათობისა და უნიათობის უმწეო მსხვერპლი ხდება, შემდეგ კი ჯაყო ჯიბაშვილის ძალადობისა. მწერალი ღრმა ფსიქოლოგიზმით წარმოაჩენს წინააღმდეგობათა ცენტრში მოქცეული ქალის ადამიანურ სამყაროს, გვიჩვენებს იმ რთულსა და მტანჯველ გზას, რომელსაც მარგო გაივლის სულიერი და ზნეობრივი პატიოსნებიდან ჯაყოს მონობამდე.

ჯაყოს მტაცებლურ ცხოველურ გრძნობებს იგი ნებაყოფლობით არ შეწირვია მსხვერპლად. რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ მძაფრი შინაგანი ჭიდილის ჩვენებას, რის შედეგადაც მარგო ამ გადაწყვეტილებას იღებს. ცხოვრებამ ის მწვავედ დააყენა ულტიმატიური არჩევანის წინაშე - გრძნობებგამოფიტული ოჯახის უნიათო თავკაცი - თეიმურაზ ხევისთავი თუ მაი ჯობს მეთე თაობის შთამომავალი, პითეკანტროპის მონამგვანი, პირუტყვულად ბნელი და უჭკვიანო ჯაყო? არც თუ ხანგრძლივი შინაგანი ჭიდილის შემდეგ მარგომ ჯაყო აირჩია. „მე-

ლი ხეობიდან გამოვარდნილი ველური, რომელმაც პირველად მხოლოდ ათი წლის წინათ დაინახა კრამიტი და დანა-ჩანგალი, საათი და სურათი, საწოლი და ცხვირსახოცი".

რატომ გააკეთა მარგომ ამგვარი არჩევანი? რას აძლევდა ჯაყო ქალს ისეთს, რის გამოც მან, ქალაქში გაზრდილმა, განათლებულმა და არისტოკრატიული ცხოვრების სიკეთეს ნაზიარებმა პიროვნებამ, ეს „ნადირი კაცი არჩია?" რომანში ამ კითხვებს ფსიქოლოგიურად ღრმად მოტივირებული პასუხი აქვს გაცემული. მარგო გონების სასწორზე დიდხანს წონიდა და ერთმანეთს უდარებდა, ერთის მხრივ, თეიმურაზს - „წიგნებზე დაღლილ და სულით დაჭიავებულ" ნაკაცარ ქმარსა და, მეორეს მხრივ, „ნადირივით თავაგლეჯილ, კუდნიერსა და რეგვენს, ხეპრესა და მოუხეშავს, სამაგიეროდ დათვივით ღონიერს, სულით და ხორცით ჭაბუკს, ბუნების შიშველ ნაყოფს" - ჯაყო ჯიბაშვილს.

მარგოს არჩევანს საფუძვლად ედო გაცნობიერებული აღქმა იმისა, რომ „თეიმურაზმა თითქმის ყველაფერი იცოდა, სამაგიეროდ არაფერი შეეძლო, ჯაყომ არაფერი იცოდა, სამაგიეროდ ბევრის შემძლე იყო". ასე უპირისპირდებიან ქალის ცნობიერებაში ერთმანეთს „ახალი ცხოვრებისაგან მოტეხილი, წაქცეული, წყალწაღებული და უკვე მიმავალი, ბალღივით უძლური" თეიმურაზი და „თავის კალაპოტში ჩავარდნილი, თავით ფეხებამდე სადღეისო იარაღში ჩამჯდარი და საშუალობის გამორჩეული, ფეხამდგარი და მომავალი" ჯაყო.

ამ დაპირისპირების შედეგად მარგომ პრაქტიკული არჩევანი გააკეთა: მან ჯერ ჯაყოს ხასობა, შემდეგომ კი მისი ცოლობა ირჩია. მართალია, ამ არჩევანისა და საბოლოო გადაწყვეტილებისაკენ მიმავალი პირველი ნაბიჯი მისთვის ჩვეული ცხოველური თავხედობითა და ძალადობით ჯაყომ გადადგა, მაგრამ ქალი ამისათვის შინაგანად მოუმზადებელი რომ არ ყოფილიყო, იგი ასე იოლად ამ შეურაცხყოფას ვერ შეეგუებოდა და პიროვნული პროტესტის რამენაირი გამოვლინებით ოდნავ მაინც შეეცდებოდა სულიერი სიწმინდისა და მხურვალედ შელახული პატიოსნების შენარჩუნებას. მაგრამ მარგოს ფიზიკურ შეურაცხყოფას ხელ მალე მისი სულიერი მორჩილებაც მოჰყვა.



მარგო ცდილობს, თავისი ამგვარი მოქმედება ქმრის ბედოვლათობითა და უნიათობით ახსნას და ამით გამართლება მოუძებნოს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ნიღაბია, თავისივე თავისთვის სიმართლის დამალვის ცდა. სინამდვილეში კი ანგარიშმა, უზრუნველი ცხოვრების სატყუარმა და ცხოველურმა ვნებამ მარგოს მოულოდნელად სალი განსჯის უნარი დაუქვეითა და საბედისწერო არჩევანიც გააკეთებინა. „ვინ იცის, იქნებ სჯობდეს კიდეც, რომ სამუდამოდ შერჩე ჯაყოს,- არწმუნებს თავისთავს იგი. - ჯაყო ყველაფერს მოგცემს, რაც შენ გინდა: სიყვარულის ცეცხლს, ტკბილ ცხოვრებას, ახალგაზრდა ვაჟკაცის ჯან-ღონეს და... დღეგრძელობაზე უკეთეს მომავალს... თეიმურაზი კი... რა აქვს წარსული, მომავალი, შორის პატივი, საქურისის ცოდნა და... ზანზიბარი! დაანებე თავი თეიმურაზს!"

ქმრის უძლურების ამგვარი გაცნობიერება საბოლოოდ თრგუნავს მარგოს და სულიერი მონობის უღელს ადგამს მას. ასე ნელ-ნელა, ნებაყოფლობით ადგება იგი ზნეობრივი დაცემის მოლიპულ გზას და თეიმურაზთან ვერზიარებული ბედნიერების მოპოვებას აწ უკვე ჯაყოს ხელში ესწრაფვის. სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგებს მას სექსუალური სწრაფვის უჩვეულო აღზევება მის არსებაში და ბედნიერი ცხოვრების ის თვალწარმტაცი ილუზია, რომელსაც ჯაყო უხატავდა ქალს. და მარგოც ერთიანად იძირება თავდავიწყებისა და ხორციელი ნეტარების ცოდვილ მორევში. მაგრამ გადის არც თუ ისე დიდი დრო, იწყება ილუზიური ბედნიერებიდან გამოფხიზლების ტრაგიკული პროცესი და მარგო ნელ-ნელა დგება მკაცრი ცხოვრებისეული რეალობის წინაშე.

მართალია, მარგო, თეიმურაზთან შედარებით, გაცილებით უფრო აქტიური პიროვნებაა, მაგრამ პრაქტიკული მოქმედების უნარი არც მას გააჩნია და თავადაც ეფლობა თეიმურაზის მცონარე და დამყაყებული ცხოვრების ჭაობში. უშვილძიროდ და უმომავლოდ დარჩენილი, იმედებგაწბილებული და ფუნქციადაკარგული, ხელფრთაშერიგებული და უსაქმობით გრძნობებდაჩლუნგებული, იგი ძილსა და უაზრო ბორიალში ატარებს უმიზნო წუთისოფელს.

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მათ ოჯახს ეკონომიკური საყრდენი გამოეცლებოდა და მათ ყოველდღიურ ყოფას მატერიალური პრობლემები შეექმნებოდა. ამის შემდეგომ კი მარგოსა და თეიმურაზს შორის ფარულად არსებული ბზარი თანდათან გადიდდა და უზარმაზარ უფსკრულად იქცა, საიდანაც ზიზღისა და მძულვარების შადრევანმა ამოხეთქა. ამდენად, მოულოდნელად იმი-



22100
საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სა, რომ მარგოს დამორჩილება თავდაპირველად ჯაყოს მიერ უხეში ძალადობის გზით ხდებოდა, ქალი ამ ნაბიჯის გადადგმისათვის ფსიქოლოგიურად უკვე კარგა ხნის მომზადებული იყო.

როგორც ითქვა, მარგოს, თეიმურაზთან შედარებით, მოვლენათა განსჯა-შეფასების მეტი უნარი აქვს მომადლებული, მაგრამ არც მისი თვალთახედვის არეალია ფართო. ამაზე მეტყველებს ის მძიმე ხვედრი, რომელიც განგებამ არგუნა მას ჯაყოსთან დაქორწინების შემდგომ.

რომანში უდიდესი ადამიანური თანაგრძნობითაა აღწერილი მარგოს სულიერი ტრაგიზმი, მისი მძაფრი ჭიდილი თავისსავე თავთან, ის უაღრესად თავისებური ურთიერთობა, რომელიც მასა და ქმარყოფილს შორის მყარდება, მონანიების ის მტანჯველი გრძნობა, მის არსებაში რომ ჩნდება საკუთარი ცხოვრებისეული ხვედრის გაცნობიერების შედეგად.

აკაკი ბაქრაძის მართებული შეფასებით, „მარგოს თავგადასავლით მ. ჯავახიშვილი თანმიმდევრულად, გამოწვლილვით გვიხატავს თავისუფალი ადამიანის მონად ქცევის პროცესს". ასე რომ, რომანში უღრმესი ადამიანური თანაგრძნობითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა ნაჩვენები ზნეობრივი დაღმასვლისა და სულიერი დამდაბლების ის უძნელესი გზა, რომლის გავლაც დააკისრა ულმობელმა ბედისწერამ მწვავე ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა უმწეო მსხვერპლად ქცეულ ამ მშვენიერ ქალბატონს.

### დ). ნახუცარი ივანე

ავტორისეული მიზანსწრაფვის შესაცნობად და გასააზრებლად, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟების გარდა, ნახუცარი ივანეს მხატვრულ სახესაც უსათუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ნახუცარი ივანეს სახით მ. ჯავახიშვილმა შექმნა, თუმცა შედარებით ფრაგმენტული, მაგრამ მეტად დამახასიათებელი ლიტერატურული ტიპი იმ პიროვნებისა, რომელიც ადვილად უღებს ალღოს ვითარებას, სწრაფად აკეთებს სიტუაციის შესაბამის დასკვნებს და ამის მიხედვით წარმართავს საკუთარ ცხოვრებას.

სწორედ ვითარებასთან ამდაგვარმა შემგუებლობამ და ყოფითმა პრაქტიციზმმა განსაზღვრა ივანეს ცხოვრებისეული ბედი ახალ ეპოქაში. როცა მან დაინახა, რომ რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ რელიგიასა და მის მსახურებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა, ივანემ უყოყმანოდ, სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე, გაიხადა ანაფორა, ღმერთს ზურგი შეაქცია და გლეხურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ასე უმტკივნეულოდ ამას იგი იმიტომ აკეთებს, რომ რეალისტი კაცია, არა წმინდანობისთვის გაჩენილი ადამიანი, არამედ ვითარებასთან შემგუებელი პიროვნება.

ახალი ცხოვრების სამსახურში ჩადგომამ ერთ დროს ღვთისმოსავი ივანე სიცრუესა და ორპირობას შეაჩვია და პირმოთნეობის მრუდე გზაზე დააყენა. ასე გვევლინება იგი ჯაყოს - რევოლუციური ხელისუფლების მიერ სოფლის ახალ პატრონად და აშკარად მოვლენილი მედროვის - მლიქვნელ მეხოტბედ, თუმცა სინამდვილეში შესანიშნავად იცის, ვინცაა იგი.

ნახუცარი ივანეს გაორებული პიროვნული ბუნება რომანში ხაზგასმულადაა გამოვლენილი. თუ, ერთის მხრივ, ის დაბეჯითებით უმტკიცებს თეიმურაზს, რომ „მართალია, ანაფორა გაიხადა, მაგრამ ქრისტეს მოძღვრება ეხლაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი", მეორეს მხრივ, იმავე თეიმურაზთან, სხვაგან, ასევე არაორაზროვნად იმასაც ამბობს, რომ „ღვთის რწმენა კი დაკარგა, სამაგიეროდ უფრო ძლიერი რწმენა შეიძინა - მშრომელი ხალხის ძალა და მისი მომავალი".

ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, რომ ივანე შესანიშნავად ერკვევა მოვლენათა არსში. მან კარგად იცის, ვინ ვინ არის და რას ემსახურება. იგი არც ჯაყოს შეფასებაში ცდება; მაგრამ თუ მაინც მისი დამცველ-მხარდამჭერია, მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან პირად სარგებელს ნახულობს. ასე თანდათანობით ძლიერდება „ქურქგამოცვლილი" და რწმენაგადარჯულებული ივანეს არსებაში ანტიქრისტიანული ზნეობა და ღვთისგან ზურგნაქცევი ნახუცარი ზოგჯერ ისეთი იდეების მქადაგებელ-მხარდამჭერადაც გვევლინება, რომლებიც ხელაღებით უარყოფენ ადამიანურ მადლსა და სიკეთეს.

### ე). ნინიკა

მ. ჯავახიშვილის მრავალ ნაწარმოებში, მათ შორის „ჯაყოს ხიზნებშიც", დიდი ფუნქცია აქვს დაკისრებული ე.წ. ბედ მდევარს, რომელიც ხშირად მოულოდნელად წამოეწევა ხოლმე ადამიანს ცხოვრების გზაზე და ბედისწერის უმკაცრეს განაჩენს აღასრულებს. მწერლის შემოქმედებაში განგების მიერ მოვლენილი ამდაგვარი ბედი მდევარი უმეტესწილად ბოროტების დამთრგუნველ ძალადაა წარმოდგენილი.

ასე ხდება „ჯაყოს ხიზნებშიც". ბედი მდევრის ამ უჩინარ, მაგრამ უზენაეს ძალას მწერალი ჯაყოსადმი მიმართული სიტყვებით ამგვარად ახასიათებინებს თეიმურაზ ხევისთავს: „ჯაყო! კიდევ ვიღაც არის ამ ქვეყნად ღმერთის გარდა. ის „ვიღაცა" იმ მგელს მაინც დაეწევა და კბილებს დააგლეჯს... შენ ამიერიდან დღე-და-ღამ იმ სამართალს მოელოდე. ჩემს მაგიერად იგი მოვა და ანგარიშს გა..გაგისწორებს. ბედმა მდევარმა შენ თუ არ მოგისწრო, შენს შვილებს მაინც წამოეწევა და კბილებით დაჰგლეჯს. შამფურზე შესწვავს, ნელ ცეცხლზე მოაბრაკავს. ბნელ ორმოში ჩაჰყრის და თან გველის წიწილებს ჩააყოლებს..."

ბედი მდევრის ამდაგვარ აღმსრულებელ ძალად რომანში ნინიკა და ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად მებრძოლი მისი თანამოაზრენი არიან. მათი უმთავრეს-

სი ფუნქცია ნაწარმოებში სწორედ ამითაა განსაზღვრული. მართალია, ნინიკასა და მის თანამოაზრეთა მხატვრული სახეები ძალზე სქემატურად და ზედაპირულადაა დახატული, მაგრამ ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მწერლის ინტერესის საგნად ამ შემთხვევაში ახალი, რევოლუციური სინამდვილის მშენებელ-დამამკვიდრებელ პიროვნებათა ლიტერატურული ტიპაჟის შექმნა არ არის ქცეული.

ასე რომ, იდეოლოგიურად რადიკალურად განსხვავებულ პოზიციებზე დგომის მიუხედავად, ნინიკა, რომელიც ახალთაობელთა ყველაზე გამოკვეთილი წარმომადგენელია ნაწარმოებში, ჯაყოს ლიტერატურულ ანტიპოდად სრულყოფილი სახით მაინც ვერ გამოიკვეთა და მისი ადამიანური ბუნებაცა და მოქალაქეობრივი მრწამსიც მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოხაზული.



**მხატვრული ოსტატობის ზოგიერთი საკითხი**

რომანში ნაზრევის მხატვრული სრულყოფილებით გამოსახატავად უდიდესი დატვირთვა აქვს დაკისრებული ენობრივ კოლორიტს. ამ თვალსაზრისით „ჯაყოს ხიზნებს" განსაკუთრებულ თავისთავადობასა და თვითმყოფადობას სძენს ჯაყოს დამახინჯებული ქართულით მეტყველება. მისი დამახინჯებული სინტაქსი და მინგრეულ-მონგრეული ლექსიკა ამ მხრივ რომანში იმდენად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, რომ მისი მაგალითები სცილდება პერსონაჟის ინდივიდუალიზების ფარგლებს და ავტორისეული სათქმელის ეფექტური გამოხატვის ორგანულ, სიხსხლხორცეულ ნაწილადაა ქცეული.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწერალი ხშირად მიმართავს ხოლმე პერსონაჟთა მეტყველებისთვის ფართოდ დამახასიათებელი ფრაზების გამეორებას. ასე აღიბეჭდებიან ჩვენს ცნობიერებაში გაველურებული ულაყივით მოჭიხვინე ჯაყო თავისი გაუთავებელი სიტყვებით: „მაშ, მაშ! აგრე ვიცის ჯაყომა!" და უმხეო ყვავილივით სიცოცხლედაშრეტილი, ენაბრგვილი თეიმურაზი თავისი საყვარელი გამოთქმებით: „საკ...კვირველია!... საოც...ცარია!" და „მოვ...ვისაზრით... გ...გამოვარკვიით... მოვ...ვლოვიწრით...".

„ჯაყოს ხიზნებში" უმაღლეს დონეზეა აღის ავტორის მწერლური ოსტატობა. მ. ჯავახიშვილი განსაცვიფრებელი მხატვრული ძალმოსილებით გამოხატავს პერსონაჟთა შინაგან სულიერ განცდებს, ულრმესი ფსიქოლოგიზმით აღწერს სიტუაციებს, ღრმადმეტყველი შტრიხებით ძერწავს მიქმედ გმირთა პორტრეტებს. ნათქვამის დასტურად მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება ნაწარმოებიდან. გავიხსენოთ თუნდაც, რომანის ის ადგილები, სადაც თეიმურაზ ხევისთავისა და ჯაყო ჯივაშვილის პიროვნული პორტრეტებია დახასიათებული: „ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს ჰგავდა. დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად გადგმულ თეძოებსა და მხარბეჭს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა.

რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგნულის ჯაგარით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულიყო.

შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინწამოყრილ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყოთ თავი.

ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცქეროდნენ..."

ვფიქრობ, ამ ფრაგმენტიდანაც ნათლად დაინახავს მკითხველი, რაოდენ მეტყველია და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ჯაყოს პორტრეტული ინდივიდუალობის დახასიათება. ყველა დეტალი, მწერლის მიერ დახატული ყველა ნიუანსი, უპირველეს ყოვლისა, მისი პიროვნული ბუნების გახსნას ემსახურება. ამდაგვარი მაგალითები კი ნაწარმოებში უამრავია.

ილუსტრაციები გ. ლაშხისა

ილია ჭუჭუხიძე (1901-1992) - მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფიის დოქტორი. მე-2 მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა და სამშობლოში დაბრუნება ველარ შეძლო. წერდა მინდია ლაშაურის, ი. დურუჯელის, ლაშა ეგრისელის და სხვა ფსევდონიმებით. მიუნხენის უნივერსიტეტში ასწავლიდა ქართულ ენას. რადიო „თავისუფლების" ქართულ რედაქციაში ალეკო ლორიას ფსევდონიმით მიჰყავდა რუბრიკა - „საქართველო უპირველეს ყოვლისა"... საზღვარგარეთ მხატვრული ნაწარმოებები და სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს ქართულ, გერმანულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე...

წინამდებარე სტატია ჩვენს ჟურნალს მწერლის შვილიშვილმა, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა გონა ჭუჭუხიძემ გადმოსცა...

ილია კუქუხიძე

# რუდოლფ კარმანის გახსენება

ერთხელ ბატონმა კალე სალიამ პარიზიდან მომწერა: „მიუნხენს ჩამოვა და შენთან მოვა რუდოლფ კარმანი. გთხოვ, რითაც კი შეგიძლია, დახმარება გაუწიოვო"...

მახსოვს, - სამსახურიდან სახლში მივედი... ვხედავ, სტუმარი გვყავს... გამეცნო: - „რუდოლფ კარმანი ვარო"... ამის შემდეგ ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა...

რუდოლფ კარმანი არის გერმანიაში ცნობილი ლიტერატორი და მუსიკათმცოდნე, დიდი მეგობარი ქართული კულტურისა და პატივისმცემელი გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისა. გრიგოლ რობაქიძის ხსოვნას მან საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა სათაურით: „გრიგოლ რობაქიძე და მითოსის აღორძინება", რომელიც შტუტგარტში გამომავალ „ოსტ ეუროპა"-ში გამოაქვეყნა. მე ეს ნარკვევი ქართულად ვთარგმნე და 1964 წელს დავბეჭდე ქართველოლოგიის კრებულში - „ბედი ქართლისა". ნარკვევში კარმანი წერდა: „გრიგოლ რობაქიძე ჯეროვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაშიო"...

ჩემი და რუდოლფ კარმანის მეგობრობა თხუთმეტ წელიწადს გაგრძელდა. ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე ნიურნბერგიდან მიუნხენში და რჩებოდა ჩემთან. მან რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში და იქიდან დაბრუნებულმა ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ხატები ჩამომიტანა. ერთხელ ხმამაღლა წავუკითხე ქართულად თარგმნილი მისი ნარკვევი, აღფრთოვანებულმა კისერზე მომხვია ხელი: „რა ლამაზი ქართულით გითარგმნიაო"... გამეხარდა ძალიან, ქება ვის არ გაეხარდება, მით უფრო ისეთი კაცისგან, როგორიც კარმანი იყო...

მან, როგორც მუსიკათმცოდნემ, დასავლეთ გერმანიაში მეტად გავრცელებულ ჟურნალ „ფილმ ტონ მაგაზინ"-ის 1968 წლის ნოემბრის ნომერში ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ქართულ ხალხურ მუსიკასა და ცეკვაზე. იგი წერდა: „ქართული მუსიკა განუმეორებელი ფენომენია, მისი ძირები ქრისტეანობამდელ შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ... ქართული სიმღერა „ნანა", იგივე „ნანინა", სმენის მიმაჯადოვებელი გალობაა, რასაც ქალთა გუნდი ასრულებს... ქართული ცეკვა იწყება ნელი რიტმით, ნელი, გამოზომილი ნაბიჯებით... ქართველი მოცეკვავეები, ქალები და ვაჟები, გრაციოზულად ცეკვავენ, ვაჟები თითის წვერებზე არიან შემდგარნიო"...

რუდოლფ კარმანი ძალიან იყო განაწყენებული ზოგიერთ გერმანელ ჟურნალისტზე, - ისეთებზე, რომელნიც, როცა საქართველოზე წერენ, მხედველობაში მხოლოდ სტალინი ჰყავთ. მან ერთხელ გერმანულ გაზეთ - „ვესფალ პოსტ"-ის ნომრები მომიტანა, რომლებშიც სერიებად იყო მოთავსებული გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის პაინც ლათესის სტატიები. ლათესი საქართველოში ყოფილა ნამყოფი, - რუსთაველის 800 წლის იუბილეზე მიუწვევიათ. ჰოდა, რუდოლფ კარმანი გულისტკივილით მეუბნებოდა: - „ეს კორესპონდენტი, თურმე, მხოლოდ სტალინის სამშობლოში ყოფილა, სტალინზე ბევრს წერს, რუსთაველზე კი - ცოტას, სტალინს მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე რუსთაველსაო"...

რუდოლფ კარმანი დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. ამ რამდენიმე წლის წინ ქართულ სასულიერო მუსიკაზე შეუდგა მუშაობას. მე მას ჩვენი დიდი მეცნიერის - პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე" მივეცი... არ დასცალდა მას ამ დიდი საქმის გაკეთება. - ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა ქართული კულტურის დიდი მოამაგე და მეგობარი...

მიუნხენი, 1985

რუსუდან ლიპარტელიანი,

# გონს მოვეგოთ, სანამ ჯერ კიდევ დროა!

დიდმა იაკობმა ეროვნულ ენას „ერის ბურჯი“, „სკოლის სული“, „განათლების ლამპარი“ უწოდა. მაშინ ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში ზეობდა რუსიფიკატორული პოლიტიკა - სახელმწიფო ენად რუსული იყო ნაბრძანები და საქართველოს სკოლებში მშობლიურ ენაზე დალაპარაკებისათვის ქართველ ბავშვებს სასტიკად სჯიდნენ. ასეთი ქმედების მიზანი იყო ქართველთა რუსეთში ასიმილირება და მათი სრული გადაგვარება. ბევრი არამტკიცე ერიშვილი რუსი ბიუროკრატ-შოვინისტების ნებას დაჰყვა - სამშობლოდ რუსეთი, მშობლიურ ენად კი - რუსული ირწმუნა. გადიდება-გამდიდრების მანიით შეპყრობილებმა დაწყევლეს „თვისტომი“ და უბადრუკ ლამურასავით ზეცაში განავარდება მოინდომეს!... (ბევრ მათგანს უწია აკაკის წყევლამ!).

კვლავ იაკობს დავესესხები - „ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის და ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. ცოდნა ისევე საჭიროა ერის არსებობისათვის, რამდენადაც ჰაერის სუნთქვა სიცოცხლისათვის“... ერის სიცოცხლისუნარიანობა, მისი ძალმოსილება და დამოუკიდებლობა სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მის განათლებაზე, ცოდნის მრავალმხრიობაზე. მხოლოდ განათლებულ ერს შეუძლია - ეკონომიკური კეთილდღეობაც მოიპოვოს, მომხდურიც მოიგერიოს, მოყვასსაც ხელი გაუმართოს და ჩვენს პატარა პლანეტაზე ღირსეული ადგილიც დაიმკვიდროს!

XIX-XX საუკუნეების გამორჩეულმა ქართველმა მამულიშვილებმა რუსი შოვინისტების გამოწვევა მიიღეს და ერის გადასარჩენად ორი საუკუნის მანძილზე მუხლჩაუხრელად და სახელოვნად იღვაწეს. ერთ მხარეზე იყო გიგანტური რუსეთი თავისი მდიდარი და ლამაზი ენით, მეორე მხარეს - მრავალჭირნახული პატარა საქართველო თავისი უნიკალური, ყოვლმხრივ „შემკული და კურთხეული“ ენით. საბჭოთა პერიოდში ამ ხანგრძლივი ბრძოლის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდი იყო 1978 წლის 14 აპრილი, როდესაც ქართველმა ერმა, მისმა ინტელექტუალურმა ახალგაზრდობამ თავგანწირვით დაიცვეს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი (თუმცა დაიცვეს მხოლოდ ქაღალდზე!..).

შეიძლება ვინმეს პარადოქსადაც მოეჩვენოს, მაგრამ ენის პრობლემა დღესაც - დამოუკიდებელ საქართველოშიაც მეტად მწვავედ დგას. ხალხს სურს ამჟამად, უსაზღვროდ დამცრობილ-შევიწროებული ენის მოვლა, დაცვა და კვლავ ამაღლება. ხალხის ნების შესაბამისად 1995 წელს შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია ქვეყნის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. შესაბამისად - თითქმის ყოველმა გამგეობამ, ორგანიზაციამ, საზოგადოებამ მრავალი საჭირო დადგენილება გამოიტანა. მაგ., 1995 წლის სექტემბერსა და ნოემბერში თბილისის მერიის კოლეგიამ დაადგინა, დედაქალაქში ყველა არაქართული რეკლამა ქართულით შეცვლილიყო. ამ საქმის შესასრულებლად შესაბამისი სამსახურებიც შექმნილა, მაგრამ ინგლისურენოვანი რეკლამები თბილისში და, ალბათ, სხვა დიდ ქალაქებშიაც, აგრეთვე სრულიად საქართველოს გზებზე კვლავ ძველებურად გვჭრიან თვალებს!...

რუსული ენის მოძალადეურ შემოჭრას ჩვენს ენასა და ყოფაში ახლა ინგლისური ენაც დაემატა, რომელიც ამ ბოლო წლებში გრიგალივით მოასკდა ჩვენს ქვეყანას და ცდილობს - მკვიდრად გაიდგას ფესვები ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. რუსულიც, ინგლისურიც, ცხადია, შესანიშნავი, მდიდარი, მოქნილი ენებია, მათი ცოდნა, რა თქმა უნდა, სასარგებლოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, მაგრამ, როდესაც ეს ენები ჩვენს ენაში ჩანაცვლებას იწყებენ მისი შევიწროების ხარჯზე, ეს მრავალმხრივად ვერაა მოსაწონი; პირიქით, ერის დამღუპველი ეს ტენდენცია მკვეთრად უნდა დაიგმოს!

რუსული პედაგოგიკის მამა - კონსტანტინე უშინსკი - ბრძანებდა: „წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია დაიბრუნოს ის; მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ის ვერასოდეს შექმნის მას“. თუმცა ეს გენიალური პედაგოგი წინააღმდეგი არ იყო უცხო ენის (ენების) შესწავლისა, პირიქით, იგი უცხო ენის ცოდნას ადამიანის განსწავლულობის მაღალ ხარისხად მიიჩნევდა. მაგრამ იმასაც ხშირად და მკვეთრად აღნიშნავდა, რომ „...უცხო ენების შესწავლა არასდროს არ უნდა იწყებოდეს ძალიან ადრე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწყებოდეს მანამდის, სანამ არ

შეგამჩნევთ, რომ დედაენამ ღრმა ფესვები გაიდგა ბავშვის სულიერ ბუნებაში“.

ამჟამად ე.წ. დამოუკიდებელი საბავშვო ბაღები და სკოლები ინგლისური ენით იფასებენ თავს და ყელყელაობენ. საბავშვო ბაღებში 4-5 წლის ბავშვებს ასწავლიან ინგლისურ ენაზე მეტყველებას, ხოლო დაწყებითი კლასები ხომ გაჯერებულ-გალაღებულია ამ დღევანდელობის მოდადქცეული ენით! მშობლები (სამწუხაროდ - ბევრი მასწავლებელიც!), რომელთაც ალბათ არც გაუგონიათ დედაენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ შექმნილი იაკობის გენიალური ტრაქტატი „ბურჯი ეროვნებისა“, ძალიერ კმაყოფილნი არიან, რომ თითქმის ძუძუმწოვარი ბავშვები უცხო ენაზე ჟღურტულებენ; ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს - პატარებმა ქართულად ხანგრძლივად არ ილაპარაკონ და ამით ინგლისურის (საერთოდ, უცხო ენის) შესაბამისი გამოთქმები „არ გაიფუჭონ“ და დაამახინჯონ. უცხო ენის მიხედვით მეტყველების ნაადრევად „მოქნა“ და გაწვრთნა ამღვრევს ცვლის ახალგაზრდის ეროვნულ ფსიქიკას - ის ველარ იქნება ნამდვილი ეროვნული სულით გაჯერებული სრულფასოვანი ქართველი, მაგრამ „ინგლისელობითაც“ ვერ დაიკვეხნის, რადგან მას ქართული გენი ვერ აამაღლებს სრულფასოვან ინგლისელამდე. ასეთი გაორებული ადამიანები ვერ გახდებიან გამოჩენილი პროფესიონალები - თავს ვერც სხვა ტომის ადამიანებს მოაწონებენ და შეაყვარებენ და, სამწუხაროდ, საკუთარი ერის შვილებთანაც გაუცხოება, უთვისტომობა და უსიხარულო არსებობა დაირგუნავს. ჩვენი სახიქადულო პოეტი - ლადო ასათიანი - მხოლოდ მცირეოდენ პურსა და ჭიქა ღვინის ქმარობდა სიმდიდრედ და ბედნიერებად, რადგან ის ერის სიყვარულითა და სიამაყით იყო გაჯერებული, ხოლო ინგლისურად აღზრდილ ქართველ მილიონერს კი სულიერი გამყინვარება შეაძრწუნებს!... თუ ქართველები ვართ, თუ ერის შვილები გვქვია არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სახიქადულო წინაპრის - დავით გურამიშვილის დირსსახსოვარი შეგონება: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო!“ რაც შეეხება ენების შესწავლას, „ენა არ გაწყენს არც ერთი, უნდა იცოდე რამდენიც, ოღონდ არ უნდა დაკარგო ქართული სიტყვის ნათელი“ (მუხრანი). თუ ეს შეგონება არ გავიცნობიერეთ, რამდენიმე წელში ქართველის ნაცვლად უეროვნო და უსამშობლო ადამიანთა გროვას მივიღებთ. ქართველთა ხელითა და თავითაა შექმნილი გახმაურებული რეკლამა „ჩაწვდით ამერიკულ სულს!“ (რომელიც, მადლობა ღმერთს, ხალხმა მალე ჩამოხსნა და გააქრო!). ქართველი კაცი ამერიკულ სულს კი არ უნდა ელოლიავებოდეს, ქართულ სულს, ზნეობასა და მორალს უნდა უფრთხილდებოდეს, რაც გარანტი იქნება იმისა, რომ ნებისმიერ ეროვნებასაც დამსახურებული პატივითა და მოკრძალებით მოექცევა!

ხშირად გვესმის ბრძნული გამონათქვამი - „იმდენი ადამიანი ხარ, რამდენი ენაც იცი!“ მაგრამ სად, როდის და როგორ ვასწავლოთ ბავშვებს უცხო ენა ან ენები?

საყოველთაოდ ცნობილია XVII საუკუნის უდიდესი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის აქსიომადქცეული დებულება - „მშობელი, რომელიც მოინდომებს თავის შვილებს ასწავლოს უცხო ენა, ვიდრე ისინი განმტკიცდებოდნენ დედაენის ცოდნაში, იქმს იმისთანა საოცარ სისულელეს, როგორსაც ჩაიდენდა ადამიანი, რომელიც ჯერ ფეხაუდგმელ ბავშვს ცხენზე ჯდომას დააწყებინებდა... ბავშვს ჯერ დედაენა უნდა ასწავლო, მერე უცხო ენა ერთი მეორის შემდეგ. თუ ერთ დროს დააწყებინე ორივე ენის სწავლება, ბავშვს გონებას დაუბნევ“. ამ აზრს ქადაგებდა და ქადაგებს ყოველი დროისა და ქვეყნის პედაგოგიკის დიდი კლასიკოსი, რომელთა მიერ გამოთქმულ ბრძნულ მოსაზრებებს ყაველი არასდროს გაუვა. მოვუსმინოთ თუნდაც კონსტანტინე უშინსკის: „უცხო ენების შესწავლა არ უნდა იწყებოდეს ძალიან ადრე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწყებოდეს მანამდე, სანამ არ შეამჩნევთ, რომ დედაენამ ღრმა ფესვები გაიდგა ბავშვის სულიერ ბუნებაში... უცხო ენები უნდა ისწავლებოდეს ერთი მეორის შემდეგ და არასდროს ორი ენა ერთდროულად. მეორე უცხო ენის შესწავლა ბავშვს უნდა დავაწყებინოთ მაშინ, როდესაც პირველს უკვე საკმაოდ კარგად ფლობს“.

ამრიგად, პატარას უცხო ენის შესწავლა უნდა დავაწყებინოთ მაშინ, როცა დავინახავთ, რომ ის მშობლიურ ენას უკვე კარგად ფლობს (ი. ჭავჭავაძის მითითებით - არაუადრეს მესამე-მეოთხე კლასისა). პირველი უცხო ენის სწავლების დაწყებიდან 2-3 წლის შემდეგ შეიძლება მეორე უცხო ენის სწავლებაზეც ვიფიქროთ (თუ ამისი სურვილი, საჭიროება და პირობები იქნება) და ა.შ. მაგრამ მთელი სასკოლო სწავლების ცენტრი, მისი სული და გული დასაწყისიდან ბოლომდე უნდა

იყოს მშობლიური ენა!

მაგონდება ბრწყინვალე მეცნიერისა და პედაგოგის - უშანგი ობოლაძის - შთამბეჭდავი სიტყვები: „ყოველი ეროვნული ენის ღირსების საზომი დედაენის სწავლების დონეა. ის წარმოადგენს სკოლის შუბლს, გულს, სიცოცხლეს. მის ღღევანდელ მდგომარეობასა და ხვალინდელ ბედს"... თუ ამჟამინდელი რეალური მდგომარეობით შევაფასებთ ჩვენი დედაენის „სწავლების დონეს" და ამ დონის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ჩვენი „ხვალინდელი ბედის" სურათი მეტად მუქი ფერებით წარმოგვიდგება... რა პასუხს ვცემთ „ეროვნების ბურჯს" (დედაენას) ამჟამინდელი სასწავლო გეგმებით? მაგალითს მოვიტან სწავლების პირველი საფეხურიდან: ოთხი ათეული წლის წინ დედაენის სწავლებისათვის დაწყებით კლასებში 44 კვირეული საათი იყო გამოყოფილი, ახლა - 33 საათია, ე.ი. მთელი 11 საათით ნაკლები(!!) ვფიქრობ, ამ ფაქტს კომენტარიც აღარ სჭირდება.

XIX საუკუნის რუსიფიკაციის პოლიტიკა საქართველოში XX საუკუნეში ვერაგულად შენიღბულმა საბჭოურმა რუსიფიკაციამ შეცვალა, ამჟამად კი გამალებული „ინგლისურიზაცია" მიდის. ქართული სასაუბრო თუ სამეცნიერო ლექსიკა გაივსო ინგლისური სიტყვებითა და ტერმინებით. სავსებით ვეთანხმები ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის - ჰუგო შუხარდტის ბრძნულ გამონათქვამს: „ტერმინოლოგიური ბურუსი მეცნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ნაოსნობისათვის"...

ჩვენი დალოცვილი ენა ყოველი აზრის გადმოსაცემად ამოუწურავ შესაძლებლობებს ფლობს. „ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო მნიშვნელობის ენაა" (ნიკო მარი). გულსატკენია, ქართულ მეტყველებაში ასე უბოდიშოდ რატომ უნდა შემოჭრილიყო და დამკვიდრებულიყო სიტყვები: იმიჯი, ბიზნესი, სტატუსი, ეტალონი, ეპიგონი, ილუზია, ინტერაქტიური, მონიტორი, მონი-



პლაკატი ი. ავალიანისა

ტორინგი და უამრავი სხვა ყოველგვარი საჭიროების გარეშე. ამ სიტყვებს ჩვენი ლექსიკოლოგები სრულ ქართულ შესატყვისებს ვერ მოუძებნიდნენ? სხვა ენებიდან სიტყვათა სესხება, საერთოდ, ენის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა და ის ღადებით მოვლენად აღიქმება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოვლენა ხდება მკვეთრი საჭიროების გამო და სიტყვა (ტერმინი) სხვა ენიდან შემოგვაქვს ცნებასთან ერთად.

საერთოდ, ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეტყველებისას დიდ დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს. არაიშვიათად „ელიტარული საზოგადოების" ესა თუ ის წარმომადგენელი რუსულ-ქართულად მეტყველებს (წინადადებას იწყებს ქართულად, ამთავრებს რუსულად...) ახალგაზრდები ერთმანეთს ინგლისურად ან გერმანულად ესიტყვებიან და ეს მიაჩნიათ მათი პიროვნების წარმოსაჩენ ეფექტურ დონედ. საყოველთაოდ ცნობილი ადამიანებიც თითქოს თავს იწონებენ დიალექტური ან ვულგარული გამოთქმებით, ერთ-ერთმა მათგანმა ამას წინათ ტელევიზიის ეკრანიდან მისი მეგობარი (?!) ასე შეაფასა - ის „მაგრა ურიკინებსო" (თან საფეთქელთან თითი დაიტრიალა!). ეს არა მხოლოდ ენისა და ასიათასობით მსმენელის, არამედ, უპირველესად, საკუთარი თავის არადნაგლება და უპატივისმცემლობაა! ჩემთვის გაუგებარია, ეს სწავლული ადამიანები რატომ ჩადიან ამას - მეტისმეტად დემოკრატობენ, ხალხოსნობენ და ამით მსმენელთა გულის მოგება სურთ? თუ მის მშობლიურ ერსაც და ენასაც... არად აგდებენ! (კინაღამ ამ ქმედებისათვის ზედგამოჭრილი არაეთიკური სიტყვა წამომცდა!).

-ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს - იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისათვის, რომელსაც ამით აკლდება ერთი თავისი ნაწილი, ანუ წევრი, უშრება ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიო ზღვას" (ი. გოგებაშვილი).

დედაენის დაცვა, „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც დაცვა ხმლით საკუთარი სამშობლოისა" (კ. გამსახურდია).

**თინა ღვინაძე**

# ქართული სიტყვის მოტრფიალე

მე-20 საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს **გიორგი შატბერაშვილი.** მას XX საუკუნის ბოლო წლის 14 აპრილს დაბადებიდან 90 წელი უნდა შესრულებოდა. გარდაიცვალა შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, 55 წლისა 45 წლის წინ. მაინც ბევრი რამ მოასწრო სიცოცხლეში მრავალი უსამართლობისა და სულიერი თუ მატერიალური ტრავმის მიუხედავად. გარდაცვალების შემდეგ გიორგი შატბერაშვილის თხზულებები გამოიცა 4 ტომად, რომლებიც მოიცავს პოეზიის, პროზის, დრამატურგიის გარდა უბის წიგნაკის საინტერესო ჩანაწერებსა და ლინგვისტურ დაკვირვებებს ქართლური დიალექტის მასალაზე- „თვალადური ქართულის ჭაშნიკს“.

სანიმუშოა მწერლის დამოკიდებულება ქართულ სალიტერატურო ენასთან. იგი უფრთხილდება ყოველ სიტყვას, არ ამძიმებს თხრობას ზედმეტი ეპითეტებითა და მხატვრული მეტყველების ხერხებით. მიუხედავად სანიმუშო უბრალოებისა და სისადავისა, მისი ნაწარმოებების ენა მხატვრული და ხატოვანია. ხატოვანება ჩანს კონტექსტისათვის სიტყვის მოხდენილად შერჩევისას, ისეთი სიტყვების გაცოცხლებისას, რომელთაც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ნაკლებად მიმართავენ.

„უბის წიგნაკის ჩანაწერებში“ ერთგან ვკითხულობთ: „მწერლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მშობლიური ენის ჭეშმარიტ ბუნებასთან მიახლოება უნდა იყოს“. სხვა ადგილას კიდევ ნაუწერია: „მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი! ყველაფერი იხრწნება, იფშვნება, მტვერდება... მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი და უმტვერებელი. ის უძლებს დიქტატორის შერისხვას, ჯალათის მახვილს, მძიმე ურის ცემას; არ გაიჭრება, არ გაილუნება, არ გაცვდება... კიდევ: „თქვენი ენა ყველასათვის გასაგები, მოსაწონი და სასიამოვნო უნდა იყოს („ყველაში“ არ იგულისხმება, რა თქმა უნდა, ის, ვისაც საერთოდ მწერლობისა არაფერი ესმის)“.



გიორგი ლეონიძე და გიორგი შატბერაშვილი

ასეთი თეორიული შეხედულების პრაქტიკულად განხორციელების საუკეთესო ნიმუშად გამოდგება მშვენიერი მინიატურული მოთხრობა „ჩემს ძველ სახლში“, რომელიც ომის დროს, კერძოდ, 1942 წ. დაუწერია. მშობლიური თვალადური სახლის მონატრების განცდა გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში და პროზის ბევრ სხვა ნიმუშშიც იგრძნობა (ლექსები „დედის ეზოში“, „ხამთრის პირს ჩემი სოფელი“, „ქორალი“ და სხვა მოთხრობები: „მამალხინე“, „მამალხინეს სიკვდილი“, „უმძრახი წყალი“, „მკვდრის მზე“...), მაგრამ აქ ყველაზე ნათლად სჩვეის განსაკუთრებული დამოკიდებულება მშობლიური სოფლისაკენ. მიმავალი საცალფეხო ბილიკის ყოველი მონაკვეთისადმი (ხშირად დადის სოფელში, ორი დღის წინაც იყო). ამჯერად მას ომში ჩვიდმეტი თვის წინ (ე.ი. ომის დაწყების პირველსავე დღეებში) წასული ნაბოლარა ძმის წერილით მიუხარია მშობლებთან. თან საგონებელშია: როგორ ახაროს მშობლებს დაკარგულად მიჩნეული შვილის გამოჩენა, რომ უეცარმა სიხარულის ელდამ არ ავნოს მოხუცთა გულებს. გზად შეუმჩნეველი არ რჩება თითქოს უმნიშვნელო წვრილმანებიც: ჩიტების სტვენა სოფცარ სიჩუმეში, წინაპართა ძვალშესალაგის მდუმარება, საფლავის ხავსმოდებული ლოდები, რომლებიც მრავალჯერ მიახედებს უკან. ეს მოთხრობა დიდი სიყვარულისა და მოწიწების დამტევია უმცროსი ძმის, მშობლების, მეზობლების, ძველი სახლის მიმართ. ეს მიღწეულია კარგად მიგნებული ენობრივი საშუალებებით. უმოკლესი გამონათქვამებით გამოკვეთილია დიდი მხატვრული სახეები. მაგალითად, დედისა: „ძველი სახლის აივნიდან ახლა დედა იმზირება გზისკენ. ელის... ვის? მე? მეც, მაგრამ...“

მამისა: „მამა ფიქრშია წასული, ისიც ელის, მაგრამ არ იმჩნევს. მისი ცრემლი შიგნით ცვივა და უჩუმრად ფქვავს იმ ლოდს, რომელსაც ვაჟკაცის გული ჰქვია“. „მამა დინჯად შემათვალიერებს (რაც თავი მახსოვს, სულ ასე მხინჯავს. მე ეს მამხნევებს, ხალისს მმატებს, რატომ, არ ვიცი!).“

ძმისა: „დღეს დილით შევარდენივით შემოფრინდა ჩემს პატარა ოთახში ჩემი ძმის ხმა და ფეხზე წამომაგდო. თითქოს თვითონ დამდგომოდეს თავს ნამძინარევს შავგვრემანი ჭაბუკი აშლილი ულვა-

შით, როგორიც გადაცილეთ, ისეთივე მხიარული და ოჩახიანი. მიცინოდა".

ამ მოთხრობის ყოველი ფრაზა მომხიბლავია უბრალოებით და გადმოცემული აზრის სიღრმით, სინასხითბითი. მასში გაცოცხლებულია მრავალი მივიწყებული სიტყვა და გამოთქმა. მაგ.: ანდამატური ძალა, ახოვანი ვაჟკაცი, ქაშანურის ჯამი, ქვევრს ხარქვლს მოხდის, წაფერა (=ორჟამიანი სასმისი), სახლის თავხე, ნხა, ჯაგანი, აკიდო და სხვ.

მრავალი ქართული სიტყვა გამხდარა მწერლის სპეციალური დაკვირვების, ფიქრის ობიექტი. საინტერესო მინიატურული გამოკვლევები მიუძღვნია მაგალითად სიტყვებისათვის: ხარება, წამოგონება (მიმოგონება), კავთა (კავთისხევი), ქვათახევი, გერი და მოგერიება, შეკვეთილი, ნარბილი, შინაბერა, საფალავნო (საჯილდაო) ქვა და ბევრი სხვისთვის.

ენობრივად უაღრესად საინტერესო მწერლის უბის წიგნაკის ნაწერები, რომლებშიც შევხვდებით გაცოცხლებულს მშვენიერ ქალაქურ სიტყვებს: ანაგული, გამთაბარება, ქურის ასხნა, გულქარალი კაცი, ენამაკვილაკი, თონის ხაპილენძი, ღვარძლის მთიბავი და სხვ.

იაკობ გოგებაშვილის შესახებ გიორგი შატბერაშვილს უწერია: „ღვარძლის მთიბავთა შორის საქართველოს ანაგული კუთხის - ქართლის შვილი იაკობ გოგებაშვილიც გამოჩნდა".

გიორგი შატბერაშვილიც ჩვენი საუკუნის ღვარძლის მთიბავთა შორის მოიაზრება. მისი პოეზია, პროზა, დრამატურგია თუ „უბის წიგნაკის ნაწერები" და „თვალადლური ქართულის ჭაშნიკი" არის ხიდბა დიდი სიყვარულის, ჭეშმარიტი ემოციების, ხაითნოების, გამჭვანობის, შეუღრეკელობის, რაინდული თვისებებისა, რომლებიც უხვად აქვს მომადლებული ქართულ სიტყვას, თვით მწერალსა და მის გმირებს.

თამარ შარაბიძე

# მინდა მოვეფერო

„ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან" (1958), „ქართული კრიტიკის ისტორია" (1966, 74), „მწერლები და კრიტიკოსები" (1974)... ეს ის წიგნებია, რომლებზედაც აღიზარდა და იზრდება ხტუდენტთა არა ერთი თაობა; რომლებიც მხოლოდ ფაქტებს კი არ გასწავლის, გაჩვენებს ლიტერატურული და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, მათი ერთიმეორე, თანდათანობითი მომწიფების პროცესს, წარმოაჩენს, თუ რამდენად ახერხებს იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკა კვალდაკვალ მიჰყვეს ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას, რამდენად აშუქებს ის იმ საკითხებს, რომლებიც ამა თუ იმ პერიოდში აღელვებდა ქართულ ლიტერატურას. ამ წიგნებიდან ნათელი ხდება, რომ კრიტიკული აზროვნების მონაპოვართა გათვალისწინების გარეშე ვერც მხატვრული აზროვნების საკითხები გაირკვევა. ბატონი **ჯუმბერ ჭუმბურიძის** შრომები ახლავ ეხება ქართული მხატვრული ლიტერატურის კონკრეტულ და ნაკლებად შესწავლილ საკითხებსაც. და თუ სხვა ავტორთა შრომები, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლევიან ამომწურავ პასუხს და გარკვეულ დასკვნამდე ვერ მიდიან, ბატონი ჯუმბერის ნაშრომები მარტივი, გასაგები ენით, ორაზროვნების გარეშე ხსნიან საკითხის დედაარსს. მხედველობაში გვაქვს მისი ცნობილი გამოკვლევა „რომანტიკული პოეზიის საკითხისათვის ქართულ ლიტერატურაში", სადაც რომანტიზმის ცნების მრავალრიცხოვანი განმარტების ფონზე ავტორი წარმოაჩენს ამ ლიტერატურული მიმართულების მთავარ დამახასიათებელ ნიშნებს. ეს ნიშნები არაა გარეგნული; ისინი სინამდვილის ასახვისა და გრძნობის გამოხატვის თავისებურებაში მდგომარეობს. ნაშრომის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ სპეციალისტს, სტუდენტსა თუ დაინტერესებულ მკითხველს გარკვეული და მკაფიო წარმოდგენა ექმნება არა მხოლოდ ერთ ლიტერატურულ მიმართულებაზე.

ბატონი ჯუმბერი თავ ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორია, ვაჟა-ფშაველას კაბინეტის ხელმძღვანელი, ბატონ გრიგოლ კიკნაძის მეგობარი და მოწაფე, მისი საქმის გამგრძელებელი და არა მარტო მისი. ის უნივერსიტეტის დამაარსებელთა, იმ დიდი, პირველი პლეადის პატრიოტთა მემკვიდრეა, რომელთა მსგავსნი დღეს აღარ არიან. ბატონი ჯუმბერი ეროვნული ცნობიერების ადამიანია. კომუნისტური პარტია სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს პარტიულ კარიერასა და



გარკვეულ პრივილეგიებს სთავაზობდა. მისი უარი და განზე დგომა მაშინაც დიდ გაკვირვებას იწვევდა კარგ ცხოვრებას შეჩვეულ საზოგადოებაში. მისი მრწამსი არც შემდგომ შეცვლილა, არც პირველი ეროვნული მთავრობის მოსვლისა და არც ცვლადნილი ხელისუფლების დროს. ბატონი ჯუმბერი სადაც, მოკრძალებულად ატარებს კარგსაც და ცუდსაც, თვითონ კი იქ დგას, სადაც წესიერება და პატიოსნებაა. მის პიროვნებას ქართულ ინტელიგენციაში წარდგენა არ სჭირდება. მე მხოლოდ ჩემს პირად დამოკიდებულებაზე შევჩერდები: მთელ უნივერსიტეტში მხოლოდ თუ მოიძებნება მეორე

ისეთი ადამიანი, რომელიც მას გაუტოლდება ინტელექტით და პატიოსნებით. ეს არ არის გადაჭარბებით თქმული. ეს არც მხოლოდ ჩემი პირადი აზრია. ძველი თუ ახალი თაობა, ყველა აღიარებს, რომ ბატონი ჯუმბერი დიდი დაფასებისა და დამსახურებული ქების ღირსია. თუმცა ამის გამოხატვა მისი თანდასწრებით საკმაოდ ძნელია. ბატონ ჯუმბერს არ უყვარს მისი დამსახურების თუნდაც მოკრძალებული წარმოჩენაც კი. ამიტომაც მისი თანამშრომლები, მოწაფეები თუ ახლობლები იშვიათად ვაქებთ, იშვიათად ვეუბნებით მადლობას და ვიღებთ მისგან გაცილებით მეტს, ვიდრე ვაძლევთ მას პირადი ურთიერთობით. მისგან სულ რაღაც გვინდა, რჩევა, აზრი, დახმარება, არა მხოლოდ ლიტერატურასთან მიმართებაში, არამედ უფრო მეტად პირად ცხოვრებაშიც. მან იცის ჩვენი გაჭირვება და მუდამ ჩვენს გვერდით დგას. მე არ გამიგონია ბატონი ჯუმბერისაგან ფორმალური მოკითხვა ან უგულო რჩევა. ამას მისი სახის გამომეტყველება აჩვენებს და თვალები, რომლებიც შენთან ერთად განიცდიან ან უხარიათ. ბატონმა ჯუმბერმა არ იცის თავის დაფასება. თუ გიჭირს, შენს მაგივრად ჩაატარებს ლექციას, მერე რა რომ მასზე უმცროსი ხარ, ხოლო ის კი ბევრად აღმატებული შენზე! ბატონი ჯუმბერი თავად დაგირეკავს, თავად მოგიკითხავს, თავად მოგილოცავს. უბრალოება, რომელიც ყველა ჭეშმარიტი ინტელიგენტის ღირსებაა, ბატონი ჯუმბერის თანდაყოლილი თვისებაა წარმოადგენს. მას აქვს ზოგადად ადამიანის, და მითუმეტეს თანამშრომლის, დაფასების არაჩვეულებრივი უნარი. ქებით არც ჩვენ გვანებივრებს, ხანდახან გვეჩხუბება და გვტუქსავს კიდეც. მაგრამ თუ ჩვენზე აზრი ჰკითხეს, მოკლედ იქცევს ისეთს, რომ სხვას მრავალსიტყვაობას ბევრად გადასწონის. იმდენად დიდია მისი ამაგი თანამშრომლებზე, რომ უცხო თვალმა ლამისაა ყველა მის ნათესავად მიგვიჩნიოს. პირადად მე სულ მეკითხებიან, რომელი მხრიდან ვარ ბატონი ჯუმბერის ახლობელი. რასაკვირველია, ამას უცხო თუ იკითხავს; ვინც ახლოს იცნობს ბატონ ჯუმბერს, ასეთი კითხვა აზრადაც არ მოუვა. ჯუმბერ ჭუმბურიძე ჭეშმარიტად დიდი ჰუმანისტია. მას უყვარს არა მხოლოდ ახლობელი, ეხმარება არა მხოლოდ შინაურს, არამედ უცხოს, არანაირად ვალდებული რომ არ არის მის წინაშე. განსაკუთრებით სტუდენტები უყვარს. მათდამი უაღრესად სამართლიანია და ლმობიერიც, როგორც ყველა ნამდვილი ინტელიგენტი.

ბატონი ჯუმბერი 17 წლის წინ გავიცანი. მაშინ მე ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. სულ სხვაა ლექტორისა და



ლადო მინაშვილი და ჯუმბერ ჭუმბურიძე

სტუდენტის ურთიერთობა ლექციაზე და სულ სხვა რამეა გამოცდა. რაც უნდა ჰუმანური იყოს ლექტორი, სტუდენტი მაინც უფრო დაძაბულ მდგომარეობაშია, მას ცდიან, კითხვებს უსვამენ, აფასებენ. ჩემი და ბატონი ჯუმბერის პირადი ურთიერთობაც გამოცდაზე დაიწყო. ერთ კითხვას ვერ ვუპასუხე, ჩემი ბედი ნათელი იყო, მერგებოდა მაღალი ნიშანი, მაგრამ არა ფრიადი. ძალიან გამიკვირდა, როცა ბატონმა ჯუმბერმა, რომელიც შეფასებაში ძალიან ობიექტური და საკმაოდ მკაცრია, ფრიადი დამიწერა და თანაც დასძინა, შენ ამ კითხვის პასუხს, რასაკვირველია, აქამდე რომ გეხედა, მაშინვე გიეცე და მუდამ გემახსოვრებაო. მართლაც ასე მოხდა, ხოლო შემდეგ, როცა საკურსო ნაშრომზე ბატონი ჯუმბერის ხელმძღვანელობით შევასრულე და ძალიან ჩვეულებრივი თემის წაკითხვის შემდეგ მან შემომთავაზა, შემდეგშიც ჩემთან იმუშავეო, ამ სიტყვებმა ბევრი რამ განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში. ბატონი ჯუმბერი მე, სტუდენტს, მისთვის უცხოს, უცნობს, თავისთან მუშაობას მთავაზობდა! დაფიქრებადაც არ ღირდა, მისი წინადადება უნდა მიმეღო! თავი დავანებე ძველი ქართული ლიტერატურის კვლევას და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე გადავინაცვლე. მინდა დაუფარავად განვაცხადო, რომ არა მარტო ვაჟა-ფშაველას სიყვარულმა, არამედ ბატონი ჯუმბერის პიროვნებამ განსაზღვრა მთელი ჩემი შემდგომდროინდელი და ახლანდელი მოღვაწეობა ფილოლოგიურ ასპარეზზე. დიპლომი, დისერტაცია, ვაჟა-ფშაველას კაბინეტთან სიახლოვე, ჩემი მონაწილეობა ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარის სხდომებში და ა.შ.

დღეს მე ბატონი ჯუმბერის მოწაფე ვარ. ეს ადვილი არ გეგონოთ, მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობაა. თუნდაც მცირეოდენი მორალური ხინჯი, ან მისწრაფება დიდებისა და პატივისაკენ, მლიქვნელობისაკენ, ან თუნდაც ტყუილი საკმარისია, რომ ბატონი ჯუმბერის მოწაფის სახელს ვეღარ დაიმსახურებ. ჩემი თავის ქება გამომივიდა, მაგრამ ეს ასეა, ეს სინამდვილეა და მეც ვამაყობ, რომ უკვე დიდი ხანია, 16 წელია, ბატონი ჯუმბერის მოწაფე ვარ. ეს საკმაოდ დიდი დროა გამოცდისათვის. ალბათ შემდგომშიც ალარაფერი შეიცვლება.

ვწერ ბატონ ჯუმბერზე, თვალწინ მიდგას მისი კეთილი სახე; ვიცი, ყურს არ მიგდებს, აქ არ არის და ახლა მაინც მინდა, რომ მოვუყვე.

**15 იანვარს ცნობილ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, მკვლევარსა და პედაგოგს ჯუმბერ ჭუმბურიძეს 80 წელი შეუსრულდა.**

*რედაქციისაგან: 22. თებერვალს ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროფ. ჯუმბერ ჭუმბურიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო სხდ.ა.*

*ვუერთდებით მრავალრიცხოვან მილოცვებს და გულწრფელად ვუსურვებთ ბატონ ჯუმბერს დღეგრძელობას. კვლავაც ნაყოფიერად ემსახუროს ქართული მეცნიერებისა და ქართული კულტურის სასიკეთოდ!*

# ღირსეული ქალბატონი

რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის, ქალბატონ მარინე მეინარაძის თითქმის მთელი ცხოვრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც იგი უკვე 45 წელია თავდაუზოგავად შრომობს და უშურველად ემსახურება მეცნიერთა სპეციალური ლიტერატურით მომარაგების მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის თანაშემწის, პროფესორ მამია ურიდიას რეკომენდაციით, ჯერ კიდევ უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტმა ფრანგული ენის [illegible] მარინე მეინარაძემ მოკრძალებულად მუშაობა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. დიდი სიამოვნებით იგონებს ქალბატონი მარინე იქ გატარებულ წლებს, განსაკუთრებით კი იმ დროს, როცა მას მოუწია ოქსფორდის, ლონდონის, გერმანიის, ბელგიისა და ბულგარეთის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებიდან მიღებულ ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმების ფოტოფირებზე მუშაობა პროფესორ ილია ლოლაშვილთან ერთად. ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია: „ვეფხისტყაოსნის" XVII-XVIII საუკუნეთა ხელნაწერები, „მგზავრის წერილების" მარჯორი უორდროპისეული თარგმანი, ქართული „ბალავარიანის" აღმოსავლური ვერსიები, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი.

მეცნიერებათა აკადემია ქალბატონ მარინეს წარმოედგინა იმ დიდებულ, საოცნებო ტაძრად, რომელშიც მოღვაწეობა უფრო ადვილი როგორც მაშინ [illegible] სიცოცხლე. ბიბლიოთეკა კი ჭეშმარიტად იყო ბუმბერაზ მეცნიერთა თავყრილობის ასპარეზი, სადაც რა გამოლევს მისთვის მოგონებებს - აი, ამ სიტუაციაში ჩამოყალიბდა მაღალი პასუხისმგებლობა და მათ შორის მარინე მეინარაძეც. საოცარი სიყვარულით იგონებს იგი იმ დღეს, როცა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს. „მუდამ გახსოვდეთ, რომ ოქროს სავსე ყუთი გაბარეთ" - თითქოს ახლაც ჩაესმის ქალბატონ მარინეს აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მაშინ ნათქვამი სიტყვები და ასეც მოიქცა - თავისი მოღვაწეობის მანძილზე ყველაფერი გააკეთა ბიბლიოთეკის გამდიდრებისა და ამ ინსტიტუტის თანამშრომელთა [illegible]. რომელიც დღეს [illegible] სახელს [illegible] აქტივს, ასეთი რა გამოცდის საქმეს ბიბლიოთეკაში, სადაც ასი ათასამდე წიგნი ინახება [illegible] ენციკლოპედია [illegible] და [illegible] წიგნები, რაც ასე მონდომება და დიდ შრომას, [illegible] ენერგიას მოითხოვს! იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხნის მანძილზე [illegible] ბიბლიოთეკამ მიიზიდა სხვათა და სხვათა, უცხოური გამოცემების თავისი ადგილი, ადვილი წარმოსადგენია, რა ჯაფა გადახადა თავს ბიბლიოთეკარებს. ყველაზე ძვირფასი, რაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში იქცევს ყურადღებას, ესაა ნარკვარი წიგნები,



რომელთაც ამშვენებს ქართულ თუ უცხოელ ლინგვისტთა ავტოგრაფები.

სხვადასხვა დროს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ქალბატონ მარინეს უცხოეთის ბიბლიოთეკებთან საქმიანობის შესანიშნავად მოღვაწეობით აგზავნიდა მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოსა თუ ერევანში. სადაც 1964 წელს მოწვეული ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესზე ჩვენი ბიბლიოთეკა წარდგა თავისი შესანიშნავი ბუკინისტური გამოფენით, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ გამოფენის [illegible] რომელთაც მიაწოდა, სრულიად ახალგაზრდა, მოსკოვის [illegible] სახელობის საბიბლიოთეკო [illegible] ასპირანტი გახლდათ.

საოცარი მოწიწებით იხსენებს ქალბატონი მარინე მეცნიერებათა აკადემიის აღსანიშნავ ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს [illegible] - [illegible] ფილოლოგს, რომელსაც [illegible] მან განსაკუთრებული [illegible] უნიკალური [illegible] [illegible] წიგნების, [illegible] გრძნობა, უდიდესი შრომისმოყვარეობა.

ქალბატონ მარინეს უშუალო კავშირი ჰქონდა [illegible] და ლამარა ბაბილუასთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიას პირადი ბიბლიოთეკის სისტემატიზაციაზე.

მარინე მეინარაძის არა მარტო დიდი ამაგი მიუძღვის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრებისა და შესაბამის უცხოურ ცენტრებთან დაკავშირების საქმეში, არამედ მნიშვნელოვანია მისი წვლილი ბიბლიოგრაფიულ მოღვაწეობაშიც. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების" XXX ტომში, რომელიც მიეძღვნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს, დაბეჭდილია მისი ნაშრომი „სამეცნიერო ბიბლიოთეკის ისტორია" და ინსტიტუტის ორგანის ოცდაათივე ტომში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია (თანაავტორი ლილი ერისთავი).

ქალბატონი მარინე ტრადიციულ ქართულ ინტელიგენტთა წარმომადგენელია. მის ოჯახში შრომა, პატიოსნება და ურთიერთპატივისცემა უმთავრესი ფასეულობანია, სადაც არავინ არაფერი შერით. მამამისის - ივანე მეინარაძის თავდაუზოგავი შრომისა და პატრიოტული წინაპრებთა წარმოებულ ომში თავგანწირვის შესახებ საგანგებოდაა მოთხრობილი ერთ მეტად საინტერესო წიგნში; მეუღლე - ვარლამ მაჭავარიანი გახლდათ ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - ცნობილი მეცნიერი, უფროსი ვაჟი - მიხეილი საგადასახადო შემოსავლების მინისტრია, ხოლო უმცროსი - ვანო - გვარის თანამშრომელი. ისინი ჩვენი თვალწინ გაიზარდნენ. ამიტომაც მათ ღრმად მაჩნია, რომ შვილების დაღვთიო თვისებები არა მხოლოდ მშობლებისა და მოდგმის ნათესავ-მეგობართა დამსახურებაა, არამედ ენათმეცნიერების ინსტიტუტისაც - მიშიკო ხომ ორი წლის მანძილზე ჩვენი თანამშრომელი იყო მაშინდელი დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის კეთილი წყალობით...

მიუხედავად უბრალო სიტუაციისა, ქალბატონი მარინე მეინარაძე მაინც ბედნიერად გრძნობს XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე:

„ყოველთვის ვცდილობდი ერთგულად [illegible] დანახვა, არასდროს ვუშვებდი [illegible] ერთმანეთს, არავის [illegible] სახელს [illegible] და [illegible] შეცდომებს [illegible]..."

ჩვენც მივუ[illegible] სურვილი და გული [illegible] ქალბატონის საოცარი შემოქმედებას და [illegible] ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ია ჩანტლაძე, თამარ ვაჩნაძე

2001 წელს იაკობის „დედაენას“ 125 წელი უსრულდება. ამ უკვდავ წიგნს ბოლო წლებში არაერთი „კონკურენტი“ გამოუჩნდა, ბევრი დაიწერა ამ „კონკურენტებზე“. სპეციალისტები, მწერლები, პრობლემით დაინტერესებული პირები საკმაოდ კრიტიკულად არიან განწყობილნი ამ სიახლეებისადმი. რამდენიმე წერილს შევახსენებ ჩვენს მკითხველს: გ. ბოჯგუა „დედა ენა“! „დედა ენა“! („სახალხო განათლება“); მ. ჩინჩალაძე და სხვები - „საშვილიშვილო ნერგს ფესვებს არ სჭრიან“ („თბილისი“); გ. ზარნაძე - „ასეთი რამ ვახანიავ, არ გვინახავს რა ხანია!“ („ახალი ერა“, „ბურჯი ეროვნებისა“), კ. კობერიძე „აი ია, აი უთავბოლობა“ („ლიტერატურული საქართველო“;) ნ. მაღლაკელიძე - „ექსპერიმენტები გრძელდება, შედეგები რთულდება“ („ბურჯი ეროვნებისა“) და სხვა. სათაურებიდანაც ჩანს, რომ საანბანე წიგნების პრობლემა მოსაგვარებელია. ჩვენ დავინტერესდით პრაქტიკოსი მასწავლებლების აზრით. ჩვენი კორესპონდენტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი მაკა ბურდიაშვილი ესაუბრა დიდი დიღმის დღის პანსიონის მასწავლებელს, ნატო მანჯავიძეს.

ჩვენ საგანგებოდ არ ჩავერიეთ პედაგოგის პასუხებში (სტილი და მართლმეტყველება დაცულია). ბევრი რამ ამ პასუხებში ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ დასაშვებად მივიჩნიეთ საუბრის პუბლიკაცია თუნდაც იმისათვის, რომ დავვენახა, თუ რა პრობლემების წინაშეა ჩვენი სკოლა... ყოველივე ამას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს...

# „იაკობისეულმა „დედაენამ“ ვერ გაამართლა“ (?!)

**მაკა ბურდიაშვილი - „დედაენის“ „სახელმძღვანელოები“ მომრავლდა. თუ იცნობთ იაკობისეულ „დედაენის“ გარდა სხვა „დედაენას“ და რა აზრის ხართ მათ შესახებ.**

**ნატო მანჯავიძე** - იაკობისეულმა „დედაენამ“ ვერ გაამართლა, ამიტომ გახდა საჭირო, რომ შეცვლილიყო, ოღონდ იცვლებოდა იაკობისეულ „დედაენაზე“ დაყრდნობით. დღესდღეობით გამოსული ყველა „დედაენა“, რომელიც გამოიყენება პირველკლასელთათვის, შედგენილია იაკობისეული „დედაენის“ საფუძველზე. ზოგს ჰგონია, არაიაკობისეული „დედაენა“ იგნორირებას უკეთებს იაკობის „დედაენას“ და იაკობი საერთოდ არ არის, მაგრამ ეს დილეტანტური მიდგომაა, ყველა „დედაენა“, რომელიც ოდესმე გამოსულა, საფუძველს ძველიდან იღებს.

ის „დედაენა“ კი, რომელიც იაკობმა დაწერა, მოძველებულია, დრომოჭმულია. მეც იაკობისეულ „დედაენაზე“ გავიზარდე. მაგრამ ახალი წიგნი, რომლითაც ახლა ვასწავლი (იგულისხმება ვახანიას საავტორო „დედაენა“) უფრო მომთხოვნია, ღრმაა, უკეთესია, მშობლიური სიტყვის აზრს ბავშვს უკეთესად ასწავლის და მიჰყავს ჭეშმარიტებამდე.

დღესდღეობით, როცა ტექნიკა ასე განვითარებულია (კომპიუტერი, ტელევიზორი, მობილური...), ბავშვის მიზიდვა და დაინტერესება წიგნით ძნელია; ეს „დედაენა“ კი, ვფიქრობ, აყვარებს პატარას წიგნს. და არა მარტო ბავშვს, ეს „დედაენა“ ყველას უყვარს, თვით მშობლებსაც კი...

**მ.ბ. - როგორც ბრძანეთ, თქვენ ვახანიას „დედაენით“ ასწავლით; რა შეგიძლიათ თქვათ ამ გამოცემაზე; რა ცვლილებებს შეიტანდით მასში; რა არის თქვენთვის მიუღებელი ან მოსაწონი?**

**ნ.მ.** - ყველა წიგნს თავისი ხარვეზი აქვს, უნაკლო და იდეალური არაფერი არსებობს; ამ „დედაენის“ ხარვეზია ის, რომ შავთეთრი გამოცემაა, ჩემი შენიშვნა ძალიან უმნიშვნელოა; რაც მთავარია, მიდგომაა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, სიღრმისეული შესწავლა და სიღრმეში წვდომა... ვახანიას „დედაენა“ არაა ზედაპირული, იგი ფსიქოლოგიის უმაღლეს მიღწევებს ეყრდნობა. ამ დედაენის მთავარი დადებითი ნიშანი და დიდი ღირსებაა სიღრმე და არა მოცულობა. წიგნში ჩადებულია პედაგოგიკის უახლესი მიღწევები.

...6 წლის წინ, წიგნის გამოშვებისას, მარტო ვახანია კი არა, მთელი ჯგუფი მუშაობდა. ისინი იცნობდნენ საზღვარგარეთული ლიტერატურის სხვადასხვა სიახლეებს. ამიტომ ეს წიგნი მთლიანად აზროვნებაზეა აგებული. აქ მოყვანილი სავარჯიშოები ისეა დასმული, რომ, თუ ბავშვს ეზარება აზროვნება, მაინც ამეტყველებს. ვახანიას „დედაენა“ სწორედ მიმართულია აზროვნების განვითარებაზე, მიხვედრილობაზე და უნარზე. აგრეთვე ბავშვს დამოუკიდებელ მუშაობას აჩვევს; ეს სრულიად საპირისპიროდაა იაკობისეულ „დედაენაში“, სადაც სავარჯიშოები, ვფიქრობ, პატარებისთვის გაუგებარია, იქ დასმული ერთი შეკითხვა მთელ მასალას მოიცავს და ამიტომ ბავშვს აჯაჭვებს მშობელს, აიძულებს, უფროსს დაეყრდნოს...

...რაც შეეხება ვახანიას „დედაენას“, აქ მოყვანილი სავარჯიშოების შესრულება ბავშვებს ეხალისებათ.

**მ.ბ. - ახალ „დედაენაში“ მოცემული სიტყვები და მაგალითები პირველკლასელებისთვის შეუფერებელი არ გეჩვენებათ? ვახანიას „დედაენის“ შესახებ არაერთი კრიტიკული აზრი გამოითქვა. თუ იცნობთ მათ; ყველაფერი მისაღებია თქვენთვის?**

**ნ.მ.** - ვახანიას „დედაენით“ სწავლა მიუღებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი არ იცნობს ახალ სახელმძღვანელოს, არ აქვს დამუშავებული მისი ყოველი მაგალითი და პირდაპირ, გამოსვლისთანავე სკოლაში შეაქვს. ზოგჯერ გამოდის წიგნი აგვისტოში ან სექტემბრის პირველ რიცხვებში. არ შეიძლება მასწავლებელმა იმ წიგნით ასწავლოს, რომელსაც არ იცნობს.

მე მთელი სამი თვე ვიმუშავე ვახანიას „დედაენაზე“, მოვიხმარე სესიები, დიდი ფიქრის შემდეგ ავიღე ეს წიგნი და შევიტანე სკოლაში. ჩემთვის არაფერია მასში შეუძ-

რებული, ყოველი სურათი გარკვეულ აზრს ატარებს, მთავარია, შენ როგორ აღიქვამ მას. ვინც მხოლოდ ნახულობს მას და არ გაიაზრებს, მისთვის ყველაფერი მიუღებელი იქნება.

**მ.ბ. - მომყავს მაგალითები: „ეს ზეთია, ეს კი თუთაა“, „ვირთხის ხახა შავია“, „იხვი კუზე ზის“, ან თუნდაც „ასი ასო“... რამდენად გასაგებია ეს მაგალითები ბავშვებისთვის, მათ შეუძლიათ მისი აღქმა?**

**ნ.მ.** - ჩვენს დედაენაში მოყვანილ მაგალითში - „ვირთხის ხახა შავია“ - ამოკითხვის ტექნიკაა მნიშვნელოვანი. „ეს ზეთია, ეს კი თუთაა“... მერე რა, ეს ამოკითხვის გასაადვილებლადაა შერჩეული და აზროვნებას არ ექვემდებარება, ან „იხვი კუზე ზის“. აქ განა აზრს ეძლევა უპირატესობა?... თუნდაც წარმოიდგინოს ბავშვმა: „ვირთხის ხახა შავია“, ან „შავი თხა ავია“, რა მოხდა? არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობ.

თვითონ იაკობის „დედაენაც“ სავსეა ასეთი უადგილო მაგალითებით: მახსოვს „ასი თხა“, ჩემთვის „ასი თხა“ უფრო მიღებულია, ვიდრე „ასი ასო“. მართალია, ბავშვმა არ იცის, ასი რამდენია, მაგრამ იცის, ასო რას ჰქვია და არ იცის თხა, ერთეულებაა თუ სხვა რამე, ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, როგორ წარმოიდგენს ას ასოს, პატარისათვის ასი უბრალოდ ბევრია.

**მ.ბ. - იაკობ გოგებაშვილს უთქვამს, ჩემი „დედაენა“ მაშინ მოკვდება, როცა იგი გაუკეთესებას მოაკლდებაო. ამ თვალსაზრისით ცოცხლობს დღეს იაკობის დედაენა და საერთოდ ვინ უნდა ახდენდეს მის „გაუკეთესებას“?**

**ნ.მ.** - რამდენი კაციც იქნება ღირსი, რომ „დედაენაზე“ იმუშაოს და მისი ახლებური სახე შექმნას, იმდენი „დედაენა“ უნდა დაიწეროს. ყველას უნდა ჰქონდეს გასაქანი, რომ შეასწოროს ახლებურად, დედაენის ახალი სახე შექმნას და მერე დრო ამოარჩევს აქედან უკეთესს...




„დედაენის“ გაუკეთესება არ მოხდება, თუ იქნება ერთი სახელმძღვანელო (როგორც აქამდე იყო) და უფლება არ ექნება სხვა „დედაენას“, რომ იარსებოს. მართალია, იაკობის „დედაენა“ აქტუალურია დღესაც, მაგრამ დღეს მისი შეტანა სკოლაში ერთგვარ უხერხულობას იწვევს. მას სჭირდება გადამუშავება, გაახლება, თანამედროვე ბავშვის აზროვნებასთან დაკავშირება და არა პრინციპულად შეცვლა.

**მ.ბ. - ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა „დედაენის“ ენობრივ მხარეს: ყოველ ახალ გამოცემას საგანგებოდ გადაამუშავებდა ხოლმე ავტორი... ვახანიას „დედაენა“ არის ენობრივად გამართული?**

**ნ.მ.** - ვახანიას „დედაენა“ ლექსიკით ძალიან მდიდარია. მართალია, ბევრი სიტყვა უცნობი და გაუგებარია, მაგრამ მასწავლებელმა უნდა ახსნას მათი მნიშვნელობა. უმეტესად ის სიტყვებია გაცოცხლებული, რომლებიც ყოველდღიურ ხმარებაში არაა და „გადაშენება“ ემუქრება. ამ „დედაენის“ ავტორი ცდილობს, ის სიტყვები გადაარჩინოს, რომლებიც მნიშვნელოვანია. საით-თია, მოიწყობილია.

რაც შეეხება გრამატიკულ მხარეს, განსაკუთრებული შენიშვნები არ მაქვს, რაც იყო გაუმართავი, უკვე შესწორებულია და უხეში ფორმები არ გვხვდება.

ვახანიას „დედაენა“ ძალიან ძვირფასია ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის; მისი სწავლება მე ავირჩიე და ვერასოდეს შევცვლი ამ წიგნს. რომ მითხრან, სხვა „დედაენით“ უნდა ასწავლოო, მირჩევნია სკოლა დავტოვო, ვიდრე სხვა წიგნი დავიჭირო ხელში (ჩემი სკოლიდან წასვლა არავერია). ვიცნობ ძველ იაკობისეულ „დედაენებს“, ახლა განახლებულ „დედაენებსაც“ გადავავლე თვალი და ვერ შევადარებ მათ ვახანიას „დედაენასთან“, ხომ არსებობს ორი ისეთი რამეც, რისი შედარებაც არ შეიძლება?!..

ზოგისთვის იაკობისეული „დედაენაა“ მარტივი და არაიაკობისეული - რთული. ზოგისთვის სიმარტივეა მისაღები, ხოლო ჩემთვის სირთულეა მისაღები, რადგან ამ სირთულეში ვხედავ ზრუნვას ბავშვის აზროვნებაზე, დახვეწაზე. ვახანიას „დედაენით“ აღზრდილი ბავშვი პიროვნებად ჩამოყალიბდება. სხვა „დედაენები“ კი წინააღმდეგობას უწევს ბავშვის ლიტერატურულ თუ ბუნებრივ მეტყველებას.

დღევანდელი ბავშვის ლექსიკა საშინელ დღეშია, მისი აზროვნება მთლიანად კომპიუტერულ სისტემაზეა გადასული. ამას „დედაენები“ იწვევს. მათი სწავლა ძალიან წვრთნას ჰგავს, რომელსაც მექანიკურად აზეპირებინებენ.

თუ მხოლოდ მას ვასწავლით პირველკლასელს, რაც სჭირდება, ასე შორს ვერ წავალთ. ბავშვმა სიღრმისეულად უნდა იცოდეს ყველაფერი და, როცა რა დასჭირდება, იმ სიტყვას გამოიყენებს. მაგალითად: აბგა, ფუსფუსი, წახემსება... შეიძლება ყოველდღე არ წარმოთქვას, მაგრამ ეცოდინება მისი მნიშვნელობა და არ ექნება მექანიკურად გაზეპირებული...

ნინო შარაშენიძე

# ერთი მივიწყებული ქართული სიტყვის შესახებ: ახმი

დიალექტი ენის ლექსიკური მარაგის ამოუწურავი წყაროა. მასში კარგად ვლინდება ენობრივი ფენომენის ყველა პოტენციალი. ზოგჯერ იგი შემნახავიცაა იმ ერთეულებისა, რომლებიც ენის უძველეს შრეებშია ჩამარხული და გარკვეულ ეტაპზე გამოყენების არეალს ჩამოშორებული. შესაძლოა, ამგვარი სიტყვები რომელიღაც პერიოდში სალიტერატურო ენის კუთვნილებაც კი იყო, შემდეგ კი დიალექტურ ერთეულადღა დარჩა, შესაძლოა ისიც, რომ იგი რომელიმე დიალექტის ფარგლებში აღმოცენდა და დამკვიდრდა. დამოკიდებულება ამ ერთეულებისადმი მაინც ერთგვაროვანია: სიტყვა ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი და ქართულ გარემოშია გავრცელებული. ამდენად, სალიტერატურო ენაში მისი დამკვიდრება თეორიულად შესაძლებელია, მით უფრო მაშინ, როცა ენას მისი შემცვლელი არ მოეპოვება და საჭიროების შემთხვევაში ბარბარიზმი გავრცელებულა. ამ დროს ალბათ, მთელი ძალით უნდა ამოქმედდეს ამგვარი მიდგომა, რატომ უცხო სიტყვა და ისიც ბარბარიზმი, როცა გვერდით მოგვეპოვება. მართალია, ამჟღრად მხოლოდ დიალექტის კუთვნილება, მაგრამ ქართულ გარემოში შექმნილი სიტყვა - გამოყენების ასპარეზიც სწორედ მას უნდა დაუთმოს.

არაიშვიათად გაგვიგონია ან თავადაც გამოგვიყენებია ამგვარი ფრაზები: „ფეხსაცმელი პადიომში მიჭერს“, „პადიომში არ ჩამდის ეს ფეხსაცმელი“, „დიდი პადიომი აქვს ამ ფეხსაცმელს“, „პადიომში რომ კარგად მქონდეს, ვიყიდდი“, „პადიომი მაქვს მაღალი“ და ა.შ.

„პადიომი“ წმინდა წყლის ბარბარიზმია. იგი მომდინარეობს რუსული სიტყვისაგან Подъем. ეს სიტყვა ლექსიკონში[1] რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: 1. აწევა, აყენება, წამოყენება, აყვანა, ატანა, ასვლა, აღგომა. 2. დილას ადგომის დრო. 3. აღმართი, შეღმართი; 4. ზურგი (ფეხისა): высокий. მაღალი ზურგი (ფეხისა).

ჩვენთვის საინტერესო ბარბარიზმი სწორედ მე-4 მნიშვნელობის ზუსტი გადმოტანაა ქართულში. როგორც განმარტებიდანვე ჩანს, მას შეესაბამება შესიტყვება „ფეხის ზურგი“, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ მაინც ზოგადი სახელდებაა სხეულის ამ ნაწილისა. ენა მუდამ ცდილობს დააკონკრეტოს ცნება, უფრო ტევადად და სახიერად გამოხატოს იგი. სახელდებაში „ფეხის ზურგი“ კი არ მოიაზრება ის, რაც უფრო ნათლადაა ასახული ბარბარიზმში: „პადიომი“ ფეხის ზურგის უმაღლესი წერტილია და არა ზოგადად „ფეხის ზურგი“. ბარბარიზმის გაჩენაც სწორედ ამან განაპირობა. ფეხის ზურგის უმაღლეს წერტილზე მითითება მნიშვნელოვანია ფეხსაცმლის კერვის პროცესშიც და მისი გამოყენების დროსაც. როცა ენაში მხარდამხარეულად არ აღმოჩნდა ეს ცნება, ენამ ბარბარიზმს მიმართა, რაც საბოლოო ჯამში ენისთვის საზიანო შედეგის მომტანია, რადგან ბარბარიზმის მოძალება ენის ნორმების რღვევასა და მის შერყვნას ნიშნავს.

საინტერესოა, როგორ განიმარტება ქეგლ-ში[2] „ფეხის ზურგი“, არის თუ არა იგი მყარი შესიტყვება და ამდენად, ცნება-ტერმინი. ცალკე ერთეულად „ფეხის ზურგი“, რა თქმა უნდა, შეტანილი არაა. ლექსემა „ფეხი“ გამოკვეთილად არ მიუთითებს „ფეხის ზურგს“, თუმც კი „ფეხის გული“ გამოყოფილია: „იხ. გული. - ფეხის გული - ტერფის ნაწილი ქუსლსა და თითებს შუა“. რაც შეეხება ლექსემას ზურგი, კონკრეტულად „ფეხის ზურგი“ არც აქ არ დასტურდება. ზურგის მეორე მნიშვნელობად მითითებულია: „გადატ. საერთოდ, ზედა ნაწილი რისამე. კოვზის ზურგი. - კავის ზურგი. - კევრის ზურგი („შინამრეწვ.“) ხელის ანუ თათის ქვემოთა ნაწილს ხელის გული ჰქვია, ზემოთას კი - ზურგი (ი. გოგებ.). მუხის შიდ ძირში ორ მის ვეებერთელა ფესვს ზურგი ჰქონდა მიწის ზემოთ ამოშვერილი (ნ. ლომ.) ცხვირის წინა ნაპირს, წვეტიდან შუბლამდე, ეწოდება ცხვირის ზურგი („პლასტიკ. ანატომია“) „ზედა ნაწილი (მთისა, გორაკისა...) მანამ კაცი იმ მთის ზურგამდე მივა, უნდა გაიაროს მცხეთიდან არაგვის ხეობა (ილია). გორაკის ზურგი იყო გადასახვლელი (ვ. ბარნ.)“.

ასე ვრცლად ამ განმარტების მოტანა განაპირობა იმან, რომ გვენებინა „ფეხის ზურგი“ მყარ შესიტყვებად ლექსიკონში არ დასტურდება. რამდენადაც ზურგი „საერთოდ ზედა ნაწილს“ ნიშნავს, სახელდებაც ამის მიხედვით შეიქნა, ე.ი. ტერფის, ფეხის ზედა ნაწილი. ამგვარ განმარტებაში კი ის,

1 რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1983.

2 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ. 1950-1964.

რახაც „პადიომი" მიანიშნებს, საერთოდ აღარაა გამოყენებული. სახელდება ზოგადია, არა დაკონკრეტებული, ამიტომაც ვერ შეენაცვლა იგი ცოცხალ მეტყველებაში შემოსულ რუსიციზმს „პადიომი".

აღწერითი განმარტება აქვს მოცემული ნ. ჩუბინაშვილს:[3] Подъем - აწევა, აღება, ატანა... Подъем у ноги человеческой - კაცის ფეხის ზეითი პირი წვივს სახსრიდან ჩიჩნსამდინ. Подъем у сапог - ჩექმის საპირე ყელის ქვევით".

ყოველივე ეს უნდა მიუთითებდეს იმას, რომ „ფეხის ზურგი" მაინც ხელოვნური შესიტყვებაა და იგი ენაში „პადიომის" მნიშვნელობით ვერ დამკვიდრდა, ვერც კონკურენცია გაუწია ბარბარიზმს, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ზუსტად ასახავს აღსანიშნ ობიექტს, ვიდრე ხელოვნური „ფეხის ზურგი".

ქართული ენა მდიდარია, მაგრამ მის შესაძლებლობებს, ბუნებრივია, ოდენ სალიტერატურო ენა ვერ ასახავს. ამიტომაცაა, რომ მხოლოდ დიალექტთა მონაცემების გათვალისწინების შემდგომ შეიძლება მოგვცეს მიახლოებითი წარმოდგენა მის ლექსიკურ მარაგზე.

ამგვარად ჩვენი მსჯელობის საგნად გამოტანილ ობიექტს სრულიად ნათელი, გარკვეული და ვამოკვეთილი სახელდება აქვს ქვემოიმერულში, რაც რუსიციზმის გამოყენების საჭიროებას სრულიად უგულებელყოფს. ფეხის ტერფის უმაღლესი წერტილის აღმნიშვნელად ქვემოიმერულში **ახმი** გვხვდება. იგი საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა და ამასთანავე ზუსტად და არაორაზროვნად გამოკვეთს აღსანიშნ ობიექტს. ზემოთ საილუსტრაციოდ მოყვანილი ბარბარიზმიანი ფრაზების ნაცვლად ქვემოიმერულში აშკარად ქართულსიტყვიანი კონტექსტები გვხვდება: „**ახმში** მიჭირავს ეს ტუფლი და ვერ ვიცვამ". „რამიხელა **ახმი** აქ ამ ბალანს". „შენ დაბალი **ახმი** გაქ, მიტო ნაგლის ე ფეხსაცმელი". „კაი ტუფლია, მარა თხელი შეკერილია, **ახმში** არ ჩამივა", „დიდი ფეხი კ'არ აქ ამ ბალანას; **ახმი** აქ დიდი, მიტო ვერ აცუმ ფეხსაცმელს".

ეს სიტყვა რომ მხოლოდ ქვემოიმერულის კუთვნილება ყოფილიყო, მისი ქართულობა და ამდენად, სალიტერატურო ენაში ბარბარიზმის ნაცვლად ამ სიტყვის დამკვიდრების სურვილი არაბუნებრივად მაინც არ გამოჩნდებოდა. მაგრამ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ **ახმი** სხვა დიალექტშიც აღმოჩნდა, და მით უფრო საყურადღებოა, რომ გეოგრაფიულად დიდად დაშორებულ კუთხეში - ქიზიყში. ქიზიყურ მეტყველებაში ეს სიტყვა სტეფანე მენთეშაშვილს დაუდასტურებია და შეტანილცაა მის „ქიზიყურ ლექსიკონში".[4] მნიშვნელობა აქაც აბსოლუტურად იგივეა, თუმცა კი ავტორს **ახმი** - ფეხის ზურგის სახელდებად მიუჩნევია, მაგრამ კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ აქ იგულისხმება ფეხის ზურგის სიმაღლე: „**ახმი**-ზურგი ფეხისა, ფეხსაცმლისა. „ფეხსაცმელ დაბალი (მაღალი) **ახმი** აქვ. მაღალ **ახმიანი**, (დაბალახმიანი) ფეხი აქვ". აქედან ეს სიტყვა ქეგლ-შიც გვხვდება, სადაც მითითებულია მისი კუთხურობა: „ახმ-ი (ახმისა) კუთხ. (ქიზ.) ზურგი ფეხისა, ფეხსაცმლისა (ს. მენთ.)".

ამ შემთხვევაში ყოველგვარ გავლენაზე, ვფიქრობთ, საუბარი ზედმეტი იქნება: დიალექტები, რომლებშიც ეს მონაცემები დასტურდება, იმდენად შორს არიან ერთმანეთისაგან გეოგრაფიულადაც, რომ ერთიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა, ვფიქრობთ, უნდა გამოირიცხოს. ერთი დიალექტი დასავლურ დიალექტთა ჯგუფს მიეკუთვნება, მეორე კი - აღმოსავლურს. იმთავითვე შეიძლება გაჩნდეს ფიქრი იმის თაობაზე, რომ ეს ერთეული საერთო ქართულის წიაღში იყო და შემდგომ დროთა მანძილზე ორივე მხარის დიალექტმა ერთგვარი მნიშვნელობით შემოინახა. ამგვარად, ეს ლექსემა ამ ფორმით სხვა დიალექტთა გამოცემულ ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ, თუმცა არ გამოირიცხება ის, რომ იგი სხვა დიალექტებშიც არსებობდეს.

ზეპირი გამოკითხვის შედეგად ფეხის ამ ნაწილის სახელდებად „საყარცხალი" მოგვითითეს (კერძოდ, ზემოიმერელმა და მოხევემ). ეს სიტყვა მართლაც დასტურდება ივ. ქავთარაძის „მოხეურ ლექსიკონში"[5]: საყარცხალი - ფეხის საყარცხალი - ტერფის ზედა ნაწილი"; რაც შეეხება ზემოიმერულს, იგი ამ მნიშვნელობით შეტანილი არა აქვს ქ. ძოწენიძეს.[6] თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: ვფიქრობთ, რომ **ახმი** და **საყარცხალი** ფეხის ერთსა და იმავე ნაწილს არ უნდა აღნიშნავდეს. „**საყარცხალი**" უფრო ქვემოთა ნაწილია ტერფისა, სადაც თითების ძვლები გამოიყოფა (სახელდებაში ესაა ალბათ ჩადებული, როგორც საყარცხლის ერთიანი მხარე იყოფა ნაწილებად, ასევე ფეხის ერთიანი ნაწილი იყოფა თითებად), ხოლო **ახმი** კი ფეხის ზურგის ზემოთა ნაწილია, მისი უმაღლესი სიმაღლე, თითქმის წვივის ძვალთან შესაყარი.

ამდენად **ახმი**, როგორც ფეხის ზურგის უმაღლესი წერტილი, ანუ სხვაგვარად ფეხის ზურგის სიმაღლე თავისი სემანტიკით ზუსტი ქარ-

3 ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ. 1973.
4 სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ. 1943.
5. ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ. 1985.
6 ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ. 1974.

თული შესატყვისია რუსიციზმისა „Подъем".

მსჯელობისას ჩვენ არაერთხელ მივანიშნეთ სიტყვის ქართული წარმომავლობის შესახებ. მაინც რას უნდა უკავშირდებოდეს ეს სიტყვა?

ჩვენი ყურადღება მიიქცია საშუალო ქართულში არაიშვიათად გამოყენებულმა საწყისმა **ახმა** და მისგან ნაწარმოებმა ზმნურმა ფორმებმა. როგორც გაანალიზებულმა მასალამ[7] გვიჩვენა **ახმა** საწყისი **აიხვნა** ზმნური ფორმით ძირითადად „აწევის, აღების, ატანის" მნიშვნელობით გვხვდება. იგი გვევლინება ამგვარ შესიტყვებებში: თვალები **აახვნა**, ზარმა **აგვიხვნა**, იარაღი (ხიშტნი, ოროლნი, შუბნი, ჯიქანი, ტახტი-გვირგვინი) **აიხვნა**, ციხენი **აიხვნა**, ცოდვანი სოფლისანი **აიხვნა**. საწყისი **ახმა** - „მათ ვევედრნეთ ცადმდე **ახმა**" (არჩ. ლექს. ასეული 100,4). „პირველვე დადვეს პირობა არ **ახმა** მშვილდთ და ისრისა" (ამირ. 1583, 1). ლოცვა **ახმასა** გრგვნთასა (Q 312, შნ. 326, 38); თვალ **ახმული**, მკლავითა **ახმული**, მისგან **ახმული** და ა.შ.

ეს ზმნა ძველ ქართულშივე გვხვდება. ლექსიკონებში დადასტურებულია **ალხუმა, ახუმა, ახმა** ფორმით. ი. აბულაძე - ახუმა, იხ. ალხუმა - ...აღება, აღმართვა[8]; დ. ჩუბინაშვილი - ახუმა, ალხმა, ახმა, ახუნა - взятые...[9]; ს.ს. ორბელიანი - ახმა -ნ. აღება - უსულოთ ზე ახმა აღება არის. აღება არს პირთ ახმა, გინა ვალის აღება, გინა ციხის გამოხმა Z; ახუნა - აჭანა (შნ'მ: ნუსხაშია: „ახვნა" (უნდა იყოს „ახუმა");[10] ახმა ჩანს ვეფხისტყაოსანშიც იმავე მნიშვნელობით, რაც გავრცელებულია საშუალ ქართულში; გვხვდება ზმნადაც და საწყისადაც: თვალნი აახვნა (1346,3); არ აგვიხვნა, არცა დაგვხსნა (207,3); მით აეხვნეს სპანი ზარსა (318,2); მეფემან ახმა ღურაჯთა (342,1); ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა (178,1); თვალთა ახმადცა ზარ-ეცვა (870,1); მე რა მნახა თვალ-ახმული (350,1).[11]

ძველ ქართულში ამ სიტყვის მნიშვნელობათა შორის „აწევის, აღების, აღმართვის" სემანტიკაც ჩანს, საშუალ ქართულში კი ეს შინაარსი განმსაზღვრელი ხდება ამ ზმნური ძირისა. „ვეფხისტყაოსნის" და შემდგომდროინდელი ძეგლების კონტექსტები ამას ადასტურებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ **ახმა** საწყისი და მისგან ნაწარმოები ფორმები „აწევა, აღება, ატანა, აღმართვა" მნიშვნელობით გვხვდება და აშკარად გამოიკვეთება ზემოთ მიმართული მოქმედება.

ხოლო რაც შეეხება არსებით სახელს **ახმი**, მის მისაღებად სიტყვამ, ვფიქრობთ, ამგვარი გზა გაიარა: ალხუმა - ახუმა - ახმა - ახმი. საწყისის დაბოლოება ა გაარსებითებისას ფუნქციადაკარგული აღმოჩნდა და ძირი სახელობითის ნიშნით გაფორმდა: ახმ-ა - ახმ-ი.

ფორმათა ამგვარ დაკავშირებას ხელს უწყობს რუსული Подъ/м-ის სემანტიკური ანალიზიც. როგორც ვნახეთ ზემოთ, რუსული Подъ/м მომდინარეობს ზმნური ფორმიდან, ამოსავალია ზმნა, რომელიც ზემოთ მიმართულ მოქმედებას აღნიშნავს: Подъ/м - აწევა, აყენება, წამოყენება, აყვანა, აჭანა, ასვლა, აღგომა. თუ ახმის დაკავშირება საწყისურ ფორმასთან ახმა გასაზიარებელია, მაშინ ამ შემთხვევაში რუსულის ანალოგიური ვითარება ვლინდება. ზმნა „აწევა, აღება, ატანა" სემანტიკურად შორს არ არის იმ არსებითისაგან, რომელიც უმაღლეს წერტილს, უდიდეს სიმაღლეს, აწეულ ადგილს მიანიშნებს.

რაც შეეხება **ახმი** არსებითი სახელის გაჩენის დროს, ვფიქრობთ, იგი შემდგომდროინდელი უნდა იყოს იმ პროცესისა, როცა **ახმა** საწყისი დამკვიდრდა, ალბათ, მიახლოებით საშუალი ქართულის საწყის ეტაპზე.

ამდენად, **ახმი** წმინდა ქართული შესატყვისია რუსიციზმისა „პადიომი": **ახმი** ისევე კონკრეტულად წარმოაჩენს აღსანიშნ ობიექტს, როგორც ენისათვის მიუღებელი ბარბარიზმი. აქედან გამომდინარე, მისი დამკვიდრება სალიტერატურო ქართულში და შემდგომ ქართულ მეტყველებაშიც, ვგონებთ, სასურველი უნდა იყოს. მაგრამ ენას თავისი კანონები გააჩნია. იგი თავად ქმნის თავის ლექსიკურ მარაგს. ენის ნორმალურ მდინარებაში ჩარევა ერთობ ძნელია, მაგრამ არაერთხელ ყოფილა იმის მაგალითიც, როცა ენის წიაღში თავშეფარებული სიტყვა გამოუმზეურებია ერთეულ ადამიანებს და მერე იგი საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვად ქცეულა. ჩვენ ამგვარი თამამი განზრახვა არა გვაქვს, მაგრამ მორიდებული სურვილი მაინც გვიჩნდება დიალექტის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოვიტანოთ სიტყვა და სამზეოზე დავდოთ. ჩვენ მიმწოდებლის როლი ვიკისრეთ მხოლოდ, ანარჩენს კი თავად ენა გაარკვევს... ქმედების მიზანი კი კეთილია - ბარბარიზმის ნაცვლად ქართული სიტყვის დამკვიდრების უდიდესი სურვილი!..

---

7 ვისარგებლეთ ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის მასალებით, რისთვისაც მის შემდგენ კოლექტივს მადლობას ვუხდით.

8. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენი სლექსიკონი, თბ. 1973.

9 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ. 1984.

10 ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. 1991.

11 ვისარგებლეთ წიგნით ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბ. 1965.

# ქართული ლექსიკოგრაფიის ჩინებული შენაძენი

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ პოეტ-აკადემიკოსის, იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის" გამოცემას დარგის სპეციალისტები ჯეროვანი ღიმილით, მოუწონებელი გულგრილობითაც კი შეხვდნენ*. არადა ეს ლექსიკონი უკანასკნელ ათწლეულში გამოცემულ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომთაგან, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ერთ-ერთი საუკეთესოა. „ქალაქური ლექსიკონი", შედგენილი ი. გრიშაშვილის უმდიდრესი საარქივო მასალის მიხედვით, 1997 წელს გამოსცა ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ, დოც. რუსუდან კუხრაშვილმა.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ლექსიკონის (განმარტებითი, ორენოვანი, ტერმინოლოგიური, ორთოგრაფიული...) შედგენა და გამოცემა სპეციალისტთაგან უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი შედგენა ერთ კონკრეტულ პირს უხდება. „ქალაქური ლექსიკონის" მომზადებულმა იმასაც უნდა გაუწიოს ანგარიში, რომ ი. გრიშაშვილის მიერ ლამის 40 წლის განმავლობაში ნაგროვები სალექსიკონო მასალა (რომლის მცირე ნაწილი პოეტმა თავის „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემას" დაურთო), ერთობ ჭრელი და არაერთგვაროვანია; ამიტომ ამ საკმაოდ ხოლოდური მასალის სალექსიკონოდ გაწყობა ქალ. რუსუდან კუხრაშვილს რთულზე რთული ამოცანის წინაშე აყენებდა. საბედნიეროდ, ლექსიკონის შემდგენელმა ოპტიმალური გზა გამონახა და მთელი მასალა, ზოგი გამონაკლისის გარდა, ავტორისეული რედაქციით დატოვა. ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ სალექსიკონო მასალის კლასიფიკაცია, ლექსიკონის შედგენის პრინციპი, ნებისმიერი დარჩა: სალექსიკონო სიტყვა-სტატიებად გატანილია როგორც არსებითი და ზედსართავი სახელები, ისე ზმნური ფორმები (სხვადასხვა პირისა და დროისა) (ამოყარა, ამაბილბილა, ამოვიწუმპლე, ილელელავებ,



ავალე//ამალი, ავდარასტი, წურწურით ოვლი ნამოხდილა, ძალი გამოტყდა, ტიკტუნუნე და მრ. სხვ). ცალკეული ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, შორისდებულები, ფორმაუცვლელი სიტყვები, მიმართვები, ზმნიზედები და მისთ. მაგალითისათვის მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: **ბაყიას ატეხს, ულონობის ლონე ადგას, თუ ღმერთი მწყალობს, ხატი (sic!) რას დამაკლებს... დისტოლრივ, დოვა-დოგა** (ტელეგრაფულ, პირდაპირ მეტის დარტყმით მისვლა (ავტ.), **ზერა-ქვერად//ზერე-ქვერედ, ზუზივ, მისამარ** (სიტყვის დამაკავშირებელია, ცალკე არ ითქმის (ავტ.), პირალებით - სრულებით (ავტ.), **პუპლუს//პუპლუც! მასუკან** და სხვ.

„ლექსიკონში" მკითხველი შეხვდება არაერთ ისეთ ფორმას, რომელიც სხვა, ადრე გამოცემულ ლექსიკონებში ფიქსირებული არ არის, ან, თუ არის, განსხვავებული მნიშვნელობით. ეს პირველ რიგში ფრაზეოლოგიზმებზე (სატოვანი გამონათქვამები) შეიძლება ითქვას. აი, ზოგიერთი მათგანი: **მკვდართა მზე, ნახშირს სწვამს, კედლებს ჰკითხავენ, ატლცის გლახა, თეთრად შენი სარეცხი, კუმური** (=კუმისური, გ.ბ.) **მტრედი, ზერტელი მკითხავი, შავად და ბნელად მოაქცევს, დროებას მოუკვდა პატრონი!** და მრ. სხვა. მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება იმის თაობაზე, თუ რა დიდი ადგილი ეკავა ძველ ქალაქურ ლექსიკაში ბარბარიზმებს - ძირითადად თურქულ-აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ, სპარსულ და სხვ. სიტყვებს.

ისიც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ლექსიკონში" საკმაოდ ხშირად ვხვდებით XIX საუკუნის ტფილისურ პირთა საკუთარ სახელებს, მათ შორის - თიკუნებს ანუ მეტსახელებს, აგრეთვე, ადგილთა სახელებს (ტოპონიმებს). თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმთა აღწერას სპეციალური ლექსიკონი მიუძღვნა პროფ. გ. ზარდალიშვილმა (1978 წ.). ამის მიუხედავად სარეცენზიო წიგნში გვხვდება სრულიად ახალი, დღემდე უცნობი ტოპონიმები (**ფორაქიშვილების სასაფლაო, კოლორთალი, ნაზირის ბაღი, პეტრეს მორევი, დარიკუას ცირკი** და სხვ.). ამასთან ერთად „ქალაქურ ლექსიკონში" დაზუსტებულია ზოგიერთი ობიექტის ადგილმდებარეობა. ასე, მაგალითად, გრ. ზარდალიშვილის ხსენებულ ლექსიკონში ტოპონიმი **ორჩაყალა** ვერის ხევში, წყნეთთან ახლოს მდებარე ობიექტად მოიაზრე-

* 1999 წელს „მწიგნობრობაში" გამოქვეყნდა გ. გოგოლაშვილის რეცენზია; ლექსიკონის გამოსვლას გამოეხმაურა ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა" და საქართველოს რადიოს ლიტერატურული პროგრამა „ქვაი შემკული და კურთხეული" (რედ.).

ბა, წინამდებარე ლექსიკონით კი **ორჩაყალა** იგივე **ყორჩაყალა** ორთაჭალაში, ხარფუხის ზემოთ მდებარე მთის ფერდობი ყოფილა (გვ. 172).

„ლექსიკონი", სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, ჩვენი დედაქალაქის სიძველეთა აღმნუსხავი ნამდვილი მატიანეა, აქ, ძირძოდ, დიდი ადგილი უკავია ძველ თბილისურ გვარებს ან საგვარეულო სახელებს. ძალზე საინტერესოა ძველი შერქმეული სახელებიც: **დაგრეხილუა, კაპლო, ლაფიტოპია, ტილიპუჭურა, ბაკუზა** (შდრ. გვარი ბაქუზანაშვილი), **აბრაგუნე, ბეჩარა, ჩულურა, ბაბაჭუა, გესმისა, გირვანქა** და მისთ.

სალექსიკონო მასალის ერთი ნაწილი „ლექსიკონში" რატომღაც განუმარტავად არის დატოვებული. მათ შორის ბევრია ისეთი, რომელთა განმარტება იოს. გრიშაშვილისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა (**ალანძული, აიტკრიცა, ამეკვიატა, ამოვიწუმპლე, ბასტურმა, თავჭიფა, კოჭის ძაფი, კუდქიცინა, კუდრაჭა, ლაქუცა, ლახლახი, მაიმახი, მაყალი, ნაბოლარა, ნიდაყვი, ოხრახუში, პაჭუა, პრასა, რაკარუკი, რეტიანი, სეხნიობა, ტარიანი, უდიერი, უგასაგისო, უკმეხი, შუშაბანდი, ჩარჩი, ჩირგვნარი, ჩუბინი, ხარაზი, ხაშლამა** და სხვ.). სავარაუდებელია, რომ ი. გრიშაშვილი ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების (ტერმინების) საბოლოო განმარტებისათვის დამატებითი მასალის მოპოვებას თვლიდა საჭიროდ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ განუმარტავად არ დატოვებდა. სხვა შემთხვევაში ჩვენი სასიქადულო პოეტი და ლიტერატურული წყაროების ნიჭიერი მკვლევარი ცხოველ ინტერესს იჩენს ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგიის გასარკვევად:

**ალიბუხარი** - ალუჩა ბუხარიდან;

**იფუთნება** - წარმოებულია ფუთადან;

**ლოპიანა** - ლოპიანი საკუთრივ ნიშნავს „ნამიანს"... ეს სახელი დაერქვა მუდმივად წყალში დგომის გამო.- **ლოპიანა** მესანგლე იყო, მებადური;

**წუკია** -ქალის სახელია, ვითომ წუწკი;

**ხართუთა** - შავი თუთა, ჩვეულებრივ თეთრ თუთაზე მყნობილი, ვითომ ხარის თავის ტოლი თუთაო. გემოთი მარახოში (მჟავე). შემოდის ივნისის დასაწყისში.

**ჯალაბი** - იქნებ წარმოსდგება სპარს. ჩალაბი-დან, რაც ნიშნავს წინასწარმეტყველი მაჰმადისაგან შთამომავლობას, დ.ჩ.-სთან (დავით




ჩუბინაშვილი, გ.ბ.) ნიშნავს - დედაწულს, სახლეულს.

**ჯამ-ფილა** - ღრმა, მოზრდილი ჯამი. მოდის ჯამ-ფიალა-დან...

რადგან ეტიმოლოგიზებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ გრიშაშვილისეული ვერსიები ზოგ შემთხვევაში დაზუსტებას ითხოვს. მაგალითად, სიტყვა **მიზანდარი** ახსნილია როგორც ინჟინერი (გვ. 153). მაგრამ ეს თურქული წარმომავლობის ტერმინი (ქართულში გვარად ქცეული!), არც მეტი, არც ნაკლები, სასწორის მნეს, მესასწორეს ნიშნავს.

ზმნური **ირიკავე, ირიკაო** (შესიტყვებაში „წადი და ირიკავე!") პოეტის მიხედვით რიკვა ზმნისაგან ყოფილა წარმომდგარი (გვ. 122). თუმცა წართქმით-ბრძანებითის ირიკავე ფორმა აშკარად სიტყვა რიკ-ს ("მოკლე ჯოხი" უკავშირდება: ი-რიკ-ავ-ე შდრ. საყმაწვილო თამაში „რიკ-ტაფელა" (ქართლური „ჩილკაჯოხი"). დ. გურამიშვილი ამ თამაშს, როგორც ვიცით, რიკ-ფაინს უწოდებს: „რიკ-ფაინის დრო გარდუა, ველარ გაჰკრავს, ჩაპბილდების!" სიტყვა რიკ-ი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" ასეა განმარტებული: რიკი - სამღერელი (=სათამაშო, გ.ბ.) ჯოხი, ერთი მუჯა (მუჯედი): თხზ. ტ. IV 2 თბ., 1966, გვ. 13). ამრიგად ხატოვანი ფრაზა „წადი და ირიკავე" უნდა გავიგოთ როგორც ნიშნისმიგებითი წინადადება ერთგვარი ქილიკით: „შენ აქ არავინ არაფერს გკითხავს; შენი საქმე რიკის თამაშით გართობაა!"

„ქალაქური ლექსიკონის" მასალაში წარმოდგენილია ტერმინები **„ალქი"** და **„ალქაჯი"**- ალი, ალქაჯი, ავი სული (გვ. 24). მართალია, ი. გრიშაშვილი არაფერს ამბობს ტერმინ „ალქაჯის" შედგენილობის თაობაზე, მაგრამ ჩვენი ფიქრით ალქაჯი ორი სიტყვის- ალქი და ქაჯი-ს შერწყმით უნდა იყოს წარმომდგარი სიტყვათა შესაყარში ერთ-ერთი ქ ანის დაკარგვის გზით.

წიგნში აქა-იქ დასანანი კორექტურული შეცდომებიც გაპარულა, მაგრამ ეს ფაქტი „ლექსიკონის" დიდ შემეცნებით ღირებულებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს. მკითხველს შესაძლებლობა აქვს თვითონ დარწმუნდეს ჩვენი ნათქვამის სიმრუდე-სისწორეში. ერთი რამ სრულიად უდავოა: ი. გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის" გამოცემით ქალბატონმა რუსუდან კუხიანაშვილმა, ჭეშმარიტად, საშვილიშვილო საქმეს მოაბა თავი. გულითადი მადლობა მას ამ უანგარო, თავდადებული შრომისთვის! ამ ლექსიკონის გამოცემას ხომ ჩვენი საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა.

გურამ ბედოშვილი,

# სულხან-საბაც თარგმნეს... ქართულად!..

ჩვენს მკითხველს ახსოვს: იაკობ ხუცესის, იოანე საბანის ძისა და გიორგი მერჩულის თხზულებებს შეპბედეს და ახალ ქართულ ენაზე „თარგმნეს“; კეთილშობილური მიზნები გვამოძრავებდაო - მოსწავლე-ახალგაზრდობას ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა აღქმა-გაგება გავუადვილეთო: თუ როგორი იყო ეს გაადვილება, ერთ მაგალითს



მოვიყვან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“. „სიჩჩოითგანვე ღვინოჲ და ჴორცი არა შეჭამა პირსა მისსა“,- ასე „თარგმნეს“: პატარაობიდანვე ღვინო და ხორცი არ შესულა მის პირშიო...

ამ „თარგმანების“ თაობაზე ავტეხეთ ამბავი, მივმართეთ განათლების სამინისტროსაც; ამის შესახებ იმსჯელა სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ; დისკუსიაში ჩაერთნენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი... შედეგი? ხელახლა „ითარგმნა“ პროზად „ვეფხისტყაოსანი“ („მთრგმნელი“ თ. ბარბაქაძე) და, მიუხედავად საზოგადოებრივი აზრისა, პედაგოგთა ერთი ნაწილი აძალებს მოსწავლეებს, იმეცადინონ ახალქართულზე „თარგმნილი“ ტექსტები და იმით ისწავლონ!..

კლასიკური მწერლობისადმი ასეთი დამოკიდებულება საგანგაშოა...

ახლახან კიდევ ერთი „თარგმანით“ „გამდიდრდა“ სასკოლო ბიბლიოთეკა. „თარგმნეს“ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

„მთარგმნელმა“ და გამომცემლებმა ძალიან კარგად იციან, ავ საქმეს რომ ჩადიან, ამიტომაც ასაიდუმლოებენ თავიანთ თავს. ამ გამოცემას არც ავტორი აწერია და არც რედაქტორი; არც გამომცემლობა და არც სტამბა! საერთოდ, როდემდე უნდა გამოდიოდეს ასეთი მაკულატურა? გამომცემლობებსა და სტამბებს, აღარას გამზობ ავტორ-რედაქტორებზე, უნდა მოეკითხოთ ამგვარი გამოცემების გამო.

ჩვენი აღშფოთება სულხან-საბას იგავ-არაკთა ანონიმი ავტორის „თარგმანებმა“ გამოიწვია. ერთ მაგალითს მოვიყვან:

## უტკბესი და უმწარესი

### სულხან-საბა ორბელიანი

ერთმან მეფემან უბრძანა თავისსა ვაზირსა: წადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არცა ზღვათა შინა იპოვებოდესო!

წავიდა ვაზირი, ენა უყიდა, მოუტანა, შეწვა, აჭამა და მოეწონა.

უბრძანა კიდევ: წადი, ასეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არა იპოვებოდესო!

წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა.

უბრძანა მეფემან: მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და, ენა მომიტანეო?!

მოახსენა ვაზირმან: თავმან შენმან, არცარა ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო".

### ანონიმი "მთარგმნელი"

ერთმა მეფემ თავის ვეზირს უთხრა, რომ წასულიყო იგი და ისეთი საჭმელი მოეტანა, რომ დედამიწის ზურგზე და ზღვაშიც მასზე ტკბილი არაფერი ყოფილიყო. წავიდა ვეზირი, უყიდა ენა, მოუტანა, შეწვა, აჭამა. მეფეს ძლიერ მოეწონა. მეორედაც უბრძანა მეფემ ვეზირს, წასულიყო და ისეთი რამ მოეტანა, მასზე მწარე არაფერი ყოფილიყო. ვეზირი წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა. მეფემ გაკვირვებით ჰკითხა ვეზირს: მწარის მოთხოვნისას ენა მიართვეს, ტკბილი ითხოვა და კვლავ ენა მოუტანეს და რით აიხსნებოდა? ვეზირმა მოახსენა: „არც ენის უტკბესი იქნებისო და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო".

სულხან-საბა ორბელიანი

(ბიოგრაფია)

„სიბრძნე სიცრუისა“

(შინაარსი)

ამგვარი შედარება, ვფიქრობთ კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ კითხვას კიდევ ერთხელ დავსვამთ: როდემდე უნდა გაგრძელდეს კლასიკოსთა თხზულებების ასეთი ხელყოფა? შეიძლება ვილაც წერასატანილმა ივარჯიშოს, მაგრამ ხომ შეიძლება სკოლებისაკენ ამგვარ მკრეხელობას გზა გადაეკეტოს?!

მაგრამ, აინტერესებს ვინმეს ჩვენი სკოლის ბედი?..

ბ.ბ.

## მილოცვა

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი **დამანა მელიქიშვილი** გახდა ლაურეატი: მინიჭა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის მეცნიერებათა აკადემიის **წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია** (დაარსებული თამაზ ბერეკაშვილის მიერ) და დაჯილდოვდა **წმინდა დავით აღმაშენებლის ოქროს მედლით.**

ქალბატონმა დამანამ ყოველივე ეს დაიმსახურა 1999 წელს გამოცემული წიგნებისათვის: ა) ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან; ბ) იოანე პეტრიწი, განმარტება პროკლე დიადოხოსის «ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა» (თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო დ. მელიქიშვილმა).

**ვულოცავთ ქალბატონ დამანას** ამ დიდ ჯილდოს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

## მოვუსმინოთ პატარებს

ვიკამ (სამწლინახევრის) პლასტმასის ბოთლი ჩაარტყა თავის უმცროს დას. გაუჯავრდნენ. ერთ-ერთმა უთხრა:
- ვიკა, ეს როგორ გააკეთე, როგორ?!
- მოიცა, გაჩვენო,- მიდის ბოთლის მოსატანად.

**ვიკა თოფურია**

* * *

ქეთის (ორი წლისა და ოთხი თვის) უთხრეს:
- შენ მამიკოს მე წავიყვან, ხომ გამატან?
- თავისი მამიკო შენ ხომ გაქვს?!

**ქეთი თოფურია**

* * *

პატარა გიორგი გაცივდა და ახველებდა. შეწუხებულმა ბებოს სთხოვა: - უთხარი რა, არ დამახველოს!...

* * *

გიორგის დედამ უთხრა:
მოდი, სოსისი შეჭამე.
- მე მაგ კუდს ცოცხალი თავით არ შევჭამ, უპასუხა გიორგიმ.

* * *

გიორგი თევზს არ ჭამდა. დეიდამ უთხრა, რომ შეჭამ, ლამაზი თვალები გექნებაო. მეორე დღეს სტუმრად მოსულმა დედიკოს მეგობარმა გიოს ჰკითხა: ასეთი ლამაზი თვალები საიდან გაქვსო. გიორგიმ დაუფიქრებლად უპასუხა: გუშინ თევზი ვჭამე და იქიდან.

* * *

გიორგი ტელევიზორში მულტფილმს უყურებდა. უცებ შუქი ჩაქრა, სავარძელში მოკალათებულმა გიორგიმ წამოიძახა: - საქენერგო, შენ მოგიკვდეს დედა!

* * *

გიორგიმ ბაღში მასწავლებელს უთხრა:
- ჭიამაია გადამეყლაპა და სწრაფად წყალი მომეცით, რომ მუცელში დაიხრჩოს.

**გიორგი გამამთავრიშვილი**

*4 წლის*

## გამოთხოვება



**იულიუს ასფალგი** 80 წლისა გარდაიცვალა. იმათთვის, ვისაც მასთან მშვიდი და თბილი საუბრები ჰქონია, ვისაც მის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში მასთან ერთად ნაყოფიერად უმუშავია, მისი უშურველი, უანგარო რჩევები მოუსმენია, კეთილი ღიმილი უნახავს და იმედი ჩასახვია, რომ იპოვა გულშემატკივარი, მრჩეველი, საქმის შემფასებელი და დამფასებელი, ვისაც მასთან ერთად ჩქარი ნაბიჯით უვლია მიუნხენისა და აშაუს ქუჩებში და მხცოვანი პროფესორი ველოსიპედზე მჯდარი უნახავს, ეს სიკვდილი მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო. გაცვეთილი ფრაზებიც კი მასთან დაკავშირებით გულიდან ამოძახილად იქცევიან: იულიუს ასფალგის, ამ დიდი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის სახით ქართულმა კულტურამ დიდი მოამაგე დაკარგა, ხოლო ქართველმა სტუდენტებმა და მეცნიერებმა - კეთილი მასპინძელი და მზრუნველი მასწავლებელი.

**დამანა მელიქიშვილი,**
**თამარ ჭუმბურიძე,**
**ანა ხარანაული**

# თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა საყურადღებოდ:

## ცვლილებანი მისაღები გამოცდების პროგრამაში

თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდსაბჭოს გადაწყვეტილებით მისაღები გამოცდების

### პროგრამიდან ამოღებული იქნა:

ი. ჭავჭავაძის „მესმის„ მესმის"...
დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება"
მ. ჯავახიშვილის „ჯილდო", „მიწის ყივილი"
გ. ტაბიძის „ლურჯა ცხენები", „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სიდაში"

### პროგრამაში შევიდა:

ი. ჭავჭავაძის „დაე, თუნდ მოვკვდე"
ა. წერეთლის „ხატის წინ"
ვაჟა-ფშაველას „სიმღერა (დამსეტყვე, ცაო...)"
მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები"
გ. ტაბიძის „ჰე, მამულო", „მამული (ცვრიან ბალახზე)"
გ. ლეონიძის „წიგნი „ქართლის ცხოვრება", „მეცამეტე საუკუნე"
(მისაღები გამოცდების პროგრამები გამოქვეყნდა 2000 წელს)

თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდსაბჭოს გადაწყვეტილებით 2001 წელს მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტებს პროგრამით გათვალისწინებული ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ცოდნა მოეკითხებათ ძველი ქრესტომათიის (შემდგენლები: ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე) და არა ახალი ქრესტომათიის (შემდგენლები: მ. გიგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი, ვ. როდონაია) მიხედვით.

ამ გადაწყვეტილების საფუძველი ის არის, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული საშუალო სკოლის პროგრამები და მეთოდური მითითებანი (1999 წ.) შეესაბამება ძველ ქრესტომათიას. ახალ ქრესტომათიასა და არსებულ სასკოლო პროგრამებსა და მეთოდურ მითითებებს შორის არსებითი ხასიათის განსხვავებებია.

# ბურჯი მოთმინების

ახალი ათასწლეული ახალი საუკუნე ახალი ათასწლეული ახალი საუკუნე ახ